პალიტრა მედია

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

25 დეკემბერი **სამშაბათი** 2012 **№305 (13 911)** ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შერმადინი ოლიმპიაკოსისაა!

13

## ქართველი ცენტრი პანათინაიკოსის შემდეგ მეორე ბერძნულ გრანდში ჩაირიცხა



2

გიორგი დარასელია
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## გორელები იშლებიან?

# დარასელია წავიდა! ვინ იქნება შემდეგი?



# ამას შვილი რად უნდა?

ბალოტელის საკუთარი გოგონა ერთხელაც არ უნახავს

16



# მაქსიმალისტი სანიკიძე

ვიქტორის იტალიური ინტერვიუ

12

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

დილა

# დარასელია გორიდან წავიდა

### სალუქვაძე და ხოჯავა მიდიან – დაიშლება დილა?

ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში სამტრედიაში გორის “დილამ” მარტვილის „მერანთან“ 3:2 გაიმარჯვა. გუნდს გიორგი დარასელია გაუძღვა, მაგრამ მერე სენაკში, მშობლებთან წავიდა.



მატჩის შემდეგაც ბევრმა არ იცოდა, რომ გორელთა მთავარმა მწვრთნელმა ამ პოსტზე ბოლო შეხვედრა ჩაატარა – რუსეთის ნაციონალური ლიგის (პირველი ლიგის) ხაბაროვსკის “სკა-ენერგიას” ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ გუნდი სწორედ 44 წლის ქართველ სპეციალისტს ჩააბარეს.

დასანანია ეს ყველაფერი, რადგან დარასელიამ “დილაში” ჩინებულად იმუშავა: საქართველოს ჩემპიონატში მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული 18 შეხვედრიდან “დილამ“ 16 მოიგო, მხოლოდ ორჯერ დამარცხდა, 11-მატჩიანი მოგებების სერიაც გამოაცხო და გუნდი ჩემპიონატში მეორე ადგილზე დატოვა. მშრალ სტატისტიკასაც რომ შევეშვათ, “დილა” საკმაოდ ლამაზ და სანახაობრივ ფეხბურთს აჩვენებდა.

რაც შეეხება „სკა-ენერგიას“, საშემოდგომო ეტაპზე ჩატარებული 21 შეხვედრაში ხაბაროვსკელებმა 36 ქულა დააგროვეს და ლიდერებს, “ტომსა” (49) და “ურალს” (45) ჩამორჩებიან, “ნეფტეხიმიკს” კი მხოლოდ ერთით უსწრებენ. მესამე ადგილი გუნდს უმაღლესი ლიგის გადათამაშებაში მონაწილეობის უფლებას აძლევს.

როგორც ჩანს, ხაბაროვსკელებს სწორედ ამიტომ დასჭირდათ “დილას” მენეჯერის, **მამუკა ჯულელის** დახმარება, რომელსაც რუსეთის პირველი ლიგის “რუხი კარდინალი” შეარქვეს. კარდინალის რა გითხრათ და ჯულელმა პირველი ლიგიდან პრემიერლიგაში მართლაც დააწინაურა მახაჩყალის “ანჟი” და ნიჟნი ნოვგოროდის “ვოლგა”. მაგრამ მაშინ ეს **ომარ თეთრაძესთან** ერთად გააკეთა, მაგრამ ერთი წელია, მათი გზები გაიყო და ეტყობა, ახლა ჯულელი გიორგი დარასელიას დაეყრდნობა.

შევიტყვეთ, რომ მათ რუსული კლუბის გაძლიერება “დილას” ორი ლიდერით სურთ: გორს კლუბის კაპიტანი **ლაშა სალუქვაძე** და **გოჩა ხოჯავა** დატოვებენ. მათ გარდა, ევრაზიის აღმოსავლეთში გააგრძელებს კარიერას ტრავმამოშუშებული **ოთარ მარცვალაძეც** – ამ უკანასკნელმა ზაფხულში „კრასნოდარი“ თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა.

შეგახსენებთ, რომ მანამდე იჯარის ვადა დაუსრულდა **გოგიტა გოგუას** და თბილისის “დინამოს” საკუთრებაში დაბრუნდა.

ვერ ვიტყვით, რომ მოულოდნელი ამბავია, თუ “დილაში” ფინანსებთან და მეპატრონესთან დაკავშირებულ გაურკვევლობას გავითვალისწინებთ. დანამდვილებით ვიცით, რომ გუნდში დღემდე არ იციან, ვინ დააფინანსებს მეორე წრეში, ან დააფინანსებენ თუ არა. ოფიციალურად კი კლუბი არა შინაგან საქმეთა სამინისტროს, არამედ გორის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის.

უახლოეს დღეებში იგეგმება კლუბის მენეჯერებისა და მოთამაშეების შეხვედრა, სადაც ბევრი რამ გაირკვევა. მაგრამ მთავარი გასარკვევი თავად მენეჯერებს აქვთ, დაფინანსდება მეორე წრეში კლუბი?

“დილას” საკითხმა კიდევ ერთხელ “შეგვახსენა” თემა, რომელიც წლების წინ პროფესიული ფეხბურთის ლიგამ ჩემპიონატში მონაწილეობის აუცილებელ პირობად წამოაყენა: სეზონის დაწყებამდე კლუბის დამფინანსებლებმა წლიური ბიუჯეტის საბანკო გარანტია უნდა წარმოადგინონ.

ამას უეფაც ითხოვს, რომელიც მომავალი წლიდან ყველა კლუბს 2014 წლის მაისამდე ბიუჯეტის წარდგენას და დაფინანსების გარანტიას მოსთხოვს. სხვაგვარად კლუბი უეფას ლიცენზირებას ვერ გაივლის და ჩემპიონიც რომ გახდეს, ევროტურნირებზე ვერ ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ვიტალი დარასელიას თასი

# ცრემლიანი საღამო

შაბათს ის საღამო ნ. დუმბაძის სახელობის თეატრში ცრემლით დაიწყო და ასევე ცრემლით დასრულდა. საღამო **ვიტალი დარასელიას** დაბადებიდან 55 წელს მიეძღვნა და აბა, უცრემლოდ როგორ იხილავდა მაყურებელი ტრაგიკულად დაღუპული ლეგენდარული ოჩამჩირელი ფეხბურთელის ხანმოკლე, მაგრამ დაუვიწყარი ცხოვრების ამსახველ კადრებს.

საღამო აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციამ (პრეზიდენტი - **მურად ანჯაფარიძე**) ვიტალი დარასელიას თასის გათამაშების დამთავრების წინა დღეს გამართა და თეატრში მონაწილე გუნდების გარდა ვ. დარასელიას ოჯახის წევრები, ახლობლები და ფეხბურთის გულშემატკივრებიც მიიწვია. ბოლოს აჩვენეს სოხუმის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი — „გამარჯობა, სოხუმო“, რომლის მსვლელობისას და განსაკუთრებით ფინალისას, ერთთავად ქვითინებდა დარბაზი.

მცხეთაში კი მეორე დღეს ვ. დარასელიას თასზე 1999 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ტურნირში მესამე პრიზიორის, ჩემპიონისა და მეორე ადგილოსნის გამოსავლენი მატჩები გაიმართა (ტურნირის მატჩებს მცხეთის გარდა ქობულეთმა, ქუთაისმა, სამტრედიამ, ბორჯომმა და თბილისმა უმასპინძლა). მესამე ადგილი წილად ხვდა სამეგრელოს ნაკრებს, პირველობისთვის მატჩში კი თბილისის მეორე გუნდმა აჯობა პირველს და თასიც მათ გადაეცათ.

სპეციალური პრიზები გადაეცათ: მეკარის — **დავით კერესელიძეს** (თბილისი-2), მცველის — **ლუკა ხვიჩიას** (სამეგრელო), ნახევარმცველის — **გიორგი სართანიას** (თბილისი-1), თავდამსხმელის — **ნიკა ნიკლაურს** (თბილისი-2), ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელის — **ლევან ბარაბიძეს** (თბილისი-2).

**თენგიზ თომაშვილი**



ინტერვიუ

## მურთაზ ხურცილავა:

# უკვე რამდენი წელია, სიმართლეს არ ვლაპარაკობთ...

ერთი პერიოდი მურთაზ ხურცილავა აღარ ჩანდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში, ახლა კი ისევ იქ არის, საპატიო ვიცე-პრეზიდენტია.

ხურცილავას მალე 70 წელი შეუსრულდება, თუმცა მასთან ინტერვიუზე რომ მივედი, მითხრა, ამჯერად განვლილ ათწლეულებს ნუ მიმოვიხილავთო.

ხურცილავასაც ქართულ ფეხბურთში შექმნილ ახლანდელ ვითარებაზე ველაპარაკეთ და ბატონი მურთაზიც მხოლოდ ზოგადი საუბრით არ შემოიფარგლა.

ხურცილავა ის ფიგურაა, რომლის ნათქვამი ყოველთვის ყურადსაღებია. რასაც ის ამ ინტერვიუში ამბობს, ზოგისთვის ალბათ მიუღებელი იქნება, თუმცა სავსებით ნორმალურია – ქართულ ფეხბურთში ბევრი ისეთი საკითხია, კამათი მართლაც რომ შეიძლება...

**- რამდენიმე თვე ისე გავიდა, მურთაზ ხურცილავა ფეხბურთის ფედერაციაში არ უნახავთ – რა იყო ამის მიზეზი?**

- ფეხბურთიდან არასდროს წავსულვარ, საპატიო ვიცე-პრეზიდენტი ვარ ამ დროისთვის, მერე კი შესაძლოა რაღაცრაღაცები შეიცვალოს.

**- გაუჩინარების მიზეზი ალბათ თქვენი პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა იყო...**

- ფეხბურთში დროებით არ ვჩანდი, ალბათ ყველამ იცის, რომ მარტვილის რაიონში მაჟორიტარ დეპუტატად საპარლამენტო არჩევნებში კენჭს ვიყრიდი. აღარ მსურს ამაზე ლაპარაკი, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მარტვილში არჩევნებისას მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო.

**- ფეხბურთელის კარიერის შემდეგ არცთუ მცირე სამწვრთნელო გამოცდილება მიიღეთ. არასდროს არ გიფიქრიათ იმაზე, რომ ხელმეორედ დაბრუნებოდით ამ საქმეს?**

- მწვრთნელობა ისედაც რთული პროფესიაა, საქართველოში კი განსაკუთრებით, პირობებს ვგულისხმობ, ახლახან “ზუგდიდს” შეექმნა პრობლემები... მოკლედ, მდგომარეობა სახარბიელო ნამდვილად არ არის.

**- საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია “ქართული ოცნების” წარმომადგენელი იყავით. გქონდათ საფუძვლიანი საუბარი ბიძინა ივანიშვილთან ქართულ ფეხბურთში შექმნილ ვითარებაზე?**

- რა თქმა უნდა, ასეთი საუბარი გვქონდა. ბატონი ბიძინა ისეთი პიროვნებაა, რომ ყველა საჭირბოროტო საკითხი აინტერესებს. წინასწარ არ მიყვარს საუბარი, მაგრამ ერთი ვიცი – ივანიშვილი ქართულ ფეხბურთს დაეხმარება.

**- ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო საკითხი საქართველოს ეროვნული ნაკრებია, ბევრი რამ იცვლება, მაგრამ ჩვენი ეროვნული გუნდის შედეგი თითქმის ერთი და იგივეა...**

- მე მაინც მგონია, რომ სანამ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დონე არ ამაღლდება, ჩვენი ნაკრები სულ ამ მდგომარეობაში იქნება. თემურ ქეცბაიას, მისი თანაშემწეების და ფეხბურთელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მთელი რიგი პრობლემებისა, ნაკრებს ასეთი შედეგი აქვს. ფაქტია, რომ ფეხბურთის ფედერაცია ჩვენს ყველა ნაკრებს კარგ პირობებში ამყოფებს, რასაც მწვრთნელები ითხოვენ, ყველაფერი სრულდება, ეს პირადად ფედერაციის პრეზიდენტის, ზვიად სიჭინავას დამსახურებაცაა.

**- ადრე არაერთხელ გითქვამთ, ეროვნულ ნაკრებს ქართველი მწვრთნელი უხდებაო –ახლაც ამ პოზიციაზე ხართ?**

- და რომელი უცხოელი მწვრთნელის ხელში აჩვენა საქართველოს ნაკრებმა უკეთესი შედეგი? ნაკრებს თავი რომ დავანებოთ, რომელ ქართულ კლუბში მოხდა ისე, რომ უცხოელ მწვრთნელს ქართველზე უკეთესი შედეგი ჰქონდა? მიმაჩნია, რომ ქართველი მწვრთნელი უცხოელზე უკეთ აულებს ალღოს აქაურობას და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართველს უფრო შესტკივა გული ჩვენს ნაკრებებზე და კლუბებზე, ვიდრე უცხოელს. ასე რომ, ისევ ქართველი მწვრთნელების მომხრე ვარ.

**- ეროვნული ნაკრების ფეხბურთელთა ბირთვზე რას იტყოდით? საინტერესოა თქვენეული შეფასება...**

- ბირთვს 6-7 ფეხბურთელი უნდა შეადგენდეს და ყველანი გუნდის წამყვანი მოთამაშეები უნდა იყვნენ. დღეს ამდენი წამყვანი ფეხბურთელი საქართველოს ნაკრებს არ ჰყავს. ერთი-ორი წამყვანი ფეხბურთელი ბევრს არაფერს ნიშნავს...

**- და ვინ მიგაჩნიათ გამორჩეულ ფეხბურთელებად საქართველოს ნაკრებში?**



მურთაზ ხურცილავა

- ამ ნაკრებში არაერთი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ რასაც მართლა გამორჩეული ჰქვია, ეს სულ სხვა რაღაცაა, არ ვიცი, ასეთი ვინ არის საქართველოს ამ ნაკრებში...

**- რას ურჩევდით საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს?**

- რჩევა რომ საქმეს შველოდეს, მათ ჰყავთ მრჩევლები. საქმე ისაა, რომ დიდი განსხვავებაა კლუბსა და ნაკრებში თამაშში. ნაკრებში თავი რომ გამოიჩინო, ძალიან მაღალი დონის ფეხბურთელი უნდა იყო, ნაკრებში სულ სხვა მოთხოვნებია...

**- ანუ ჩვენი ნაკრების მთავარ პრობლემად ფეხბურთელი მიგაჩნიათ?**

- ფეხბურთელი პრობლემაა იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ კარგი შედეგის მიღწევას ვგულისხმობთ.

**- და გამორჩეული ფეხბურთელები რომ აღარ არიან საქართველოს ნაკრებში, ეს რისი ბრალი უნდა იყოს?**

- ასეთი პრობლემის წინაშე მხოლოდ საქართველოს ნაკრები როდია. ქართულ კლუბებს ლეგიონერები რომ ჩამოჰყავთ, ეს გამართლებულად არ მიმაჩნია, რადგან ჩვენთან არ ჩამოდის იმ დონის ლეგიონერი, როგორიც სასურველი იქნებოდა.

**- “დინამოს” ესპანელი ლეგიონერი ჩისკოც არ მოგწონთ?**

- ჩისკოს დონის ფეხბურთელი საქართველოში არ არის? ლეგიონერი ადგილობრივ ფეხბურთელს ათი თავით თუ არა, ერთი თავით მაინც უნდა ჯობდეს, ჩვენთან კი უმეტეს შემთხვევაში ასე არ ხდება. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ლეგიონერებზე ლიმიტი დაწესდება და ქართულ კლუბს არაუმეტეს სამი ლეგიონერის მოწვევის უფლება ექნება. ეს ყველაფერი პირველ რიგში ჩვენს ნაკრებს გამოადგება. საქართველოში ლეგიონერი ჩამოიყვანო, სათადარიგოთა სკამზე იჯდეს და იქაც ქართველის ადგილს იკავებდეს, ამას დადებითად ვერ შევაფასებ...

**- უკეთესობას როდის უნდა ველოდოთ ქართულ ფეხბურთში?**

- უკვე რამდენი წელია, რაც სიმართლეს არ ვლაპარაკობთ – საქართველოს ნაკრებს ამ რესურსით ვერ ექნება ის შედეგი, რაც ჩვენ ყველას ასე ძალიან გვინდა და წარუმატებლობა მხოლოდ მწვრთნელებს არ უნდა დავაბრალოთ.

**- ამ ცოტა ხნის წინათ აქტუალური გახდა ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე არჩევნების თემა – თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე?**

- დღევანდელი სიტუაცია ნამდვილად არ ითხოვს რიგგარეშე არჩევნების გამართვას.

**- მიგაჩნიათ, რომ წინა ორი არჩევნები სამართლიან გარემოში ჩატარდა?**

- დიახ და ვფიქრობ, რომ ამაზე უფრო სხვა რამეა საზრუნავი ქართულ ფეხბურთში.

**- ზვიად სიჭინავამ ორჯერ ისე გაიმარჯვა არჩევნებში, რომ მეტოქე არ ჰყოლია – ეს არ არის დამაფიქრებელი?**

- წამოეყენებინათ მერე კანდიდატურა, ვისი შეეშინდათ?..

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XXII ტურის მიმოხილვა

# უხვგოლიანი დასასრული და საინტერესო გაგრძელების იმედი



ზესტაფონი-დინამო 2:1

ფოტო: www.fcdinamo.ge

**საქართველოს** ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულდა და უმაღლესლიგელებს ზამთრის შვებულება დაეწყოთ. საბედნიეროდ, დეკემბერში მოსულმა თოვლმა უმაღლესი ლიგის კალენდარში სერიოზული კორექტივები ვერ შეიტანა და პირველი ეტაპი წლეულს დასრულდა – ასე რომ არ მომხდარიყო, ჩემპიონატის მონაწილეებს საკმაო დისკომფორტი შეექმნებოდათ.

**რაც შეეხება უმაღლესი ლიგის წმინდა საფეხბურთო მხარეს, მას "ლელოს" უახლოეს ნომრებში არაერთხელ შევეხებით და სეზონის პირველ ნახევარსაც სათანადოდ შევაჯამებთ, დღეს კი უშუალოდ ბოლო ტურზე გავამახვილოთ ყურადღება.**

## კაჭარავა შეიძლება დროებითი აღარ იყოს

მთავარ საკითხებს, რაც პირველ ეტაპს უნდა გაერკვია, ნათელი ბოლო ტურამდე მოეფინა – თბილისის "დინამომ" "ზამთრის ჩემპიონობა" დაიბევა, საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა "ზესტაფონმა" კი დაძაბული ბატალიების შემდეგ ზედა ექვსეულის საგზური გაინაღდა.

თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავდა, რომ პირველი ეტაპის ბოლო მატჩებს კლუბები მოვალეობის მოხდის მიზნით ატარებდნენ. მსგავსი განწყობით მოედანზე, ალბათ, მხოლოდ "ზუგდიდი" გავიდა, რომელზეც ქვემოთ ვიტყვით, დანარჩენებს კი ჰქონდათ იმის ამბიცია, რომ საკუთარი ამოცანების განსახორციელებლად ებრძოლათ.

ტურის ცენტრალური მატჩი კი, რა-ლა თქმა უნდა, ზესტაფონში გაიმართა. იყო დრო, როცა "ზესტაფონისა" და "დინამოს" დაპირისპირებებში საქართველოს ჩემპიონის ბედი წყდებოდა. ამ სეზონში ოქროს მედლებისთვის "დინამო" იბრძვის, ხოლო ფეროელების მაქსიმუმად ევროსაგზური მოჩანს. ამ გარემოებამ მათ ორთაბრძოლას ეშხი ოდნავადაც ვერ მოაკლო, მატჩმა კი ქომაგთა მოლოდინი აშკარად გაამართლა. ლამაზ და დინამიკურ შეხვედრაში გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ, რაც გუნდების დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით ბევრმა მოულოდნელობად შერაცხა, მაგრამ ეს წყვილი ყოველთვის არაპროგნოზირებადი იყო და მომავალშიც ასე დარჩება. სწორედ ეს არის ზესტაფონურ-თბილისური ჯახის ერთ-ერთი უმთავრესი ხიბლი.

"დინამო" ზესტაფონს **ჯაბა დვალის** გარეშე ეწვია, რამაც უმაღლესი ლიგის ლიდერის შემტევი პოტენციალი უდავოდ შეასუსტა. დვალს თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ თამაშის უფლება კონტრაქტში ჩადებული ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით არ ჰქონდა.

ზედმეტია იმის შეხსენება, რა აკავშირებს "ზესტაფონის" თავკაც **კახა კაჭარავას** "დინამოსთან". შესაბამისად, ტურის ცენტრალური მატჩის კიდევ ერთი ინტრიგა მისი ფაქტორი იყო. თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ პირველი მატჩი კაჭარავასთვის წარმატებული გამოდგა. ზოგადად, წარმატებულია მისი ხანმოკლე ზესტაფონური კარიერაც. შეგახსენებთ, კაჭარავა "ზესტაფონს" სამ შეხვედრაში გაუძღვა და ფეროელებმა სამივე მოიგეს. მართალია, კლუბის ხელმძღვანელობას ხაზგასმით არ უთქვამს, რომ დროებითი მწვრთნელი ზეექვსეულში მოხვედრის შემთხვევაში ხანგრძლივ კონტრაქტს დაიმსახურებდა, მაგრამ მაინც სრულიად შესაძლებელია, საუკეთესო ექვსეულის საგზურის მოპოვებას კაჭარავასა და "ზესტაფონის" თანამშრომლობის გახანგრძლივება მოჰყვეს. ეს ამბავიც სულ მალე უნდა გაირკვეს.

"დინამომ" სეზონში მხოლოდ მეორე მარცხი იწვნია და ეს ნამდვილად არ არის ტრაგედია, მაგრამ **დუშან უჰრინსა** და მის შეგირდებს წინასაახალწლო განწყობა მაინც წაუხდებოდათ – "დილასთან" ექვსქულიანი უპირატესობა ხომ სამ ქულამდე დავიდა.

## როგორი იქნება დილა გაზაფხულზე?

"დინამო" მაინც რჩება ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად, ხოლო თუ "დილადან" **გიორგი დარასელიას** წასვლას გავითვალისწინებთ, ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ სეზონის მეორე ნახევრიდან გორელებს ახლანდელივით სოლიდური გუნდი ველარ ჰყავდეთ. თუმცა მოვლენებს წინ მაინც არ გავუსწროთ და დაველოდოთ, რა მოხდება ზამთარში საქართველოს თასის მფლობელის ბანაკში.

იმედი დავიტოვოთ, რომ ერთ-ერთ საუკეთესო ქართულ კლუბს პრობლემები არ შეექმნება. კონკურენტისა და შესაბამისად, ჩემპიონატის დასუსტება ამბიციურ უმაღლესლიგელებს ხელს არ უნდა აძლევდეთ, მით უფრო იმის ფონზე, რომ შესაძლოა, ზეექვსეულში შესული "ზუგდიდი" სტატისტის როლს დასჯერდეს და სეზონი დუბლშემადგენლობით დაასრულოს.

მერანელმა **საბა ლომიამ** და გორელმა **რომან ახალკაცმა** დუბლი შეასრულეს, შიდაქართლელებმა კი დაგეგმილი სამი ქულა საკმაოდ მძიმე ბრძოლაში მოიპოვეს. როგორც გაირკვა, სამტრედიაში გიორგი დარასელიას უკანასკნელი მატჩი ჩაუტარებია "დილას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. მისი გორული კარიერა კი მეტად წარმატებული გამოდგა. 18 მატჩი, 16 გამარჯვება და 2 მარცხი – ასეთია მისი აქაური მონაგარი. გუნდი, რომელსაც საწყის ოთხ ტურში ერთადერთი ქულა ჰქონდა, დღეს ჩემპიონობაზე რეალურ პრეტენზიას აცხადებს.

## ბევრი გოლი და ცოტა მოულოდნელობა

პირველი ეტაპის ბოლო ტური მეტად უხვგოლიანი გამოდგა – ექვს მატჩში 23 ბურთი გავიდა, რაც ერთ თამაშში საშუალოდ თითქმის ოთხი გოლის ტოლფასია. ყველაზე მეტი, შესაბამისად ხუთი და ოთხი გოლი "მეტალურგმა" და "ტორპედომ" გაიტანეს. რუსთაველებმაც და ქუთაისელებმაც ადვილად სავარაუდო გამარჯვებები მოიპოვეს. სხვა ვითარებაში "მეტალურგს" "ზუგდიდის" დასამარცხებლად დიდი ოფლისღვრა დასჭირდებოდა, მაგრამ როგორც იცით, ფინანსურ კრიზისში ჩავარდნილი ზუგდიდელები რუსთავს დუბლშემადგენლობით ეწვივნენ და მასპინძლებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს.

ვერ ვიტყვით, რომ **გიორგი ყიფიანის** გუნდს ეს სამი ქულა დიდ სამსახურს გაუწევს – პირველ ლიგაში დაქვეითება "მეტალურგს" აშკარად არ ემუქრება, მეშვიდეზე მაღალ ადგილს კი ქვემოქართლელები ვერაფრით დაიკავებენ. ასე რომ, "მეტალურგს" ევროსარბიელზე გასაღწევად ერთადერთი გზაღა დარჩა – წარმატებული გამოსვლა საქართველოს თასზე.

აი "ტორპედო" კი, ლიდერთან შვიდქულიანი ჩამორჩენის მიუხედავად, ჩემპიონობის პრეტენდენტად რჩება. **გია გეგუჩაძის** გუნდს შინ "სიონის" დამარცხება არ გასჭირვებია და "დილას" კვალში უდგას. "ტორპედოს" "ჩიხურა" მოსდევს, რომელიც ქობულეთს ფავორიტის სტატუსით ეწვია და სამი ქულაც ირგუნა. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბათუმელი გულშემატკივრები მსაჯობით დარჩნენ უკმაყოფილონი.

ჩემპიონატში მეოთხე ქულა მოიპოვა "კოლხეთმა". ფოთელებს "ვიტ ჯორჯიას" დამარცხება შეეძლოთ, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და ვეტერინარებს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცეს.

"ვიტ ჯორჯია" გასავარდნ ზონას ცხრა ქულით უსწრებს, რაც საკმაო ფორაა, თუმცა მთავარი ბრძოლები წინ არის. ქვედა ექვსეულის ბინადართაგან თავი ქუდში მხოლოდ "მეტალურგს" აქვს, დანარჩენებს კი უმაღლეს ლიგაში დარჩენის საკითხი ჯერ არ გადაუჭრიათ.

## XXII ტურის სიმბოლური ნაკრები




● ზუგდიდი

# ვალებს გაუსტუმრებენ

"ზუგდიდში" ბოლო დღეებში მომხდარი ამბების შესახებ "ლელოს" მკითხველი კარგად არის ინფორმირებული, მაგრამ მაინც შეგახსენებთ: გუნდის ფეხბურთელებმა, რომლებსაც ორი თვის ხელფასი და რამდენიმე მატჩის პრემია აქვთ მისაღები, წერილით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მიმართეს და კუთვნილი ანაზღაურების გასტუმრებამდე თამაშზე უარი თქვეს. სწორედ ამის გამო "ზუგდიდმა" უმაღლესი ლიგის ბოლო ტურში სტუმრად "მეტალურგთან" დუბლშემადგენლობით ითამაშა.

რამდენიმე დღის წინ ჩვენთან საუბარში "ზუგდიდის" მთავარმა მწვრთნელმა **ელგუჯა ქომეთიანმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ გუნდის ფეხბურთელების პროტესტი ჯერ მხოლოდ ამ ერთ მატჩს მოიცავს და იმედი გამოთქვა, რომ მათი "ზუგდიდში" დატოვება მოხერხდება, რისი წინაპირობაც დავალიანების ახალ წლამდე გასტუმრებაა. როგორც შევიტყვეთ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა, რომელსაც კლუბის დაფინანსების ვალდებულება აქვს, დავალიანების ნაწილის დასაფარად 60 ათასი ლარი გამოჰყო. ცნობილი გახდა ისიც, რომ დავალიანების მეორე ნახევრის გასტუმრება 2013 წლის დასაწყისისთვის იგეგმება.

ერთი სიტყვით, გაჩნდა იმის იმედი, რომ "ზუგდიდი" ძირითად ბირთვს შეინარჩუნებს და სეზონის მეორე ნახევარში ძველებურად ანგარიშგასაწევი ძალა იქნება, რაც უპირველესად, ჩვენი ჩემპიონატისთვის არის სასურველი.

● ლეგიონერი

# გიორგი ლომაია: 35 წუთი რეკორდამდე



გიორგი ლომაია

ბაქოს "ინტერის" ქართველი მეკარე **გიორგი ლომაია** კლუბის ისტორიის ახალი რეკორდის ავტორია – "ბაქისთან" მოგებული მატჩი (1:0) მისთვის ზედიზედ მეექვსე შეხვედრაა, სადაც საკუთარი კარი მშრალად შეინახა. აღსანიშნავია, რომ ლომაიამ ბოლო გოლი 30 ოქტომბერს, "ქიაფაზისგან" გაუშვა.

მისი "მშრალი სერია" უკვე 625 წუთს შეადგენს. თუ ლომაიას სერია მინიმუმ 660 წუთამდე ავა, იგი ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის (IFFHS) რეიტინგშიც მოხვდება, სადაც, ბუნებრივია, მით უფრო მაღალ ადგილს დაიკავებს, რაც უფრო დიდხანს გასტანს მისი სერია. აღნიშნულ რეიტინგში ყველა დროის 500-მდე მეკარე ფიგურირებს. სერიის გაგრძელების შანსი კი ლომაიას დღესვე, ბაქოს "ნეფთჩისთან" დაპირისპირებაში მიეცემა.

ცნობისთვის, IFFHS-ის მონაცემებით, ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი "მშრალი სერია" ბრაზილიელ ჟერალდო მაზაროპის ეკუთვნის, რომელიც "ვასკო და გამას" ღირსებას იცავდა და 1977-78 წლებში საკუთარ კარში ბურთი 1 816 წუთის განმავლობაში არ მიუღია. სერია 16 თვეს გაგრძელდა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილი**

## დუბლების ჩემპიონატი

XXII ტური

| | |
|---|---|
| კოლხეთი – ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| მერანი – დილა | 1:3 |
| ზესტაფონი – დინამო (თბ) | 2:1 |
| დინამო (ბთ) – ჩიხურა | 1:2 |
| ტორპედო – სიონი | 3:2 |
| მეტალურგი – ზუგდიდი | 7:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 22 | 14 | 4 | 4 | 52-23 | 46 |
| 2. დინამო (თბ) | 21 | 14 | 2 | 5 | 55-25 | 44 |
| 3. ზესტაფონი | 22 | 12 | 5 | 5 | 62-38 | 41 |
| 4. ზუგდიდი | 21 | 12 | 4 | 5 | 36-24 | 40 |
| 5. ჩიხურა | 22 | 11 | 4 | 7 | 29-26 | 37 |
| 6. ტორპედო | 22 | 9 | 5 | 8 | 31-27 | 32 |
| 7. დილა | 22 | 9 | 5 | 8 | 28-27 | 32 |
| 8. მეტალურგი | 22 | 9 | 4 | 9 | 42-37 | 31 |
| 9. კოლხეთი | 22 | 8 | 3 | 11 | 23-40 | 27 |
| 10. დინამო (ბთ) | 22 | 6 | 3 | 13 | 28-42 | 21 |
| 11. მერანი | 22 | 4 | 2 | 16 | 12-49 | 14 |
| 12. სიონი | 22 | 0 | 5 | 17 | 17-57 | 5 |

*შენიშვნა: დუბლების გათამაშება განახლდება 2013 წლის გაზაფხულზე.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# კახა დევდარიანი: ფუტსალს ზეწოლით ჩამომაშორეს

## სფფ: ფუტსალს აქტიურად ვეხმარებით

**საქართველოს ფუტსალის ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი კახა დევდარიანი ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას მოითხოვს.**

**დევდარიანის თქმით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა ფუტსალის განვითარებას გულგრილად ეკიდება...**

- ჩემი პრეტენზია ძალიან მკაფიო და გამჭირვალეა: ფედერაციის მოქმედი პრეზიდენტის დროს, ათგუნდიანი ჩემპიონატი ექვს გუნდამდე შემცირდა, დაიკარგა რეგიონის კლუბები, ახლა მხოლოდ თბილისის და თელავის გუნდები მონაწილეობენ, ასე რომ, ფუტსალის არეალი შემცირდა, რამაც ჩვენ უდიდესი დარტყმა მოგვაყენა.

**- ამაში სიჭინავა რა შუაშია?**

- მის უგულო დამოკიდებულებას წავაწყდით. ეს იმაში გამოიხატება, რომ ავუხსენით ჩვენი მდგომარეობა, რომ ფაქტობრივად, სახლ-კარის გარეშე ვრჩებოდით. ვამჩნევდი, დიდად ჩემი პიროვნება არ ახალისებდა და ნორმალურად არც გვისმენდა. ბრიყვი არ ვარ და შევთავაზე ნებისმიერი პროფესიონალის მოყვანა, მე კი გადავდგებოდი. ფაქტობრივად, ფუტსალმა სამი წელი დაკარგა, დაინგრა ბავშვთა სკოლა, ახალგაზრდული ნაკრები და ეროვნულმა გუნდმაც წარმატებას ვერ მიაღწია.

არადა, უსახსრობის მიუხედავად, ჩემი მოღვაწეობის დროს, ფუტსალის ნაკრები ფიფას რეიტინგში 87-ე ადგილიდან 22-ზე დაწინაურდა. ეს ბატონ ზვიადსაც ვუთხარი, მაგრამ შრომა მაინც უარყოფითად შეგვიფასა.

საინტერესო იყო ჩემ მიმართ მისი ნათქვამი ფრაზაც, რა ხდება ამ ფუტსალში, ბრეჟნევივით დიდხანს რომ არიან პოსტებზეო. აბა, ამ განცხადებით გასაგები არ გახდა, რომ ჩემი გადაყენება სურდა? ამას ბრიყვიც არ დაუჯერებს და ასეც მოხდა, მოიყვანა თავისი ხალხი და წაგვართვეს "ქარიშხალა", რომელიც ფუტსალს ასულდგმულებდა.

მოკლედ, ფუტსალში ბევრი რამ უკან წავიდა, ახალგაზრდული ნაკრები აღარ გვყავს; ისე გამოდის, თბილისის ჩემპიონატს ვატარებთ. ბათუმი, გორი, ახალციხე, მცხეთა აღარ მონაწილეობენ და ფუტსალის არეალი შემცირდა. ვერაფრით გავაგებინე ამ კაცს, რა არის ფუტსალი. არადა, ფუტსალი კლასიკური ფეხბურთის შვილობილია და ერთის განვითარება მეორეზეც დადებითად იმოქმედებს. ეს ელემენტარული საკითხი რომ არ გესმის, უნდა გადადგე.

**- გულახდილად ვთქვათ, ფუტსალს სერიოზულად ბევრი პრეზიდენტი არ ეკიდებოდა და არა მხოლოდ სიჭინავა.**

- საერთოდ, მთლიანად ქართული ფეხბურთის საქმე ძალიან ცუდად არის და ამიტომაც მხარს ვუჭერ "ჩვენი ფეხბურთის" პოზიციას, რომელიც რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას მოითხოვს. საქართველოში ბევრი ადამიანი მეგულება, რომელიც საქმეში სიჭინავაზე უკეთ ერკვევა.

**- რიგგარეშე არჩევნების საკითხი დროებით გაყინულია. უეფას ალმასკომის წევრმა გრიგორი სურკისმა პირდაპირ თქვა, რომ უეფა ხელისუფლების ყოველ შევცლაზე ფეხბურთის ფედერაციის თავკაცის გადარჩევას არ მიესალმება.**

- უეფა და ფიფა გიორგი ნემსაძის 15 წუთში ძალით გადაყენებას მიესალმა? საერთოდაც, ჩვენ სიმართლით და საკუთარი საჭიროებით უნდა ვიცხოვროთ და არა ვილაცის რჩევებით, რომელიც ჩვენს ვითარებაში კარგად ვერ ერკვევა. მთავარია, ქართველმა არ თქვას, რა სტკივა და რას განიცდის და არა ის, იმან რა თქვა და ამან რა დაამატა. ქართველი ფეხბურთის კატასტროფულ მდგომარეობასა და უსამართლოდ ჩატარებულ არჩევნებს განიცდის, იმ უცხოელისგან განსხვავებით.

ქვეყანაში უნდა დაფასდეს ცოდნა და გამოცდილება. არ შეიძლება ისეთი პრეზიდენტები ინიშნებოდნენ, რომელთა წარსული კარგად არ არის ცნობილი და ამის გამო ეს ინსტიტუტი გაუფასურდა. ასე არაფრიდან დარგის ხელმძღვანელი არ უნდა იბადებოდეს.

და კიდევ: აუცილებელია, რომ კონკურენცია პროფესიონალებს შორის წარმოებდეს. არ შეიძლება, ორი ვადით იყო და კონკურენტი არ გყავდეს. როდესაც არჩევნებში განაცხადის შეტანის სურვილი არავის აქვს, ეს არ არის თავისუფალი არჩევნები. თქვენთვის გასაგები უნდა იყოს, ეს როგორ ხდებოდა. ამიტომ უხერხულიც არის იმაზე ლაპარაკი, სიჭინავას პრეზიდენტად მოსვლის დროს იყო თუ არა ზეწოლა – რა თქმა უნდა, იყო.

**- ამას რომ ამბობთ, კონკრეტულ მაგალითს მოგთხოვენ.**

- არჩევნებში ბატონ სიჭინავას კონკურენტი არ ჰყავდა და მეტი რა მაგალითი გინდათ? ეს ის პოსტია, რომელსაც ძალიან ბევრი ეშურება და დავიჯეროთ, ისე მოვიდა, რომ ალტერნატიული კანდიდატურა არ იყო? ხომ ვიცით, რომ ეს ტყუილია. სანამ ამ ფარისევლობას ექნება ადგილი, ფეხბურთს არაფერი ეშველება.

დროა, ფეხბურთი ძველი პოლიტიკის გავლენებისგან განთავისუფლდეს. მე რომ გამიშვეს, სწორედაც რომ ზეწოლას ვგრძნობდი. კონკრეტული მაგალითი ხომ გაინტერესებდათ? გეტყვით ფრაზას, რაც მაშინ მითხრეს - ჩვენს უკან ძალა დგასო! მაშინ გავეცი ის პასუხი, რაც კაცს შეშვენის, მაგრამ ეს საზოგადოებისთვის უცნობია. რას ნიშნავს, შენს უკან ძალა



დგას, რა, ჩვენ კრიმინალები ვიყავით თუ ჩემი წვერები არ მოსწონდათ? იქნებ, რამე არ გავაკეთეთ ქვეყნისა და ხალხისთვის? ჩემი გადაყენების შემდეგ პირველი ტურნირი შსს-ს აკადემიაში ჩატარდა, რაც ყველას გაუკვირდა. შემდეგ საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრებიც იქ მივიღეთ. ეს რა მინიშნება იყო?

მეორეც: საფეხბურთო სამყაროში ძალიან ბევრი ადამიანი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან კომფორმისტულ პოზიციას არ იკავებდა. იგივე კალაძის ამბავი ავიღოთ. ამ დროს, შენ რომ დუმხარ და მისი ნაკრებიდან წასვლისი გამო არ წუხარ და გამოსამშვიდობებელ შეხვედრაზე არაფერს ამბობს, ეს არ არის გამართლებული.

ჩემთვის გაუგებარი იყო ლევან ყიფიანთან შეხვედრის შემდეგ გაკეთებული განცხადება, რომ სინდისში ჩაიხედა და იქ ვერაფერი დაინახა. ნებისმიერი ადამიანი საკუთარ თავში ხინჯს ხედავს და არა მგონია, ასეთი თავდაჯერებული განცხადება გამართებული იყოს.

ყველა საკითხი ღია და საჯარო უნდა გახდეს და ამაზე უნდა ვილაპარაკოთ. ფედერაციის სუბიექტებმა თავად უნდა თქვან, რა უჭირთ, რა ულხინთ, რას ელიან და რა უნდა გავაკეთოთ ხვალ. ის რომ ააშენე, მხოლოდ ამაზე ლაპარაკი უხერხულია. თავისთავად ცხადია, სახელმწიფო სახსრებით რომ გეხმარება, უნდა ააშენო, მაგრამ მეტი უნდა გაკეთებულიყო.

***...კახა დევდარიანის მოსაზრებას ეთანხმება ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებების ყოფილი მთავარი მწვრთნელი პეტრე თაბუკაშვილი და ამბობს, რომ დევდარიანის გათავისუფლების დროს ფუტსალის სამყაროზე მართლაც იყო ზეწოლა და ბოლო სამ წელიწადში ფუტსალის ადგილობრივი პროექტები ჩაიშალა.***

■ ■ ■

კახა დევდარიანის განცხადებაზე კომენტარისთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მივმართეთ.

*"საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ფუტსალის ასოციაციასთან აქტიურად თანამშრომლობს და სრულად იზიარებს იმ პრობლემებს, რომელიც არსებობს. ქართული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ არაერთხელ გამოუცხადა თანადგომა ფუტსალის ასოციაციას, რომელსაც საქართველოს ჩემპიონატის ჩატარებასთან დაკავშირებით ბოლო სეზონში არაერთი პრობლემა ჰქონდა. შეგიძლიათ გაეცნოთ სრულ ინფორმაციას ჩვენს ოფიციალურ ვებგვერდზე, სადაც ფუტსალთან დაკავშირებით ჩვენ არაერთი საქმიანი შეხვედრა გავმართეთ ჩემპიონატის ორგანიზებასთან დაკავშირებით. არსებობდა რეალური საფრთხე, რომ გასული სეზონის ჩემპიონატი უსახსრობის გამო ჩაშლილიყო. პირველობის სრული დაფინანსება და გუნდების ტრანსპორტირება ფეხბურთს ფედერაციამ უზრუნველყო. ქართულმა მხარემ არაერთი საქმიანი მოლაპარაკება გამართა უეფას მაღალჩინოსნებთან ფუტსალის ოთხთა ფინალის თბილისში ჩატარებაზე. ხანგრძლივი თანამშრომლობის შედეგად უეფას გადაწყვეტილებით საქართველოს დედაქალაქი ევროპის ერთ-ერთი პრესტიჟული საკლუბო გათამაშების მასპინძლად დასახელდა. აპრილში დაგეგმილი ღონისძიების მთავარი ორგანიზატორი უეფასთან ერთად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ფუტსალის ასოციაციის აქტიურ თანამშრომლობაზე სრული ინფორმაცია თავად ასოციაციის მოქმედი ხელმძღვანელობისგან შეგიძლიათ მიიღოთ"* – გვითხრა სფფ-ს პრეს-სპიკერმა **ოთარ გიორგაძემ.**

**მერაბ მამულაშვილი**

ჭაბუკთა ლიგა

XV ტური

**1995/96 წლებში დაბადებულნი**

| | |
|---|---|
| ზუგდიდი – ბაია | 3:1 |
| სიონი – საბურთალო | 0:2 |
| მერანი – დინამო (თბ) | 1:5 |
| დინამო (ბთ) – დილა | 0:1 |
| ტორპედო – 35-ე ს.ს. | 4:1 |
| კოლხეთი (ფ) – ჩიხურა | 5:3 |
| ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი | 3:0 |
| ლოკომოტივი – მეტალურგი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 15 | 10 | 4 | 1 | 38-11 | 34 |
| მეტალურგი | 14 | 10 | 2 | 2 | 36-13 | 32 |
| დილა | 15 | 9 | 2 | 4 | 27-19 | 29 |
| დინამო (თბ) | 15 | 9 | 1 | 5 | 40-22 | 28 |
| საბურთალო | 15 | 9 | 1 | 5 | 36-21 | 28 |
| ტორპედო | 15 | 8 | 4 | 3 | 36-19 | 28 |
| ლოკომოტივი | 14 | 8 | 3 | 3 | 35-18 | 27 |
| ზესტაფონი | 15 | 7 | 3 | 5 | 25-20 | 24 |
| ბაია | 15 | 5 | 5 | 5 | 29-33 | 20 |
| ზუგდიდი | 15 | 5 | 2 | 8 | 20-36 | 17 |
| კოლხეთი | 15 | 4 | 4 | 7 | 13-30 | 16 |
| 35-ე ს.ს. | 15 | 4 | 2 | 9 | 19-26 | 14 |
| დინამო (ბთ) | 15 | 3 | 4 | 8 | 11-23 | 13 |
| სიონი | 15 | 3 | 3 | 9 | 16-25 | 12 |
| ჩიხურა | 15 | 2 | 3 | 10 | 14-49 | 9 |
| მერანი | 15 | 1 | 1 | 13 | 13-43 | 4 |

**1997-98 წლებში დაბადებულნი**

| | |
|---|---|
| ზუგდიდი – ბაია | 0:3 |
| სიონი – საბურთალო | 0:13 |
| დინამო (ბთ) – დილა | 0:4 |
| ტორპედო – 35-ე ს.ს. | 0:0 |
| მერანი – დინამო (თბ) | 0:3 |
| კოლხეთი (ფ) – ჩიხურა | 2:0 |
| ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი | 2:1 |
| ლოკომოტივი – მეტალურგი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 15 | 12 | 2 | 1 | 69-10 | 38 |
| საბურთალო | 15 | 11 | 4 | 0 | 75-8 | 37 |
| ბაია | 15 | 10 | 4 | 1 | 36-9 | 34 |
| ლოკომოტივი | 14 | 10 | 2 | 2 | 55-12 | 32 |
| მეტალურგი | 14 | 9 | 1 | 4 | 26-13 | 28 |
| დილა | 15 | 8 | 2 | 5 | 19-15 | 26 |
| ტორპედო | 15 | 7 | 3 | 5 | 27-24 | 24 |
| 35-ე ს.ს. | 15 | 6 | 3 | 6 | 26-14 | 21 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 6 | 2 | 7 | 17-18 | 20 |
| ზესტაფონი | 15 | 6 | 2 | 7 | 20-42 | 20 |
| კოლხეთი | 15 | 4 | 4 | 7 | 12-25 | 16 |
| მერანი | 15 | 3 | 6 | 6 | 19-21 | 15 |
| დინამო (ბთ) | 15 | 3 | 1 | 11 | 10-46 | 10 |
| ზუგდიდი | 15 | 2 | 2 | 11 | 7-42 | 8 |
| ჩიხურა | 15 | 0 | 4 | 11 | 8-63 | 4 |
| სიონი | 15 | 0 | 2 | 13 | 6-70 | 2 |

*შენიშვნა: ჭაბუკთა ლიგის გათამაშება განახლდება 2013 წლის გაზაფხულზე.*

რეგიონი. ინტერვიუ გურიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან

# კახა ებრალიძე: ჩვენ უმადურები არა ვართ

**მესამე წელია, გურიის ფეხბურთს წარმატებულად ხელმძღვანელობს კახა ებრალიძე. ამ პერიოდში გურიის კლუბები შედეგიანად ათამაშდნენ და მრავალწლიანი პაუზის შემდეგ სამივე ქალაქის სტადიონებს მაყურებელი დაუბრუნდა. რა თქმა უნდა, იმის იმედით, რომ „გურია" და „მერცხალი" ელიტლიგაში ითამაშებენ. მიმდინარე სეზონში ამის შანსი ლანჩხუთელებს აქვთ, რომლებსაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მინდვრის საფარი გამოუცვალა. უფრო ადრე სფფ-მ გურიის რეგიონულ ფედერაციას ქალაქის ცენტრში ოფისი შეუძინა.**

**თუმცა ყველაზე მთავარი, რაც გრფფ-ის მესაჭემ ამ სამ წელიწადში მოახერხა, ისაა, რომ გურიის ფეხბურთი დაყოფილი აღარ არის და ლანჩხუთ-ოზურგეთის დაპირისპირება უკვე სამი წელია, რაც ისტორიის საკუთრება გახდა.**

**„ლელო" კახა ებრალიძეს განვლილი 3 წლის შესაფასებლად და გურულ ფეხბურთში დღეს არსებულ ვითარებაზე სასაუბროდ რეგიონული ფედერაციის ოფისში ესტუმრა:**

**— სამი წელია, რაც რეგიონულ ფედერაციას უდგახართ სათავეში, რისი გაკეთება მოახერხეთ ამ ხნის განმავლობაში და რას პირდებით ფეხბურთის გურულ გულშემატკივრებს?**

— ძალიან ბევრი რამ გაკეთდა და გურიის ფეხბურთში პრობლემები არ გვაქვს-თქო, ამას ვერ გეტყვით და არც თქვენ დაიჯერებთ, თუმცა ჩემს გუნდთან ერთად ყველაფერს ვაკეთებთ, რისი შესაძლებლობა გვაქვს, იმაზე მეტსაც, რომ რეგიონში ფეხბურთს ყურადღება არ მოაკლდეს. მნიშვნელოვან საკითხებს აუცილებლად ვუთანხმებთ ოზურგეთისა და ჩოხატაურის საფეხბურთო საზოგადოებას და ჩვენთან ისე არაა, რომ ლანჩხუთი ერთპიროვნულად წყვეტდეს, გურიის ფეხბურთში რა როგორ სჯობს. დიდ ყურადღებას ვანიჭებთ ბავშვთა ფეხბურთს, ყოველწლიურად ვატარებთ ტურნირებს. ჩვენი აღზრდილები საქართველოს სხვადასხვა ასაკის ნაკრების კანდიდატები არიან.

მეტად სასიხარულოა, რომ „გურია" წარმატებით ასპარეზობს და უმაღლეს ლიგაში დაბრუნების მთავარი კანდიდატია. კლუბის ელიტაში დაბრუნება მთელ გურიის ფეხბურთს წაადგება. სწორი მუშაობა მიდის და სამომავლოდ, უმაღლესზე იფიქრებს ოზურგეთის „მერცხალიც", რომელსაც ნაყოფიერად ხელმძღვანელობს ხარიტონ ჩხატარაშვილი. სასიამოვნო მოულოდნელობაა ჩოხატაურის „ბახმაროს" ამბიციები, რაც უპირველესად გრიშიკო თოდრიას დამსახურება გახლავთ.

**— როგორც ვიცი, არც ერთ კლუბს არ ჰყავს სპონსორი და ფონს ადგილობრივი ბიუჯეტით გადიხართ...**

— დიახ, ასეა და ამისთვის მადლობელი ვართ ადგილობრივი ხელისუფლების. არ ყოფილა შემთხვევა, გურიის გუბერნატორ ვალერი ჩიტაიშვილისთვის დახმარება გვეთხოვოს და რაც შესაძლებლობა ჰქონდა, არ გაეკეთებინა.

**— როგორც ცნობილია, „გურიისთვის" ბევრი გააკეთა ლანჩხუთის აწ უკვე ყოფილმა გამგებელმა გიორგი გოგუაძემაც, რომელსაც მაჟორიტარული არჩევნები კლუბის ლეგენდამ, თემურ ჩხაიძემ მოუგო...**

— დიახ, გია გოგუაძე ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი გამორჩეულია, ფეხბურთი აგრერიგად რომ უყვარს. რომ არა თემურ ჩხაიძის გამარჯვება ლანჩხუთის არჩევნებში, გია გოგუაძის წაგება „გურიასთვის" ძალიან მტკივნეული იქნებოდა. ჩვენ, ლანჩხუთში საფეხბურთო კუთხით დასაქმებული ადამიანები, აღმოვჩნდით მძიმე მდგომარეობაში — ორივე კანდიდატი კლუბისთვის ძვირფასი გახლდათ. ერთი მხრივ, გაგვიმართლა, რომ ყველა შემთხვევაში, „გურია" უპატრონოდ არ დარჩებოდა. თემურ ჩხაიძემ კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კარგ ფეხბურთელობასთან ერთად კარგი ადამიანია — მან ისეთ დროს გაუწოდა დახმარების ხელი „გურიას", როცა ძალიან ბევრი ამ დროს დაელოდებოდა გუნდის დაშლას, რისი საშიშროებაც აშკარად გვქონდა და მერე გუნდის აღდგენით პიარს გაიკეთებდა. მას გვერდში კახა კალაძეც დაუდგა. ამ ხალხის დამსახურებაა, რომ დღეს „გურია" აგრძელებს ჩემპიონატს და კლუბი პოლიტიკას არ გადააყოლეს. ზოგადადაც იმის მომხრე ვარ, ფეხბურთი პოლიტიკას გაემიჯნოს.



კახა ებრალიძე

**— ამ სამი წლის მანძილზე გურიის ფეხბურთში რამდენიმე გამოსარჩევი პროექტი განხორციელდა — ფეხბურთის ფედერაციამ ოფისი შეგიძინათ, ლანჩხუთის ცენტრალურ სტადიონზე ახალი საფარი დაიგო... ამის ფონზე და ზემოთ პოლიტიკაც ვახსენეთ, ჩაგეკითხებით — რას იტყვით იმაზე, რომ ბევრი სფფ-ის პრეზიდენტის ვადამდელ არჩევნებს ითხოვს?**

— ჩვენი მხრიდან უმადურობა იქნება, ზვიად სიჭინავას გადადგომას დავუჭიროთ მხარი. გურიის ფეხბურთს მისი ყურადღება ამ სამი წლის განმავლობაში არ მოკლებია. რა თქმა უნდა, მეტი პრობლემაა და მეტი სახსრებია რეგიონში ფეხბურთის განვითარებისთვის საჭირო, მაგრამ გურულები ამ პერიოდში გაკეთებულით უკმაყოფილო ვერ ვიქნებით.

**— ამ ეტაპზე „გურიას" სტადიონის რეკონსტრუქცია შეჩერებულია, იმედია, ახალი ხელისუფლება გააგრძელებს წინამორბედის დაწყებულ საქმეს, მაგრამ ზვიად სიჭინავა უეფას პროექტით ოზურგეთის სტადიონის რეაბილიტაციას აპირებდა და რატომ მოიხსნა დღის წესრიგიდან ეს საკითხი?**

— არ მოხსნილა და ოზურგეთის არენის რეაბილიტაცია, იმედია, მალე დაიწყება. ფეხბურთის ფედერაციას პროექტი კი ჰქონდა დაწერილი, მაგრამ, როგორც ვიცი, უეფამ ის პროექტი ბოლო მომენტში არ დააფინანსა.

**— არ შეიძლება არ გკითხოთ გრიგოლეთის საწვრთნელ ბაზაზე, რომელიც სანაკრებო ბაზადაც გამოდგება, რა თქმა უნდა, რეაბილიტაციის შემთხვევაში...**

— როგორც იცით, ამაზე არის საუბარი. ლანჩხუთს ახლა კიდევ ერთი პლუსი აქვს, რომ პარლამენტში გვყავს ადამიანი თემურ ჩხაიძის სახით, ვისი დიდი იმედიც აქვთ „გურიას" გულშემატკივრებს. მაქვს ინფორმაცია, რომ ბატონი თემური „გურიას" სპონსორთან დაკავშირებით აქტიურად მუშაობს. რა თქმა უნდა, ამის მცდელობები ადრეც იყო, მაგრამ სულ სხვაა, როცა საქმეში ჩართული იქნება პარლამენტარი, თანაც ისეთი, რომელიც ლანჩხუთში უპატიოსნედ კაცადაა ცნობილი.

**მამუკა ქანთარია**
**ლანჩხუთიდან**

ინგლისი. პრემიერლიგა. XVIII ტურის შეჯამება

# დასასრული ჯერ ადრეა



სტივ ჯერარდი ლივერპულთან თანამშრომლობას აგრძელებს

## სხვაობა შემცირდა

XVIII ტურის უმთავრესი შედეგი ის არის, რომ ჩემპიონატის ლიდერებს შორის სხვაობა შემცირდა. რაც მთავარია, "ჩელსიმ" ხმამაღალი განაცხადი გააკეთა, რომ ჯერ კიდევ აწუხებს საჩემპიონო ამბიცია. "იუნაიტედმა" "სუონსისთან" დაკარგა ქულა და თანაც იმ დროს, როცა მეტოქესთან კოლოსალურ უპირატესობას ფლობდა. "ეშმაკებს" ისღა დარჩენიათ, რომ დამნაშავე საკუთარ თავში ეძიონ. განსხვავებულად განვითარდა მოვლენები "სიტი"-"რედინგის" შეხვედრაში. "ქალაქელებს" მატჩის ბოლოს ისე რა მომენტები ჰქონდათ, მაგრამ მაინც გაიტანეს. მეორე თემაა, რამდენად სამართლიანი იყო **გარეთ ბერის** გოლის ჩათვლა. აღნიშნული ეპიზოდის შეფასებისას საფეხბურთო ექსპერტების მოსაზრებები ერთმანეთისგან მკვეთრად გაიყო. ნაწილი ამტკიცებს, რომ **მაიკ დინს** სრული უფლება ჰქონდა, ასე მოქცეულიყო, რადგან **ნიკი შორისა** და ბერის შორის ორთაბრძოლა არ ყოფილა. სტუმართა მცველს არც კი უცდია ბურთზე ახტომა და მხოლოდ კორპუსით ცდილობდა მეტოქისთვის ბურთისაკენ მიმავალი გზა გადაეკეტა. წესების ასეთ განმარტებას სხვები არ ეთანხმებიან. დებატები მსაჯის გადაწყვეტილებაზე, როგორც ჩანს, მატჩის შემდეგ "სიტის" გასახდელშიც გაიმართა. ყოველ შემთხვევაში ასე აცხადებს თავად გოლის ავტორი: *"წესების დარღვევა იყო თუ არა? ვერ გეტყვით, მომენტი განმეორებით ჯერ არ მინახავს. ნიკი შორი მხოლოდ იდგა საჯარიმოში, მე კი უბრალოდ ბურთთან პირველი გავჩნდი. ბიჭებმა მითხრეს, რომ შესაძლოა, წესი მართლა დავარღვიე, მაგრამ ამის მიუხედავად მოხარული ვარ, რომ მსაჯმა არ ჩასტვინა".*

აქვე გეტყვით, რომ "სიტის" გოლი ინგლისური პრესისთვის არ ყოფილა ერთადერთი საკამათო თემა მსაჯებთან დაკავშირებით. მაგალითად, ეჭვს იწვევს "სიტის" 18 წლის ჰოლანდიელი მცველის **კარიმ რეკიკისა** და რედინგელი **ჯეი ტაბის** ეპიზოდი; **თეო უოლკოტისა** და **ჟან ბოსეჟურის** კონტაქტის შემდეგ "უიგანის" კარში პენალტის დანიშვნის ლოგიკურობა, ასევე **ეშლი უილიამსის** საქციელი, როცა მან მწოლიარე **რობინ ვან პერსის** ბურთი მიზანმიმართულად მოარტყა თავში; "აპტონ პარკზე" **ენტონი ტეილორის** მიერ უხეში თამაშისთვის ჯერ **კარლტონ კოულისა** და შემდეგ **დარონ გიბსონის** მინდვრიდან გაძევება.

## ლემპარდი: 130, 190 და 500

**ფრენკ ლემპარდმა** "ჩელსიში" 130-ე პრემიერლიგური გოლი გაიტანა და ამ შედეგით 34 წლის ფეხბურთელმა "ლურჯების" ლეგენდარულ თავდამსხმელ **ბობი ტემბლინგს** ("ლურჯების" შემადგენლობაში 1959-70 წლებში თამაშობდა) გადაუსწრო. უმაღლეს ლიგაში გოლების რაოდენობით ის პირველ ადგილზე გადავიდა. "ლურჯების" ყველა დროის ბომბარდირებში ლემპარდმა მე-3 ადგილზე გადაინაცვლა. ფრენკის ანგარიშზე სულ 190-ე გოლია "ჩელსის" მაისურით. მეორე ადგილზეა **კერი დიქსონი** 193 ბურთით, პირველზე კი 202-ით ტემბლინგია. გეტყვით იმასაც, რომ კვირას ლემპარდმა პრემიერლიგაში თავისი მე-500 შეხვედრა დაიწყო სასტარტო შემადგენლობაში. საერთო მონაცემებში, ბუნებრივია, "ვესტ ჰემში" ჩატარებული მატჩებიც შედის. *"მიხარია, რომ ამ საპატიო რეკორდის ავტორი ვარ. ისეთი დიდი ბომბარდირისა და დიდი ადამიანის გადასწრება, როგორიც ბობია, განსაკუთრებულად საამაყოა. ძალიან მიხარია, რომ ეს "ასტონ ვილასთან" შთამბეჭდავ შეხვედრაში მოხდა,"* – აცხადებს ვეტერანი.

### ბომბარდირები

13 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი)
12 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი)
11 - **დემბა ბა** (ნიუკასლი), **ლუის სუარესი** (ლივერპული)
9 – **ჯერმეინ დეფო** (ტოტენჰემი)
8 - **მარუან ფელაინი** (ევერტონი), **სტივენ ფლეტჩერი** (სანდერლენდი)
7 - **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი), **სანტი კასორლა** (არსენალი), **ფერნანდო ტორესი** (ჩელსი) **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი)

### ასისტენტები

7- **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **ხუან მატა** (ჩელსი)
6 - **ედენ აზარი** (ჩელსი), **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი)
5 - **ბრაიან რუისი** (ფულჰემი), **ადამ ლალანა** (საუთჰემპტონი), **დემიენ დაფი** (ფულჰემი), **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი), **ლუკას პოდოლსკი** (არსენალი), **სტივენ ჯერარდი** (ლივერპული)

### გოლი+პასი

18 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი) - 12+6
14 - **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი) 7+7, **მიგელ მიჩუ** (სუონსი) - 13+1
13 - **ლუის სუარესი** (ლივერპული) - 11+2, **ხუან მატა** (ჩელსი) – 6+7
12 - **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი) – 7+5, **დემბა ბა** (ნიუკასლი) – 11+1
11 - **ჯერმეინ დეფო** (ტოტენჰემი) 9+2, **მარუან ფელაინი** (ევერტონი) – 8+3, **სანტი კასორლა** (არსენალი) 7+4
10 – **ლუკას პოდოლსკი** (არსენალი) 5+5, **ედენ აზარი** (ჩელსი) 4+6

### გაფრთხილებები

7 – **კრეიგ გარდნერი** (სანდერლენდი), **ანხელ რანხელი** (სუონსი), **დინ უაიტჰედი** (სტოკ სიტი)
6 – **მარკ ნოუბლი** (ვესტ ჰემი), **ლუის სუარესი** (ლივერპული), **პოლ სქოულზი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **ჯეიმს პერჩი** (ნიუკასლი)

### სეზონის 5 საუკეთესო ფეხბურთელი EA SPORTS-ის მიხედვით

1. **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნ.)
2. **იაია ტურე** (მანჩესტერ სიტი)
3. **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი)
4. **სანტი კასორლა** (არსენალი)
5. **ლეიტონ ბეინსი** (ევერტონი)

### ზოგადი სტატისტიკა დღეისთვის

179 მატჩი
124 მოგება
55 ფრე
90 მშრალად შენახული კარები
16 უგოლო მატჩი
501 გოლი
4 ჰეთთრიკი
29 პენალტი
16 ჯარიმა
103 თავით
353 ფეხით (+სხვა)
2.80 საშუალო შედეგიანობა
21 ავტოგოლი
458 ფეხბურთელი
26.1 საშუალო ასაკი
302 ლეგიონერი
71 ეროვნების მოთამაშე
550 ყვითელი ბარათი
25 წითელი ბარათი
8 გაძევება ორი ყვითლით
17 გაძევება წითელი ბარათით

### ტურის მწვრთნელი

უფლება არ გვქონდა, სხვანაირად მოვქცეულიყავით. ტურის მწვრთნელად 51 წლის **რაფა ბენიტესს** ვასახელებთ.

[illegible] "ჩელსიმ" ფიფას საკლუბო ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ "აიშვა". ჯერ იყო და, ლიგის თასზე "ლიდს" 6:1 სძლია, ახლა კი "ასტონ ვილას" 8:0 მოუგო. საინტერესოა, თუ დარჩნენ ლონდონური კლუბის ფანები, რომელთაც პრინციპულად არ სურთ რაფასთან შერიგება მხოლოდ იმიტომ, რომ ესპანელი ოდესღაც "ლივერპულის" მთავარ მწვრთნელად მუშაობდა. თუ კიდევ დარჩნენ, ვეჭვობთ, უფრო ცოტანი, ვიდრე ბოლო შეხვედრებამდე იყვნენ. "ჩელსის" თავკაცს ფეხბურთელებმა იდეალური საშობაო საჩუქარი გაუკეთეს.

### ტურის გმირი

**სტივენ ჯერარდი** საუკეთესო სეზონს ნამდვილად არ ატარებს. 32 წლის ცენტრალური ნახევარმცველის ანგარიშზე მიმდინარე სეზონში საკლუბო დონეზე 25 თამაშში 5 გოლი და 8 საგოლე გადაცემაა. მისი პოზიციიდან გამომდინარე, თითქოს ეს ცოტა არ არის, მაგრამ... ჩვენ ხომ მისგან უფრო შთამბეჭდავ შედეგებს ვართ მიჩვეულნი. სტივი "ფულჰემთან" შეუდარებელი იყო. მის ანგარიშზე გოლი და 2 შედეგიანი საგოლე გადაცემაა. აქვე გეტყვით, რომ "გარდიანის" ცნობით, კლუბმა ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 1.5 წლით ადრე ფეხბურთელს თანამშრომლობის გაგრძელება შესთავაზა. **ბრენდან როჯერსმა** შეგირდს გუნდის მამოძრავებელი ძალა უწოდა.

### მომდევნო ტური

**26 დეკემბერი:** ევერტონი-უიგანი, ფულჰემი-საუთჰემპტონი, იუნაიტედი-ნიუკასლი, ნორვიჩი-ჩელსი, ქუინზ პარკი-ვესტ ბრომ, რედინგი-სუონსი, სანდერლენდი-სიტი, ასტონ ვილა-ტოტენჰემი, სტოკ სიტი-ლივერპული.

**არსენალი-ვესტ ჰემი** **გადაიდო**

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




ინციდენტი

# ფერგიუსონი მოითხოვს

სუონსის "ლიბერთი სტედიუმზე" "მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრის მეორე ტაიმში მასპინძელთა კაპიტანმა, 28 წლის **ეშლი უილიამსმა** მეტოქის მცველთან შეჯახების შემდეგ წაქცეულ **რობინ ვან პერსის** ბურთი გამეტებით მოარტყა თავში. ჰოლანდიელის ფიცხი ხასიათის შესახებ მოგეხსენებათ და მის რეაქციასაც ალბათ იოლად წარმოიდგენთ. რობინი გონს მალე მოეგო, საქმეში სხვა ფეხბურთელებიც ჩაერივნენ და სიტუაცია განიმუხტა. არბიტრმა **მაიკლ ოლივერმა** ფეხბურთელებს ყვითელი ბარათები უჩვენა. მატჩის შემდეგ ინციდენტზე კომენტარი **ალექს ფერგიუსონმა** გააკეთა: *"ვფიქრობ, საფეხბურთო ასოციაციამ ეს მომენტი დამატებით უნდა შეისწავლოს. მიუხედავად იმისა, რომ უილიამსმა ამ საქციელისთვის ყვითელი ბარათი მიიღო, ის ხანგრძლივ დისკვალიფიკაციას იმსახურებს. მისი საქციელი იყო ყველაზე საშიში, რაც კი ბოლო წლებში მოედანზე მინახავს. ეჭვიც არ მეპარება, რომ მან ეს წინასწარი განზრახვით გააკეთა, რადგან ამ მომენტისთვის თამაში უკვე გაჩერებული იყო,"* – განუცხადა Sky Sports-ს "იუნაიტედის" თავკაცმა.

თავის საქციელს შემთხვევითობით ხსნის თავად "სუონსისა" და უელსის ნაკრების კაპიტანი. *"მხოლოდ მოგერიება მინდოდა და ბურთი ვან პერსის შემთხვევით მოხვდა. ეს რიგითი სათამაშო ეპიზოდი იყო, ჰოლანდიელმა კიდევ არაფრისგან დიდი ხმაური გამოიწვია,"* – უპასუხა შოტლანდიელ სპეციალისტს ფეხბურთელმა.

აღნიშნული შეხვედრის პირველ ტაიმში კიდევ ერთი მცირე ინციდენტი მოხდა. მე-16 წუთზე **პატრის ევრას** მიერ გატანილი პენალტის შემდეგ მასპინძელთა ფანების ტრიბუნიდან მავანმა პიროტექნიკური საშუალება აანთო და "ლიბერთი სტედიუმის" სახურავს ესროლა. საბედნიეროდ ძირს ჩამოვარდნილ მაშხალას არავინ დაუზიანებია. პოლიციამ უკვე დაჰკითხა ამ ამბის მოწმეები. გამოძიებას იმედი აქვს, რომ ხულიგნის ვინაობის დადგენა პრობლემა აღარ იქნება.


ვან პერსიმ უილიამსზე გაიწია

ამბები

## ასუ-ეკოტოს ჩელსიში არაფერი დარჩენია

"ტოტენჰემის" 28 წლის მარცხენა მცველმა **ბენუა ასუ-ეკოტომ** განაცხადა, რომ პრესით გავრცელებული ინფორმაცია, რომ სეზონის ბოლოს ის "ჩელსიში" გადასვლას აპირებს, სიმართლეს არ შეესაბამება. შეგახსენებთ, რომ **ეშლი კოული** კონტრაქტის დასრულების შემდეგ "სტემფორდ ბრიჯზე" დარჩენას უარობს და ცხადია, "ჩელსი" მის შემცვლელს ეძებს. *"ტოტენჰემთან" ჩემი ხელშეკრულება ძალაში 2015 წლამდეა. არ ვიცი, აპირებს თუ არა კლუბი ჩემს გაყიდვას, მაგრამ ჩემი აზრით, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჟურნალისტების მიერ მოგონილი მორიგი ჭორია,"* – განაცხადა ნიგერიელმა უკანახაზელმა.

## სტარიჯმა სამედიცინო შემოწმება გაიარა

Sky Sports-ის ცნობით, "ჩელსისა" და "ლივერპულს" შორის 23 წლის **დენიელ სტარიჯის** ტრანსფერი საბოლოოდ შეთანხმებულია. თავდამსხმელმა უქმეებზე მელვუდში მერსისაიდელთა ბაზაზე სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა. თუკი გავითვალისწინებთ, რომ „ასტონ ვილასთან" მატჩის განაცხადში სტარიჯი არ ყოფილა, ეს ვერსია სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს. კლუბები ახლა სატრანსფერო ფანჯრის გახსნას ელოდებიან, რათა საქმე საბოლოოდ მოაგვარონ. "ლივერპულს" გარიგება 12 მილიონი ფუნტი დაუჯდება. ამ თანხიდან 1.5 მილიონს ლონდონელები თავად ფეხბურთელს გადაუხდიან. "ენფილდზე" სტარიჯის ხელფასი კვირაში 60 ათასი ფუნტი იქნება.

## ქვიცი გვარზე ხტის

იტალიის ნაკრებისა და "მანჩესტერ სიტის" 22 წლის თავდამსხმელის **მარიო ბალოტელის** უმცროსი ძმა **ენოქ ბარვუა-ბალოტელი** (ის ინგლისური "სელფორდ სიტის" ღირსებას იცავს) ქალაქ ბრეშას პოლიციამ ორ სამართალდამცველზე თავდასხმის გამო დააკავა. ეჭვმიტანილის მტკიცებით, ის ღამის კლუბში მოწყობილი პროვოკაციის მსხვერპლი შეიქმნა, პოლიციამ კი ეჭვი მაინც მასზე აიღო და მათთან ჩხუბიც სწორედ ამ მიზეზით დაიწყო.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

უცხოური ფეხბურთი

იტალია. სერია A. XVIII ტურის შეჯამება

# წლის ბოლო აკორდი

## ბებერი ქალბატონი და ჩამორჩენილი მდევრები



ედინსონ კავანიმ 2012 წელს იტალიაში ყველაზე მეტი გოლი გაიტანა

**სერია A-ს მიმდინარე გათამაშებას თუ სკუდეტოს ჭრილში შევხედავთ, ბოლო რამდენიმე ტური ერთადერთ რამეს გვეუბნება: "იუვენტუსი" განსაკუთრებული პრობლემების გარეშე შეინარჩუნებს ტიტულს. ტურინულმა გრანდმა მიჯრით მოიგო შეხვედრები, კონკურენტებმა კი ქულები არა მარტო მოედანზე, მის მილმაც დაკარგეს... "ინტერი" არასტაბილურია, "ნაპოლის" ქულები ჩამოაკლეს და შედეგად, მეორე ადგილზე "ლაციო" აღმოჩნდა, რომელიც სკუდეტოზე ნამდვილად არ ფიქრობს და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება აქვს მიზნად დასახული.**

### მოულოდნელი მდევარი

ლიდერს "ლაციოს" სახით მოულოდნელი მდევარი ჰყავს, მაგრამ მისდევს კი რომაული გუნდი ტურინულ გრანდს? – ამ თემაზე "ბიანკოჩელესტეს" ერთ-ერთმა ლიდერმა, **სტეფანო მაურიმ** ისაუბრა: *"სხვისი რა გითხრათ და პირადად მე, სკუდეტოზე ნამდვილად არ ვფიქრობ. მთავარია, რომ ასევე გავაგრძელოთ, თამაშიდან თამაშამდე მოვუმატოთ და შედეგი აუცილებლად დადებითი გვექნება. თუ ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოვიპოვებთ, ჩავთვლი, რომ მისია შესრულებულია. "იუვენტუსი" სხვა დონის ფეხბურთს თამაშობს და სატურნირო ცხრილში შესაბამისი პოზიცია უკავია".*

ბევრად უფრო ოპტიმისტური განწყობა აქვს კლუბის პრეზიდენტ **კლაუდიო ლოტიტოს**, რომელიც სატრანსფერო საკითხებსაც შეეხო: *"ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რომ სატურნირო ცხრილში მეორე ადგილი გვიკავია. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ამ გუნდს მეტი შეუძლია და ვფიქრობ, 2013 წელს კიდევ უკეთესად ვითამაშებთ. გავძლიერდებით თუ არა ზამთრის სატრანსფერო პერიოდში? – ბაზარზე არც ისე ბევრი ფეხბურთელია, რომელთა დამატება გუნდს რეალურად გააძლიერებს. თუ ასეთი ვარიანტი გამოჩნდა, შანსს ხელიდან არ გავუშვებთ. თუმცა, დღეს უფრო ზედმეტი ფეხბურთელების გაშვებაზე ვმუშაობთ – ფრანსელინო მათუზალემმა უკვე დატოვა გუნდი და "ჯენოას" შეუერთდა, აი მაურო სარატე კი ჯერ კიდევ "ლაციოს" ფეხბურთელია".*

შეგახსენებთ, რომ გასულ უქმეებზე "ლაციო" გენუაში ჩავიდა და "სამპდორია" მისსავე მოედანზე დაამარცხა. ამ გამარჯვებით, რომაულმა გუნდმა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა მდგომარეობა და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე მოკალათდა.

### არის ფუნდამენტი?

"ინტერი"-"ჯენოას" მატჩის შემდეგ, **ანდრეა სტრამაჩონიმ** განაცხადა, რომ არის ფუნდამენტი, რომელზეც 2013 წელს დიდი გუნდი უნდა აშენდეს... სტრამაჩონი "ინტერის" მთავარ მწვრთნელად დაახლოებით ცხრა თვეა მუშაობს, თანამედროვე ფეხბურთში კი ასეთ დროში შედეგს ითხოვენ და არა საფუძვლის, ან გნებავთ ფუნდამენტის ჩაყრას. თუმცა, ანდრეა ჯერჯერობით ხელშეუხებელია, **მასიმო მორატი** კი მასზე უდიდეს იმედებს ამყარებს.

"ჯენოასთან" "ინტერმა" ქაოსური ფეხბურთი ითამაშა და შეეძლო სულაც წაეგო ის შეხვედრა - თუმცა, ფრე მარცხის ტოლფასია, როდესაც სკუდეტოს უმიზნებ და საკუთარ კედლებში აუტსაიდერს ეთამაშები.

სტრამაჩონი ისევ ძიებაშია, "ჯენოას" 3-4-3 ტაქტიკა დაუპირისპირა და თავიდანვე გვამცნო, რომ მეტოქის დანდობა არ იქნებოდა... რეალობა სხვაგვარი გამოდგა, გენუელები განსაკუთრებული პრობლემების გარეშე უმკლავდებოდნენ მასპინძელთა იერიშებს და კონტრშეტევებზე მწარედაც იკბინებოდნენ. მომენტების აღწერას აღარ მოვყვებით, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ანდრეას მორიგი ექსპერიმენტი წარუმატებელი გამოდგა. მოკლედ, არც თამაშია და არც შედეგი, "ინტერის" ქომაგთა ერთადერთი ნუგეში კი ის ფუნდამენტია, რომელზეც სტრამაჩონიმ პრესკონფერენციაზე ისაუბრა... მაგრამ, ჩაყარა კი 36 წლის სპეციალისტმა ის საფუძველი, რომელზეც დიდი გუნდი უნდა აშენდეს?

### ზღაპარში დაძლეული კრიზისი

რამდენიმე საშუალო დონის გუნდთან მოპოვებული გამარჯვება საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ "მილანის" მესვეურებს კრიზისის დაძლევაზე და აღმასვლის დაწყებაზე ეკეთებინათ განცხადებები. ჩემპიონთა ლიგის საგზური შავ-წითლებმა ჯიბეში იგულეს და ერთი-ორმა სკუდეტოსაც კი გახედა. თუმცა, ასე მარტივად არ არის საქმე და "სტადიო ოლიმპიკოზე" გამართულმა შეხვედრამ ეს ნათლად დაგვანახვა. "რომამ" შავი დღე აყარა "მილანს" და ბოლოს რომ ჩვეულად არ მოედუნებინა ყურადღება, "მრისხანე მეტოქეს" სამარცხვინო ანგარიშით დაამარცხებდა. მაინც აღვნიშნოთ, რომ "ჯალოროსი" მოწინააღმდეგეს 4:0-ს უგებდა, საბოლოოდ კი შეხვედრა 4:2 დასრულდა.

ასე იოლად "რომას" დიდი ხანია არ გაუმარჯვია და თანაც ვისთან, მსოფლიო ფეხბურთის აღიარებულ გრანდთან. ის, რაც "სტადიო ოლიმპიკოზე" "მილანის" საჯარიმოში ხდებოდა, არავითარ ახსნას არ ექვემდებარება – **მარიო იეპესი** და **ფილიპ მექსე** ფორმალურად იყვნენ მოედანზე, მათი ზონიდან კი **მარკო ამელია** პერმანენტულად იბომბებოდა. ასეთი "მილანი" "ბარსელონასთან" განწირულია, ხსნას კი გულშემატკივრები ისევ ტრანსფერებში ეძებენ – აბა, იეპესი რომ **ალესანდრო ნესტასავით** ვერ ათამაშდება, ეს ცხადზე უცხადესია. თუმცა, "მილანს" არა მარტო დაცვაში, შეტევაშიც უჭირს და სწორედ ამ თემებზე პრესას კლუბის პრეზიდენტი **სილვიო ბერლუსკონი** გაესაუბრა:

*"სეზონი მწარე მარცხით დავასრულეთ, მაგრამ ამის გამო ხასიათის გაფუჭება არ ღირს. უნდა გავაგრძელოთ მუშაობა და შედეგი აუცილებლად მოვა. სატრანსფერო პროცესებში ჩავერთვებით, მაგრამ რა დონით, ამაზე დღეს ნამდვილად ვერ გიპასუხებთ. ერთი ვიცი, მარიო ბალოტელი "მილანში" ვერ გააგრძელებს კარიერას, რადგან მასში კოლოსალურ თანხას ითხოვენ. დიდიე დროგბა? – ამ შემთხვევაშიც ფინანსებთან გვაქვს საქმე და ვფიქრობ, რომ მისი გადაბირება დღეს მხოლოდ ჩინურ, რუსულ და არაბულ გუნდებს შეუძლიათ. ვეცდებით საჭირო მოთამაშეები დავიმატოთ, ამაზე უფრო მეტს დღეს ვერაფერს ვიტყვი".*

### დიდი ნახტომი

"იუვენტუსმა" გასული სეზონი დაუმარცხებლად ჩაამთავრა და მისი დამაჯერებელი ლიდერობა არავის უკვირს. "ლაციო" **ედუარდო რეიას** დროსაც ცხრილის ზედა ნაწილში ტრიალებდა და ჩემპიონთა ლიგის საგზურსაც კარგა ხანია უმიზნებს, აი "ფიორენტინას" ასეთი ასპარეზობა კი მართლაც დიდი სიურპრიზია. თუ ვინმემ განიცადა უდიდესი პროგრესი, ეს სწორედ ფლორენციული გუნდია, რომელსაც **ვინჩენცო მონტელა** უდგას სათავეში.

განსაკუთრებულად ძლიერი "ვიოლა" ნახევარდაცვაშია, სადაც მწვრთნელს საკმაოდ დიდი არჩევანი აქვს. მაგალითად, "პალერმოსთან" გასვლით პაექრობაში, რომელიც ფლორენციელებმა სამი უპასუხო გოლის წყალობით მოიგეს, **დავიდ პისარო** თადარიგში დარჩა და მხოლოდ მეორე ნახევარში ჩაერთო თამაშში. ჩილელთან ერთად, მოედნის შუაგულს შესანიშნავად აკონტროლებენ **ალბერტო აკვილანი** და **ბორხა ვალერო**. ცნობისთვის, საგოლე პასების რაოდენობით, ესპანელი პირველ ადგილზეა მიმდინარე გათამაშებაში, მის ანგარიშზე კი რვა ასისტია. დაუმატეთ ამათ **სტევან იოვეტიჩი**, რომელიც, თუ ჯანმრთელია, გოლების გარანტად შეგვიძლია მივიჩნიოთ. თუმცა, ჩერნოგორიელი ხშირადაა ლაზარეთში და ფლორენციელებს ერთი კარგი ფორვარდი არ აწყენდათ. კლუბის პრეზიდენტმა **ანდრეა დელა ვალემ** უკვე გააკეთა განცხადება, რომლის მიხედვითაც სატრანსფერო პერიოდში სწორედ ფორვარდის ძიებაში იქნება. "ფიორენტინა" ნამდვილი აღმოჩენაა, ამ გუნდმა ყველაზე დიდი ნახტომი გააკეთა წინ.

### ლიდერი და ყველაზე რეალური კონკურენტი

"იუვენტუსმა" მორიგი მატჩი მოიგო და კიდევ უფრო გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. იტალიურ საფეხბურთო სამყაროში პრაქტიკულად აღარ დავობენ იმაზე, თუ ვინ გახდება ჩემპიონი, რადგან ტურინული გრანდი სხვებზე ორი თავით მაღლა დგას. თუმცა, "რაი სპორტმა" მაინც ჩაატარა გამოკითხვა, კითხვა კი ასეთი იყო: *"ვის შეუძლია "იუვენტუსისთვის" რეალური კონკურენციის გაწევა?"* - გამოკითხულთა უმრავლესობამ არჩევანი "ნაპოლიზე" შეაჩერა, გუნდზე, რომელსაც ორი ქულა ჩამოაკლეს და დღეს, მხოლოდ მეოთხე ადგილზეა სატურნირო ცხრილში. მიუხედავად ამისა, გულშემატკივრებს სხვებზე მეტად მაინც სამხრეთელების სჯერათ და ეს არც არის გასაკვირი - თუ იგივე "ინტერი" კარგ შემთხვევაში ჩამოყალიბების სტადიაშია, "ნაპოლი" უკვე მომწიფებულია იმისთვის, რომ ტროფეებისთვის იბრძოლოს. **ვალტერ მაცარის** შეგირდებმა სიენაში უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგეს და ტიფოზთა რწმენა კიდევ უფრო გააღრმავეს. საგულისხმოა, რომ გამოკითხვის შედეგებს პსჟ-ს მთავარი მწვრთნელი **კარლო ანჩელოტი** დაეთანხმა:

*"სერია A-ს მიმდინარე გათამაშებას ყურადღებით ვადევნებ თვალს და ანალიზის გაკეთებაც შემიძლია. ვფიქრობ, "იუვეს" გულშემატკივრები ნაადრევად ზეიმობენ სკუდეტოს, რადგან დარჩენილ დროში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ტურინელთა რეალურ კონკურენტად "ნაპოლის" მივიჩნევ, რომელიც წლებია ამ შემადგენლობით ასპარეზობს. სეზონის მეორე ნახევარში მაცარის გუნდი აუცილებლად მოუმატებს, ამაში დარწმუნებული ვარ".*

ბოლოს, ისიც ვთქვათ, რომ 2012 წლის იტალიის საუკეთესო გოლეადორი სწორედ ნეაპოლელი **ედინსონ კავანი** გახლავთ, რომელმაც მეტოქეთა კარი 43-ჯერ დალაშქრა. აქედან 27 სერია A-ში გაიტანა, 6 იტალიის თასზე, 7 ევროპის ლიგაზე, 1 ჩემპიონთა ლიგაზე, 1 იტალიის სუპერთასზე და 1 ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. მეორე ადგილზე **ანტონიო დი ნატალეა**, რომელმაც 30-ჯერ გამოიჩინა თავი, მესამე კი 29 გოლის გამტანი **დიეგო მილიტოა**.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**



სტეფანო მაური სკუდეტოზე არ ფიქრობს



ვინჩენცო მონტელას "ფიორენტინა" სეზონის მთავარი აღმოჩენაა

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XVII ტურის შეჯამება

# რეალის ფანების 93% მიიჩნევს, რომ მოურინიო ცდილობს, გააგდონ!

## ვერსიები, ვერსიები...

მთელი ესპანეთი იმ „ინციდენტით" ცხოვრობს, რაც „მალაგასა" და „რეალის" მატჩის წინ მოხდა - ჟოზე მოურინიომ შემადგენლობა ჩამოთვალა და... იკერ კასილიასი 11 კაცში ვერ მოხვდა. ესპანეთში ბევრი ფიქრობს, რომ ამით პორტუგალიელმა სპეციალისტმა იმ ზღვარს გადააბიჯა, რომლის იქითაც არ ეპატიება.

„ასმა" თავის მკითხველთა შორის გამოკითხვა ჩაატარა. აღმოჩნდა, რომ „რეალის" ფანების უმეტესობის აზრით, მოურინიო გაგდებას „იჩალიჩებს". 63 ათასი გამოკითხულიდან ამ აზრისაა 93%! „მარკამ" 100 ათასი ფანი გამოკითხა, 82% მოურინიოს წასვლის მომხრეა.

ესპანურმა მედიამ, ბუნებრივია, იმ ადამიანთა აზრებიც მოიკითხა, რომლებიც მოუს მადრიდულ კარიერაში გზაზე გადაეყარნენ და ისინი პორტუგალიელმა გზიდან ჩამოიცილა. მაგალითად, „რეალის" ყოფილი გენერალური დირექტორი ხორხე ვალდანო მიიჩნევს, რომ ამით პორტუგალიელმა ფლორენტინო პერესს „ძალა" აჩვენა. გუტი მიიჩნევს, რომ ახლა მოურინიოს მოხსნა არაფრით არ შეიძლება: „უნდა ეს მას თუ არა, სეზონი უნდა ჩაამთავროს. და, თუ ჩემპიონთა ლიგას და ესპანეთის თასს მოიგებს, ჟოზეს ყველა აღიარებს". ვისენტე დელ ბოსკემ „მარკასთან" ინტერვიუში (მარკიზი 62 წლის გახდა) აღნიშნა, რომ იკერ კასილიასი მადრიდის სიამაყეა.

რას ფიქრობ, თავად მოურინიო? - *„სინდისის ქენჯნა? ხომ არ გაგიჟდით! ყოველ თამაშში ვცდილობ საუკეთესო შემადგენლობა გამოვიყვანო. ერთი სული მაქვს, შინ მივიდე და „ჩელსის" თამაშს ვუყურო"*, - მოურინიო ტყუილად არაფერს ამბობს და არც ინგლისური კლუბი უხსენებია სიტყვაზე, ეს უკვე ცხადია...

### ბარსა-რეალობა

ორივე გუნდის თამაშზე ბევრი ვისაუბრეთ: „ბარსელონამ" დიდი დაძაბვის გარეშე („ავტოპილოტზე", როგორც „მარკამ" დაწერა) მოუგო „ვალიადოლიდს", ხოლო **ჟოზე მოურინიოს** „რეალი" „ლა როსალედაზე" დამარცხდა „მალაგასთან" 5-გოლიან თრილერში.

ახლა ორივე გრანდი შვებულებაშია, მაგრამ ვის როგორი სიტუაცია აქვს იქიდანაც ჩანს, რომ ჟოზე მოურინიომ ფეხბურთელები ბაზაზე 30 დეკემბრისთვის დაიბარა, ხოლო **ჟორდი როურა** მათ ახალ წლამდე ასვენებს, „ბარსა" სრული შემადგენლობით 2 იანვარს გამოცხადდება სამსახურში.

### ოქროს ბიჭუნა ისკო

„რეალთან" მატჩის წინ „მალაგას" შემტევი ნახევარმცველი **ისკო (ფრანსისკო რომან ალარკონ სუარესი)** „გოლდენ ბოის" პრიზით დააჯილდოვეს. ამ პრიზს „ტუტოსპორტი" გადასცემს და მისი მფლობელი ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა (21 წლამდე) ფეხბურთელი ხდება. გამარჯვებული 20 ქვეყნის 30-მა მოწინავე სპორტულმა ჟურნალისტმა შეარჩია. ისკომ 137 ხმით მოიგო, მეორე ადგილზე „მილანის" **სტეფან ელ შაარავი** (125) გავიდა, მესამეზე - „ატლეტიკოს" ბელგიელი მეკარე **ტიბო კურტუა** (116). *„როცა გავიგე, სამ კანდიდატს შორის მოვხვდი, მეგონა მეხუმრებოდნენ. გამარჯვებას კი არ ველოდი, რადგან მეტოქეები ელ შაარავი და კურტუა იყვნენ"*, - განაცხადა ესპანელმა ფეხბურთელმა. „ვალენსიას" ხელმძღვანელობა მარტო ამ ბიჭის გაშვებისთვის არის დასაძრახი.



ჟოზე მოურინიოს უცნაური საჩუქარი რეალის ფანებს



ისკო, გოლდენ ბოის პრიზით

#### მესი vs რონი

**ლიონელ მესიმ** „ვალიადოლიდთან" 3:1 მოგებულ მატჩში 90 წუთი ითამაშა. მან კარისკენ 7-ჯერ დაარტყა, 3-ჯერ ზუსტად, გაიტანა გოლი, მის წინააღმდეგ 4-ჯერ დაარღვიეს თამაშის წესი.

**კრიშტიანო რონალდომ** „მალაგასთან" 2:3 წაგებულ მატჩში 90 წუთი ითამაშა. მან კარისკენ 7-ჯერ დაარტყა, ერთხელ ზუსტად, მის წინააღმდეგ 2-ჯერ იუხეშეს, თავად ერთხელ და მიიღო ყვითელი ბარათი.

ჩვენს „ტურნირში" მესიმ არნახული უპირატესობით გაუსწრო რონალდოს - ეს ტურიც მას დარჩა, ასე რომ, 13:7 არგენტინელის სასარგებლოდ.

### იცით თუ არა, რომ...

* მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ორი ტური დარჩა I წრის დასრულებამდე, „ბარსელონა" ზამთრის ჩემპიონია.

* „ბარსელონამ" 51 შესაძლებელიდან 49 ქულა მოიპოვა. ორი ქულა მხოლოდ „რეალთან" მატჩში დაკარგა.

* 2010/11 წლის სეზონში „ბარსას" საუკეთესო I წრე ჰქონდა - 52 ქულა 19 მატჩში. ახლანდელ „ბარსას" რეკორდის გასაუმჯობესებლად 2 მატჩი დარჩა.

* „ბარსელონას" თამაშში საშუალოდ 3,35 გოლი გააქვს.

* 2012 წელი სარეკორდო იყო „ბარსელონასთვის" - 49 გამარჯვება და 175 გოლი.

* **ლეო მესიმ** 2012 წელს 91 გოლი გაიტანა, მან 6 გოლით გააუმჯობესა გერდ მიულერის რეკორდი. მესიმ „ბარსას" მაისურით 79 გოლი გაიტანა, 12 მან ნაკრების შემადგენლობაში გაიტანა.

* მესიმ ზედიზედ 7 მატჩში გაიტანა, ერთიც და ის კარიერის რეკორდს გაიმეორებს.

* **სამი ხედირამ** „რეალის" შემადგენლობაში მე-100 მატჩი ითამაშა.

* ჟოზე მოურინიო ჩემპიონატებში მე-400-ედ გაუძღვა გუნდს, აქედან „რეალზე" 93 მატჩი მოდის.

* **კრიშტიანო რონალდომ** 2012 წელს ლა ლიგაში ყველა კალენდარულ მატჩში მიიღო მონაწილეობა.

#### ტურის ფრაზები

**ჟოზე მოურინიო:** *„ჩემი აზრით, ადანი ახლა სჯობს იკერს"*, - ტურის კი არა, სეზონის ფრაზაა! პორტუგალიელმა „ახსნა" თუ რატომ დასვა სათადარიგოთა სკამზე კაპიტანი იკერ კასილიასი.

**პეპე მელი:** *„მსაჯის გადაწყვეტილებამ მატჩის საბოლოო შედეგზე გავლენა იქონია, სამწუხაროა"*, - „ბეტისის" თავკაცი „მალიორკასთან" 1:2 მარცხის მერე..

**ჟორდი როურა:** *„როცა გუნდში ასეთი რამ ხდება, დასანანია. მაგრამ დრო გადის და კლუბი უკვე ოპტიმისტურად არის განწყობილი, როგორც ტიტოს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ისე „ბარსას" სათამაშო პერსპექტივაზე"*, - ტიტო ვილანოვას დროებითი შემცვლელი კლუბში არსებულ ვითარებაზე.

**ხუან ანტონიო ანკელა:** *„ვამაყობ, რომ ასეთი ფეხბურთელები მყავს"*, - „გრანადას" მწვრთნელი „ოსასუნასთან" მატჩში გამარჯვების შემდეგ.

**ერნესტო ვალვერდე:** *„კიდევ უფრო კარგი ამბები გველის წინ"*, - „ვალენსიას" მწვრთნელი ოპტიმისტია.

**ხოსე ლუის ოლტრა:** *„თუ გადაწყვიტეთ, რომ არ ჩაგვქოლოთ - მაშინ მუშაობაც გვაცალეთ"*, - ბოლოადგილოსანი „დეპორტივოს" თავკაცი.

**დიეგო სიმეონე:** *„ძალიან მიყვარს „ატლეტიკო", აქ ყოველთვის ვახერხებ საჭირო კლავიშს დავაჭირო ხელი"*, - არგენტინელი სპეციალისტი თავის მდგომარეობაზე „ატლეტიკოში".

**იკერ კასილიასი:** *„მოურინიოს ჩემთვის არაფერი აუხსნია. ისე კი, ვეჭვობდი, რომ არ ვითამაშებდი. მწვრთნელი ვალდებული არაა ახსნას, რატომ არ ათამაშებს ფეხბურთელს"*, - „რეალის" კაპიტნის მოსაზრება.

### ესპანური ფეხბურთის სუსტი წერტილი - მსაჯობა

**უნდიანო მალენკო** (ბეტისი-მალიორკა): 2 „მარკას" შეფასებით (10-ბალიანი სისტემით)

**რა დააშავა:** მასპინძელთა კარში დანიშნა არარსებული პენალტი - წესები საჯარიმოს ხაზთან დაირღვა და არა საჯარიმოში. ამის გარდა, მალენკო ხშირად ცდებოდა.

#### ტურის საუკეთესო გოლი

**ნაჩო** (რაიო ვალეკანო) „ლევანტეს" კარში

#### ტურის საუკეთესო პასი

**ჟორდი ალბა** (ბარსელონა) საგოლე პასი **ჩავის**.

#### ტურის სტატისტიკა

32 გოლი ტურში (3,2 მატჩში). 6 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 0 ფრედ დასრულდა და 4 სტუმრებმა მოიგეს. მსაჯებმა 55 ყვითელი ბარათი 2 წითელი დაარიგეს.

ჰეთ თრიკი: **არავინ**

დუბლი: **როკე სანტა კრუსი** (მალაგა).

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ბრაიან რაბელიო** (სევილია, 18 წლის).

■ ■ ■

ყველაზე მეტი მაყურებელი: **45 000 - „ვისენტე კალდერონი"**

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: **11 000 - „ტერესა რივერო"**

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: **18 - რაიო ვალეკანო, რეალი**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: **7 - რაიო ვალეკანო**

ყველაზე მეტი ჯარიმა: **20 - რაიო ვალეკანო, სევილია**

ყველაზე მეტი კუთხური: **11 - დეპორტივო**

ყველაზე მეტი თამაშგარე: **5 - მალაგა, ატლეტიკო**

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: **66% - ბარსელონა**

#### მომდევნო ტური

4 იანვარი: სარაგოსა-ბეტისი.

5 იანვარი: ლევანტე-ბილბაო, დეპორტივო-მალაგა, გრანადა-ვალენსია, სევილია-ოსასუნა.

6 იანვარი: სელტა-ვალიადოლიდი, ბარსელონა-ესპანიოლი, მალიორკა-ატლეტიკო, რეალი-რეალ სოსიედადი.

7 იანვარი: რაიო ვალეკანო-ხეტაფე.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**





ვისენტე დელ ბოსკეს იუბილე (62 წლის გახდა)

ტურის გმირი
**ხოაკინ სანჩესი (მალაგა)**



„რეალის" მარცხში ვეტერანმა გარემარბმა დიდი წვლილი შეიტანა, ის ორივე ფლანგიდან ატერორებდა მადრიდელებს.

#### ბომბარდირები

26 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
17 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)
14 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)

#### ასისტენტები

10 - ანდრეს ინიესტა (ბარსელონა)
9 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)

#### გოლი+პასი

31 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
18 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)
17 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)

ლიონელ მესი სიმბოლურ ნაკრებში მე-13-ედ მოხვდა! „მალაგას" არგენტინელი მცველი მარტინ დემიკელისი კი ზედიზედ მეორედ. ამ ტურში რჩეულთა შორის 5 დებიუტანტია.

#### მე-12 ფეხბურთელი

**ელდარ პოშტიგა (სარაგოსა)**

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



გერმანიის ნაკრები

# ლიოვმა შეცდომები აღიარა!

## იოგი: დროის უკან დაბრუნება რომ შემეძლოს, იტალიასთან გუნდს სხვანაირად ვათამაშებდი!

გაზეთ „ზუდდოიჩე ცაითუნგისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** შეცდომები პირველად აღიარა. გეხსომებათ, ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში, იტალიის ნაკრებთან წაგების (1:2) შემდეგ ლიოვს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს, რაზეც ბუნდესმწვრთნელს მკაცრი რეაქცია ჰქონდა - მაშინ იოგიმ ყველა კრიტიკოსს მძაფრად შეუტია, ამას არ ვიმსახურებდიო. ლიოვს შვედეთთან 4:4-ის შემდეგაც აკრიტიკებდნენ, მაგრამ გერმანიის ნაკრების თავკაცი არც მაშინ შედრკა და კრიტიკა არ მიიღო, ახლა კი, წლის ბოლოს სხვანაირად ალაპარაკდა.

*„დროის უკან დაბრუნება რომ შემეძლოს, იტალიასთან გუნდს სხვანაირად ვათამაშებდი. ახლა ვხვდები, რომ ძირითადი შემადგენლობა ოდნავ განსხვავებულად უნდა დამეკომპლექტებინა,* - აცხადებს ლიოვი ხსენებულ ინტერვიუში და დასძენს, - *იტალიასთან მატჩისთვის კონკრეტული და ყველასათვის გასაგები გეგმა მქონდა შემუშავებული. ცხადია, უნდა ვაღიარო, რომ ჩემმა გეგმამ არ გაამართლა.“*

იოგი იმაზეც საუბრობს, რომ გარკვეული შეცდომები შვედეთთან მატჩშიც დაუშვა, თუმცა მისთვის, ისევე, როგორც მთელი საფეხბურთო გერმანიისთვის, 2012 წელს ყველაზე მტკივნეული, რა თქმა უნდა, იტალიასთან წაგება იყო, რომლის შედეგადაც ბუნდესგუნდი კონტინენტის პირველობას გამოეთიშა.

*„ცხადია, ვხვდები, რომ სხვანაირად უნდა მოვქცეულიყავი. ვფიქრობ, იტალიასთან და შვედეთთან მატჩების მიმდინარეობის დროსაც რაღაც-რაღაცები უნდა შემეცვალა,* - ამბობს 52 წლის ბუნდესმწვრთნელი, - *თუმცა შეცდომებს ყველა უშვებს და ისიც ფაქტია, რომ სამწუხაროდ, ამას უმეტესად არა იმ დროს, არამედ მოგვიანებით ვხვდებით ხოლმე.“*



იოახიმ ლიოვს ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალის ეს მომენტი ლამის კოშმარად ექცა

### როდის იბნევა ბუნდესგუნდი

ლიოვის თქმით, იტალიასთან და შვედეთთან მატჩებმა მას თავისი გუნდის სუსტი მხარეებიც დაანახვა: *„ამ მატჩებში გამოჩნდა, რომ როცა მეტოქე თამაშის დროს ტაქტიკას ცვლის, ჩემი ბიჭები ირევიან, თავდაჯერებას კარგავენ და ცვლილებასთან შეგუება ძალიან უჭირთ. იტალიასთან პირველი 15 წუთის მანძილზე ძალიან კარგად გამოვიყურებოდით, მერე კი ჩეზარე პრანდელიმ სტილი შეცვალა - იტალიელებმა მოულოდნელად უფრო წინ წაიწიეს და აქტიურ პრესინგს მიმართეს. იგივე მოხდა შვედეთთანაც, ოღონდ შვედებმა ეს გაცილებით გვიან, სადღაც მე-60 წუთისთვის გააკეთეს. ჩემი გუნდი ორივე შემთხვევაში დაიბნა.“*

შეგახსენებთ, რომ იტალიასთან ევრო 2012-ის ნახევარფინალურ მატჩში ლიოვმა გერმანიის ნაკრების ძირითადი შემადგენლობა, მეოთხედფინალში, საბერძნეთთან 4:2-ზე მოგებულ მატჩთან შედარებით, სამ პოზიციაზე შეცვალა. მაგალითად, მან სკამზე დასვა **მარკო როისი**, რომელიც ბერძნებთან ერთ-ერთი საუკეთესო იყო. იოგიმ როისი თამაშში მხოლოდ მეორე ტაიმიდან ჩართო, მაგრამ იმ დროისთვის იტალიელები **მარიო ბალოტელის** დუბლით უკვე 2:0-ს იგებდნენ. რაც შეეხება შვედეთთან მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩს: შეგახსენებთ, რომ ამ შეხვედრაში გერმანელებმა მეორე ტაიმში 4-ბურთიანი უპირატესობა გაანიავეს.

*„იმედია, შეცდომებზე ვისწავლით და ასეთი რამ აღარასოდეს განმეორდება,“* - ასეთია ლიოვის დასკვნა.

### ბალოტელი დღემდე ლიოვის კოშმარია

რამდენიმე დღის წინ ლიოვმა გერმანიის საფეხბურთო კავშირის ოფიციალურ ვებგვერდსაც მისცა ინტერვიუ, რომელშიც განაცხადა, რომ **მარიო ბალოტელი** ღამღამობით დღემდე ელანდება: *„ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ღამით დაძინება ძალიან ბევრჯერ გამიჭირდა და ეს კოშმარი დღემდე მომყვება. ასეთ დროს იტალიასთან მატჩის სცენები მახსენდება და თმები ყალყზე მიდგება ხოლმე. მარიო ბალოტელი და იტალიასთან მარცხი საშინელ კოშმარად მექცა!“*

მოსაზრება

# ჰიტცფელდი ბუნდესლიგით აღფრთოვანებულია

## ოტმარი: ბაიერნს და დორტმუნდს ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლიათ!



ოტმარ ჰიტცფელდი მიუნხენის „ბაიერნს“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ ჩემპიონთა ლიგის ფავორიტებად მიიჩნევს

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი სამივე გერმანულმა კლუბმა წარმატებით გადალახა. მეტიც: დორტმუნდის „ბორუსიამ“, მიუნხენის „ბაიერნმა“ და გელზენკირხენის „შალკემ“ თავიანთ ჯგუფებში პირველი ადგილები დაიკავეს და მერვედფინალის პირველ რაუნდში სტუმრად იასპარეზებენ, რაც მათ გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს. ზოგადად, გერმანულ საკლუბო ფეხბურთში ევროსარბიელზე შვიდი გუნდით გამოიზამთრებს, რაც ბუნდესლიგისთვის შესანიშნავი მიღწევაა.

გერმანულ ფეხბურთში დაფასებული ექსპერტი, დღესდღეობით შვეიცარიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ოტმარ ჰიტცფელდი** მიიჩნევს, რომ „ბაიერნს“ და „დორტმუნდს“ ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლიათ. ამის შესახებ 63 წლის ჰიტცფელდმა „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

*„ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასული სამი გერმანული კლუბიდან სერიოზულ წარმატებას მხოლოდ „შალკეს“ ვერ ვუწინასწარმეტყველებ. ამ გუნდს პირველ რიგში სტაბილურობა აკლია იმისათვის, რომ ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში შორს გავიდეს. სამაგიეროდ, „ბაიერნს“ და „დორტმუნდს“, ჩემი აზრით, ჩემპიონთა ლიგის თასის აღება ნამდვილად ხელეწიფებათ. ცხადია, ამ გრანდიოზული წარმატების მისაღწევად მხოლოდ სტაბილურობა და ძლიერი შემადგენლობა არ არის საკმარისი. ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად ნებისმიერ გუნდს იღბალიც სჭირდება და ბევრი რამ მეოთხედფინალისა და ნახევარფინალის წილისყრაზეც იქნება დამოკიდებული, მაგრამ სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით ვფიქრობ, რომ მიუნხენელებს და დორტმუნდელებს თავიანთი ქომაგების გაბედნიერება შეუძლიათ. ფაქტია ისიც, რომ ბუნდესლიგა დღეს ისე ძლიერია, როგორც არასდროს,“* - აცხადებს ჰიტცფელდი ხსენებულ ინტერვიუში.

ოტმარმა განსაკუთრებით „ბაიერნი“ აქო: *„არც ერთი სხვა ევროპული გრანდი არ არის ისე კარგად დაკომპლექტებული, როგორც „ბაიერნია“. მარიო მანჯუკიჩის, კლაუდიო პისაროს, დანტეს და ხავი მარტინესის ტრანსფერებმა რეკორდმაისტერს ძალიან არგო.“*

შეგახსენებთ, რომ გერმანულმა კლუბებმა ბოლოს ჩემპიონთა ლიგა სწორედ ჰიტცფელდის ხელმძღვანელობით მოიგეს: 2001 წელს ოტმარი „ბაიერნის“ თავკაცი გახლდათ, 1997 წელს კი „დორტმუნდის“ დამრიგებელი იყო.

დორტმუნდის ბორუსია

# 3 000 ევრო ყველა თანამშრომელს

2012 წელი გერმანიაში დორტმუნდის „ბორუსიას“ წელიწადი იყო - BVB ზედიზედ მეორედ გახდა გერმანიის ჩემპიონი და გერმანიის თასიც მოიგო, ახალ სეზონში კი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „სიკვდილის ჯგუფიდან“ პირველადგილოსნის რანგში გავიდა. საერთო ჯამში „ბორუსიამ“ წელს 46 ოფიციალური მატჩი ჩაატარა და მხოლოდ სამში („ჰამბურგთან“, „შალკესთან“ და „ვოლფსბურგთან“) დამარცხდა.

ასეთი წარმატებული წლის ბოლოს „დორტმუნდის“ გენერალურმა მენეჯერმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ** კლუბის უკლებლივ ყველა თანამშრომელს პრემია გამოუწერა. 530 თანამშრომლიდან თითოეულმა მათგანმა 3000 ევრო მიიღო. *„2012 წელი ჩვენთვის არა მარტო სპორტული, არამედ ფინანსური კუთხითაც ძალიან წარმატებული იყო. შესაბამისად, გადავწყვიტეთ, ყველა თანამშრომლისთვის პრემია გამოგვეწერა. კლუბის წარმატებაში წვლილი არა მარტო ფეხბურთელებს და სამწვრთნელო შტაბს, არამედ თითოეულ აქ მომუშავე ადამიანს მიუძღვის,“* - უთხრა ვატცკემ ჩვენს გერმანელ კოლეგებს.



დორტმუნდის გენერალური მენეჯერი ჰანს-იოახიმ ვატცკე 2012 წლით კმაყოფი-

*„ჩემს სამწვრთნელო კარიერაში ეს ყველაზე არაჩვეულებრივი, მართლა გადასარევი წელი იყო. მჯერა, რომ 2013-იც შესანიშნავი წელიწადი იქნება,“* - ეს დორტმუნდელთა მთავარი მწვრთნელის, **იურგენ კლოპის** სიტყვებია.

გერმანიის თასზე და ჩემპიონთა ლიგაში დორტმუნდელებს მართლაც კარგი პერსპექტივები აქვთ, აი, ბუნდესლიგაზე კი რა მოგახსენოთ - პირველი წრის შემდეგ „ბორუსია“ „ბაიერნს“ 12 ქულით ჩამორჩება.

დანიშვნა

# ნიურნბერგი ვიზინგერს ჩააბარეს

„ნიურნბერგის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე „ვოლფსბურგში“ გადასულ **დიტერ ჰეკინგს მიხაელ ვიზინგერი** შეცვლის, რომელიც აქამდე „ფრანკების“ 23-წლამდელთა გუნდის დამრიგებელი გახლდათ. ეს ინფორმაცია გუშინ ნიურნბერგელებმა ოფიციალურად დაადასტურეს. დანინაურებული მწვრთნელი გუნდს 3 იანვარს ჩაიბარებს და ბუნდესლიგის მეორე წრისთვის მოამზადებს.

39 წლის მიხაელ ვიზინგერი (27 დეკემბერს 40 წლის ხდება) ყოფილი ფეხბურთელია და 1993-დან 1999 წლამდე „ნიურნბერგში“ თამაშობდა, მერე კი მიუნხენის „ბაიერნში“ გადავიდა, სადაც 2001 წლამდე ორჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი (2000, 2001), მოიგო ჩემპიონთა ლიგა (2001), დაეუფლა გერმანიის თასს (2000) და ორჯერ მოიგო გერმანიის ლიგის თასი (1999, 2000).

სამწვრთნელო კარიერა მან 2009 წელს, „ინგოლშტადტის“ 23-წლამდელთა გუნდში დაიწყო და იმავე წელს პირველი გუნდის მთავარი მწვრთნელის ასისტენტი გახდა, 2010 წელს კი „ინგოლშტადტი“ მთავარი მწვრთნელის რანგში მეორე ბუნდესლიგაში გადაიყვანა. „ინგოლშტადტიდან“ ვიზინგერი 2010 წლის 6 ნოემბერს იმის გამო გაათავისუფლეს, რომ 11 ტურის შემდეგ გუნდს მხოლოდ ოთხი ქულა ჰქონდა მოპოვებული. მას მერე მიხაელი „ნიურნბერგის“ 23-წლამდელთა გუნდს ავარჯიშებდა, ახლა კი პირველი გუნდის მთავარ მწვრთნელად დაანინაურეს.



მიხაელ ვიზინგერი ნიურნბერგის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ვოლფსბურგს პერიშიჩი უნდა!

## ალოფსს დე ბრუინიც მოსწონს

ახალი მწვრთნელის პოვნის შემდეგ („მგლებში“ **დიტერ ჰეკინგი** დაინიშნა), „ვოლფსბურგის“ სპორტულმა დირექტორმა **კლაუს ალოფსმა** ბუნდესლიგის მეორე წრისთვის გუნდის გაძლიერებაზე ზრუნვა დაიწყო. „ბილდის“ ინფორმაციით, ალოფსს დორტმუნდის „ბორუსიას“ ხორვატი შემტევი ნახევარმცველის, **ივან პერიშიჩის** გადაბირება უნდა. 23 წლის პერიშიჩი (კონტრაქტი 2016 წლამდე) „დორტმუნდში“ უმეტესად სათადარიგოთა სკამზე ზის, რის გამოც არაერთხელ გამოთქვა უკმაყოფილება და შესაბამისად, კლუბის გამოცვლის საწინააღმდეგო არაფერი უნდა ჰქონდეს.



ივან პერიშიჩი შეიძლება ვოლფსბურგში გადავიდეს

პერიშიჩი ორი წელია, რაც დორტმუნდში თამაშობს. ამ ხნის მანძილზე მან 42 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 9 გოლი გაიტანა, **მარკო როისის** ტრანსფერის შემდეგ კი, ზაფხულს აქეთ, „ბორუსიას“ ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება. ალოფსისთვის პერიშიჩი მისი თანამემამულე **ივიცა ოლიჩის** იდეალური ალტერნატივაა. 33 წლის ოლიჩმა „მგლებში“ იმედები ვერ გაამართლა - 15 მატჩში იასპარეზა და მის ანგარიშზე მხოლოდ ორი გოლია.

პერიშიჩთან ერთად, ალოფსი „ვოლფსბურგში“ „ჩელსიდან“ „ვერდერში“ განათხოვრებულ საყრდენ ნახევარმცველ **კევინ დე ბრუინსაც** ეპატიჟება. ეს უკანასკნელი ბრემენულ კლუბში ძალიან კარგად გამოიყურება და ამიტომაც მიიქცია ყურადღება. ბელგიელს „ვერდერთან“ საარენდო ხელშეკრულება წლის ბოლოს უმთავრდება. ბრემენული კლუბის მწვრთნელ **თომას შაafს** 21 წლის დე ბრუინი ძალიან მოსწონს, მაგრამ „ვერდერს“ მისი გამოსყიდვა არ შეუძლია, „ვოლფსბურგს“ კი ფული არ უჭირს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ორატორები. არიგო საკი

# იმისთვის, რომ კარგი ჟოკეი გამოხვიდე, აუცილებელი არ არის ჯერ ცხენი იყო



იტალიური ფეხბურთის ისტორიაში, **არიგო საკი** ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მწვრთნელად ითვლება. 66 წლის საკიმ თანამედროვე ფეხბურთზე უდიდესი გავლენა მოახდინა და გარდა ამისა, მწვრთნელთა მთელი თაობა აღზარდა. **კარლო ანჩელოტი, ფრანკ რაიკარდი, მარკო ვან ბასტენი, რობერტო დონადონი, რუუდ გულიტი** და **მაური ტასოტი** – ყველა ეს ადამიანი, თავის დროზე, საკის ხელმძღვანელობით თამაშობდა, ახლა კი სამწვრთნელო საქმიანობას ეწევა.

არიგო საკის ფეხბურთი პროფესიონალურ დონეზე არასდროს უთამაშია, მწვრთნელობამდე კი ფეხსაცმელების გამყიდველი იყო. ამ ფაქტის გამო, მის კვალიფიკაციას ხშირად ეჭვის ქვეშ აყენებდნენ, რაზეც სპეციალისტმა ერთხელ უპასუხა: *"იმისთვის რომ კარგი ჟოკეი გამოხვიდე, აუცილებელი არ არის ჯერ ცხენი იყო".*

ერთად გადავხედოთ საკის ყველაზე ცნობილ გამოთქმებს და გავეცნოთ მის შეხედულებებს ფეხბურთელებზე, მწვრთნელებზე და ზოგადად ფეხბურთზე.

როგორც ვთქვით, საკის ფეხბურთი პროფესიონალურ დონეზე არასდროს უთამაშია, მაგრამ მცდელობა კი ჰქონდა, თუმცა: *"მე თამაშს თავი 19 წლის ასაკში დავანებე, რადგან მივხვდი, რომ ჩემპიონი ვერ გავხდებოდი".*

*"დღეს აქცენტი შედეგზე კეთდება და არა იმაზე რამდენად კარგად მუშაობ. ცათამბჯენს ერთ დღეში ვერ ააგებ, სამაგიეროდ ქოხს ააშენებ,".* – საკის აზრით, მწვრთნელებს მუშაობისთვის საკმარის დროს არ აძლევენ.

*"როდესაც "მილანში" მივედი, ბერლუსკონიმ მითხრა, რომ სამ წელს მაძლევდა, მე კი ვიფიქრე, რომ ეს საკმაოდ ბევრი იყო, რადგან ფეხბურთში წარმატების მისაღწევად დიდ დროს არ გაძლევენ,"* – როგორც მოგვიანებით გაირკვა, სერია A-ს მოსაგებად საკის ერთი წელი დასჭირდა, ხოლო ორ წელიწადში მან ჩემპიონთა თასიც მოიგო.

*"ღმერთმა ის უსაზღვრო ნიჭით დააჯილდოვა, რომელიც მან ვერ გამოიყენა. ჩემი ფეხბურთელი რომ ყოფილიყო, გარანტიას გაძლევთ, ძალიან ბევრს ივარჯიშებდა, რადგან მე არ მჭირდება ისეთი ფეხბურთელი, რომელიც არ მუშაობს,"* – **რონალდინიოს** მიერ "მილანში" გატარებული პერიოდის შესახებ.

*"მარიო ბალოტელი უნდა გაიზარდოს და დაჭკვიანდეს. მას უდიდესი ნიჭი აქვს, მაგრამ ყველაფერს საკუთარი ქცევით აფუჭებს,"* – საკიმ დაახლოვებით იგივე, წლების შემდეგ უკვე სხვა მოთამაშეზე თქვა.

*"იბრაჰიმოვიჩის შეძენით "ბარსელონამ" შეცდომა დაუშვა, რადგან ის მარტოხელაა. თავის დროზე პეპ გვარდიოლას ვუთხარი, რომ მან მსოფლიოში საუკეთესო სოლო არტისტი შეიძინა,"* – საკის მოსაზრება იბრას შესახებ.

**ანდრეა პირლოს** შესახებ: *"პირლო უმაღლესი კლასის ფეხბურთელია. "იუვენტუსმა" შესანიშნავი ტრანსფერი განახორციელა, თან არ დაგვავიწყდეს, რომ ანდრეა ტურინში უფასოდ გადავიდა".*

*"გუნდის შესაქმნელად საჭიროა ერთად შეჰყარო ფეხბურთელები, რომლებიც ერთ ენაზე საუბრობენ და რომელთაც გუნდურად თამაში შეუძლიათ. წარმატებას მარტო ვერ მიაღწევ და თუ მაინც მიაღწევ, კარგი პერიოდი დიდხნას არ გაგრძელდება,"* – საკუთარი ფილოსოფიის შესახებ.

*"ჩემი "მილანი" შესანიშნავი გუნდი იყო, რადგან იქ თამაშობდნენ პროფესიონალები, რომელთაც სიამოვნების მიღება სურდათ,"* – "მილანში" გატარებული პერიოდის შესახებ.

*"კატალონიური გუნდი სინამდვილეში გუნდი არაა. ეს არის კულტურა, სტილი, ჰარმონია, ნიჭიერი ახალგაზრდები - ყველას ერთი იდეა აერთიანებს,"* – **პეპ გვარდიოლას** "ბარსელონას" შესახებ, რომელსაც ხშირად საკის "მილანს" ადარებდნენ.

*"ბარსელონა" საკუთარი თამაშის სტილის გამო უსამართლო უპირატესობას იღებს... ზუსტად იგივეს ჩემს "მილანზეც" ამბობდნენ. ჩვენ სხვებზე ბევრს არ დავრბოდით, უბრალოდ სხვა გუნდებზე უკეთ დავრბოდით"* – პასუხი გვარდიოლას "ბარსელონას" და საკის "მილანის" კრიტიკოსებს.

*"იტალიური ფეხბურთი მშივრების ფეხბურთია: ორი მოთამაშე უტევს, ცხრა თავს იცავს, ახალგაზრდები სათადარიგოთა სკამზე სხედან, სტადიონებზე კი მაყურებელი არ დადის"* – 2000-იანი წლების იტალიურ ფეხბურთზე.

*"გუშინ "მილანის" თამაშს ვუყურე და მგონი ზოგიერთი ფეხბურთელი ჩემი ასაკის იყო"* – შარშანდელი "მილანის" შესახებ.

*"რამდენიმე დღის წინ 15-წლამდელთა თამაშს ვუყურე, სადაც მცველები მეტოქე გუნდის ფორვარდების მეურვეობის გარდა არაფერს აკეთებდნენ. ამ ასაკის დამცველები უკვე ნამდვილი სპეციალისტები არიან, მაგრამ ისინი თამაშის უმეტესი ნაწილის განმავლობაში არაფერს ჰქმნიან, ეს კი სასიამოვნო არ შეიძლება იყოს, პირიქით უფრო ტანჯვას ჰგავს. ეს არ არის ფეხბურთი. თუ დიდი ხნის განმავლობაში ერთსა და იმავეს გააკეთებ, ამ საქმეში აუცილებლად გაიწრთობი, მაგრამ ნუთუ ფეხბურთის მთელი არის მხოლოდ ერთი კონკრეტული საქმის კარგად კეთებაა?"* – საკის ძალიან არ მოსწონს ახალგაზრდების მიდგომა ფეხბურთის მიმართ.

*"ფლორენტინო პერესს უმაღლესი დონის ფეხბურთელები უყვარდა. მე ერთხელ მას ვკითხე, როგორი იქნებოდა მისი იდეალური გუნდი. პერესის გუნდში ბექჰემი მარჯვენა მცველი, ზიდანი კი ცენტრალური ნახევარმცველი იყო, რადგან სხვა პოზიციებზე სულ ფორვარდები ჰყავდა. ფლორენტინო დიდებული ადამიანია და დარწმუნებული ვარ, მისი პრეზიდენტობის პერიოდი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება,"* – მადრიდის "რეალში" სპორტული დირექტორის პოსტზე გატარებული პერიოდის შესახებ.

ასეთია არიგო საკის ყველაზე ცნობილი გამოთქმები, ადამიანის, რომელმაც ფეხბურთში მცირე რევოლუცია მოახდინა და რომლის ხელმძღვანელობითაც "მილანმა" მოიგო სერია A (1988 წელს), ჩემპიონთა თასი (1989, 1990), ევროპის სუპერთასი (1989, 1990) და საკონტინენტთაშორისო თასი (1989, 1990), იტალიის ნაკრები კი 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გავიდა.

**ტატო ბაციკაძე**

ამბები

## ჟიო ბორდოდან სეზონის ბოლოს წავა

"ბორდო" ბოლო პერიოდში საკმაოდ ცუდად თამაშობს. ჟირონდელებს ლიგა 1-ში უკვე ... თამაში არ მოუგიათ, ბოლო ხუთი კი ფრედ დაასრულეს, მათ შორის უკანასკნელი შეხვედრა აუტსაიდერ "ტრუასთან". როგორც ჩანს, ამ წარუმატებელი ასპარეზობის გამო, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ფრანსის ჟიომ** სეზონის ბოლოს კლუბის დატოვება გადაწყვიტა. "სოშოს" ყოფილ დამრიგებელს კონტრაქტი 2013 წლის ივნისში უსრულდება და მის გაგრძელებას არ აპირებს.

ჟურნალისტების ცნობით, "ბორდოს" ხელმძღვანელებმა მომავალი მწვრთნელის ძიება დაიწყეს. კანდიდატი საკმაოდ ბევრია. პრესის ინფორმაციით, ფრანგული კლუბის ხელმძღვანელთა სიაში არიან: "პარი სენ ჟერმენის" ყოფილი დამრიგებელი **ანტუან კომბუარე**, რომელიც ახლა საუდის არაბეთის "ალ ჰილალს" წვრთნის, "ლილის" თავკაცი **რუდი გარსია, ლორან ბლანის** ასისტენტი **ჟან-ლუი გასე**, "მონპელიეს" მთავარი მწვრთნელი **რენე ჟირარი** და ლეგენდარული ბელგიელი კიპერი **მიშელ პრიუდომი**, რომელიც საუდის არაბეთის "ალ შაბაბში" მუშაობს.

## მარსელი იანვარში ბაზარზე გავა

ზამთრის სატრანსფერო ბაზრის გახსნამდე 7 დღით ადრე, "მარსელის" სპორტულმა დირექტორმა **ჟოზე ანიგომ** გუნდის გეგმებზე საკლუბო ტელევიზიასთან ისაუბრა.

*"იანვარში გუნდს აუცილებლად გავაძლიერებთ. ამ მომენტისთვის ერთი მეკარე და ერთი შემტევი სტილის ფეხბურთელი გვჭირდება, თუმცა შესაძლოა ორი შემტევიც ვიყიდოთ, რადგან ბოლო პერიოდში გუნდში ტრავმების ნამდვილი ეპიდემიაა,"* – განაცხადა ანიგომ.

შეგახსენებთ, რომ "მარსელმა" კვირას დაძაბულ ბრძოლაში "სენტ ეტიენს" მოუგო (1:0) და 38 ქულით ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია. წინა ჩაგდებული სეზონის გათვალისწინებით, 19 ტურის შემდეგ "მარსელს" ამ პოზიციაზე ნამდვილად არავინ ელოდა.

**ტატო ბაციკაძე**

ელვა.ჯი
პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო
www.elva.ge

ჩვენ გჩუქნით წიგნებს!
ეს წიგნები მაღაზიებში 35 ლარამდე ღირს
იჩქარეთ, მხოლოდ 31 დეკემბრამდე!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და „პალიტრა მედიის" ნებისმიერი ერთი გამოცემა და მიიღეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L"-ის წიგნი ბესტსელერები:

„მოგზაურობათა დიდი ილუსტრირებული ატლასი"
„დავით აღმაშენებელი" - კონსტანტინე გამსახურდია (2 წიგნად)
„ვეფხისტყაოსანი" (3 D)




| მედია "პალიტრის" გამოცემები | 1 ეგზ. ფასი | ერთეულის რაოდენობა 1 წლის მანძილზე | 1 წლის ფასი |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1 | 52 | 52 |
| არსენალი | 2 | 26 | 52 |
| ბომონდი | 5 | 12 | 60 |
| გზა | 1 | 52 | 52 |
| და... ქალი | 2 | 12 | 24 |
| ისტორიანი | 2 | 12 | 24 |
| კარიბჭე | 1 | 26 | 26 |
| კარუსელი | 0.80 | 52 | 41.60 |
| ლელო | 0.80 | 312 | 249.60 |
| ლიტ. პალიტრა | 2 | 12 | 24 |
| ოჯახის მკურნალი | 1 | 26 | 26 |
| რეიტინგი | 1.50 | 52 | 78 |
| საბავშვო კარუსელი | 1 | 52 | 52 |
| სიტყვა და საქმე | 1 | 260 | 260 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2 | 52 | 104 |
| ყველა სიახლე | 1 | 52 | 52 |
| Georgian Journal | 2 | 52 | 104 |

დაგვიკავშირდით, პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო ელვა.ჯი ტელ.: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge

● თბილისი-2015



## მუშაობა გააქტიურდა

24 დეკემბერს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძე** თბილისში ჩასატარებელი ევროპის 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებს შეხვდა და მნიშვნელოვან საკითხებზე ესაუბრა.

სამინისტროში შეხვედრას ესწრებოდნენ სპორტის დეპარტამენტის უფროსი **ირაკლი დოლაბერიძე**, უმაღლესი მიღწევების სპორტის სამმართველოს უფროსი **ზურაბ ბაქრაძე**, ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები **გიორგი ესაკია, გიორგი ხაჩიძე** და იმ სპორტის სახეობების ფედერაციების ხელმძღვანელები, რომლებშიც თბილისი - 2015-ის ფარლგებში შეჯიბრებები გაიმართება.

ახალგაზრდულ ფესტივალზე ჩემპიონები 9 სპორტის სახეობაში გამოვლინდებიან, აქედან 3 გუნდური სახეობაა - კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, 6 კი ინდივიდუალური - ძიუდო, ცურვა, მძლეოსნობა, ჩოგბურთი, სპორტული ტანვარჯიში და ველოსპორტი. სამივე გუნდურ სახეობაში ჩვენები ვაჟთა და გოგონათა ნაკრებებით წარდგებიან.

კალათბურთის, ხელბურთის და ფრენბურთის ფედერაციებს მზადება და ახალგაზრდა სპორტსმენების სავარჯიშო-საწვრთნელი პროცესებიჩქდაწყებული აქვთ. მზადება მიმდინარეობას ინდივიდუალური სპორტის მიმართულებითაც. ამასთან, თბილისი-2015-ის ფარგლებში სპეციალური ჯგუფი ფუნქციონირებს, რომელიც ყოველდღიურად მუშაობს სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხების გადასაჭრელად.

**სამინისტროს პრესსამსახური**

● ტყვიის სროლა

## სალუქვაძე პირადი რეკორდით

ამ უქმეებზე **ნინო სალუქვაძის** სახელობის ტირში დამთავრდა თბილისის თასის ღია გათამაშება ტყვიის სროლაში, რომელიც მხოლოდ პნევმატური იარაღიდან სროლაში ჩატარდა. შეჯიბრებას საერთაშორისო სტატუსი კი გააჩნია, მაგრამ ამჯერად უცხოელებიდან არავინ ჩამოსულა და მხოლოდ მასპინძელთა იმედად დარჩა.

სალუქვაძე ამ შეჯიბრებას ძირითადად ახალი თაობის გამოსაცდელად ატარებს, რადგან მათ ნაკლებად უწევთ ასპარეზობა და სატურნირო პრაქტიკა აკლიათ, თუმცა საერთაშორისო არენაზე გასასვლელად ცოტა შეუფერებელი დროა შერჩეული. საქმე ისაა, რომ ნოემბერში ამავე ტირში (სხვაგან შეჯიბრების ჩატარება არცაა შესაძლებელი) შოთა ქველიაშვილის მემორიალი, რომელშიც აზერბაიჯანელები მუდმივად მონაწილეობენ, წლეულს კი მათ უკრაინიდან მალაიზიაში გადაბარგებული ერთი სპორტსმენიც დაემატა. დროის ასეთ მცირე მონაკვეთში თუნდაც იგივე აზერბაიჯანელები თბილისში ორჯერ არ ჩამოდიან. ამიტომ იქნებ ფედერაციამ ეს ღია თასი სხვა დროს გადაიტანოს, როცა უცხოელებიც (თუნდაც ეს უშუალო მეზობლები ჩამოვლენ), დეკემბერში კი ადგილობრივი რანგის შეჯიბრება ჩაატაროს. ფედერაცია ამით ორ კურდღელს დაიჭერს - რეალურად მიიღებს ორ საერთაშორისო ტურნირს, ხოლო ადგილობრივ მსროლელებს მინიმუმ ერთი სტარტით მეტი მიეცემათ სახლში. საერთაშორისო ტურნირების მომრავლება ნებისმიერი ფედერაციისთვის უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს, ხოლო ახლანდელი რეალობით თბილისის ზემოაღნიშნული ღია თასი, სინამდვილეში ფორმალურადაა საერთაშორისო, თორემ არსებითად, ადგილობრივთა შეჯიბრებაა.

ახლანდელ ტურნირში ტრადიციულად, მხოლოდ ქუთაისისა და თბილისის ორი კლუბის მსროლელები გამოდიოდნენ. ორივე ასაკში დაახლოებით 25 სპორტსმენი.

შეჯიბრება ახალი წესებით ჩატარდა, რაც დროის შემცირებულ რეგლამენტს გულისხმობს. ქალთა შორის კვლავაც ყველაზე ძლიერი სალუქვაძე იყო, რომელმაც პირადი რეკორდი დაამყარა - შესარჩევი ეტაპი 393 ქულით მოიგო. ამას ფინალში 97.6 ქულა დაუმატა და ჯამში 490.6 ქულით მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდა. მეორე ადგილზე **თამილა ასათიანი** გავიდა - 373+93.7 და ჯამში 466.7. ბრინჯაოს მედალს **მეგი ქადაგიძე** დაეუფლა - 367+92.9 და საბოლოოდ 459.6 ქულა. აღსანიშნავია, რომ ასათიანიც და ქადაგიძეც სალუქვაძის კლუბში ვარჯიშობენ.

ვაჟთა შორისაც სამივე მედალოსანი ამ კლუბის წევრია. ჩემპიონი **ლევან ქადაგიძე** გახდა, რომელმაც საკვალიფიკაციო 565 ქულით მოიგო, რასაც ფინალში 97.5 დაუმატა და ჯამში 662.5 დაუგროვდა. მეორეზე ამ კლუბის მწვრთნელი **ზურაბ კვირიკაშვილი** გავიდა - 561+99.2 და ჯამში 660.2 ქულა დააგროვა. ბრინჯაოს მედალი **ჯუმბერ ოქრუაშვილმა** მოიპოვა - 552+95.7 და საბოლოოდ 647.7 ქულა.

საინტერესოდ წარიმართა ახალგაზრდების პაექრობაც, სადაც გოგოებში კიდევ ერთხელ მიიქცია ყურადღება 13 წლის ქუთაისელმა **ლიზი კილაძემ** - 362 ქულა დააგროვა. 357-ით ვერცხლის მედალი მოიპოვა სალუქვაძის ტირის აღზრდილმა, 15 წლის **ქეთი შედანიამ**, რომელიც პირველად გამოვიდა შეჯიბრებაზე. ბრინჯაოს მედალს 347-ქულიანი **მარი მაღრაძე** (სალუქვაძის ტირი) დაეუფლა.

ბიჭებში სალუქვაძის კლუბის აღზრდილმა **ომარ სანოძემ** გაიმარჯვა 560 ქულით, რომელიც წლეულს უკვე ამთავრებს გამოსვლას ახალგაზრდებში და უფროსებში გადადის. ვერცხლის მედალი ქუთაისელმა **გიორგი რამიშვილმა** მოიპოვა 550-ით, ბრინჯაო - ასევე თბილისელმა ვლადიმერ მაიოროვმა 547-ით, რომელიც ყოფილი ასკ-ს ანუ ახლანდელ სპორტკლუბ „არენას" აღზრდილია.

**ირაკლი თავაძე**



● ადამიანი დროში

## მინ რექ, ბაბა, მიშ სქუა რექ?

ეს იყო გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში. დუშანბეში გახლდით სტუმრად. მასპინძელმა ცირკში წასვლა შემომთავაზა - ქართული დასია ჩამოსულიო. აფიშაც მაცდუნებლად შემოგვცქეროდა - ამხედრებული მანდილოსანი მოჯირითე ცხენის მუცელქვემოთ გაძრომით უნაგირზე ამოდიოდა.

პირველად მაშინ გავიგე საქართველოს დამსახურებული არტისტის **ნანა მელქაძის** სახელი და გვარი, არადა, იგი ჩემი რაიონიდან - სენაკელი ყოფილა. მე და ჩემი დუშანბელი მასპინძელი როგორ არ ვეცადეთ, მაგრამ ცირკში შესვლა ვერ მოვახერხეთ, რადგან ყველა ბილეთი დიდი ხნის გაყიდული იყო. ცოტა მოგვიანებით - 1979 წელს თბილისის ცირკში ვნახე ქალბატონი ნანას და მისი საცხენოსნო ანსამბლ „ეგრისის გამოსვლა.

- სანამ მოჯირითე ქალთა ჯგუფს ჩამოვაყალიბებდი, დიდი გზა გამოვიარე, - იხსენებს გარდასულ დღეთა ისტორიას ცხენოსანი ქალბატონი და თან სიყვითლეგადაკრულ გაზეთის ფურცლებსა და სურათებს ათვალიერებს.

**- რატომ ცხენი?** - ვკითხე ქალბატონ ნანას.

- მშობლები სენაკში ცხოვრობდნენ, ბებია და ბაბუა კი სოფელ ხორშში. ბოლშევიკებმა გააკულაკეს ისინი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სახლში, ორი თხის გარდა, არაფერი ჰყავდათ. ამ საწყლებს კი ჩემგან სისხლი ჰქონდათ გამშრალი - ხან ერთს, ხან მეორეს კიბესთან ან ღობესთან მივიყვანდი და ზედ შევსკუპდებოდი. ისინიც იტანდნენ ჩემს ანცობას, რადგან ხან შაქრით, ხან პურითა და მჭადით ვანებივრებდი, ამიტომ დამინახავდნენ თუ არა, ჩემკენ გამორბოდნენ. ერთხელ, მაშინ 6 წლისა ვიქნებოდი, ბაბუასთან ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე მათე სახეიშვილი მოვიდა ცხენზე ამხედრებული. არც მომრიდებია, ისე ვთხოვე, შემსვი-მეთქი. იქიდან მოყოლებული ცხენები შემიყვარდა თავდავიწყებით.

**- ჰო, მაგრამ, თქვენ ხომ ველოსპორტში ვარჯიშობდით?**

- დიახ, შეჯიბრებებშიც არაერთხელ მიასპარეზია. სენაკში მეზობელი მყავდა ცხენოსანი არჩილ მაისაია. მან მირჩია ცხენოსნობაზე სიარული. ერთ დღეს საცხენოსნო კლუბის უფროს გვეჯე ივანიძესთან წარმადგინა. ალბათ, გემახსოვრებათ, მოსკოვში ეროვნული თამაშების საკავშირო სპარტაკიადისას სამმეტრიან ანძაზე შედგმული თასი ორჯერ ისრით ჩამოაგდო. „მინ რექ, ბაბა, მიშ სქუა რექ (ვინ ხარ, მამა, ვისი შვილი ხარ)?" - მკითხა საქვეყნოდ ცნობილმა ცხენოსანმა. არჩილმა ყველაფერი აუხსნა. იმ დღიდან, მშობლებს რომ არ გაეგოთ, რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე შოთა ჩიქობავა თავისი მანქანით გაკვეთილების შემდეგ სავარჯიშოდ იპოდრომზე გამაქანებდა მალულად, იქიდან კი შინ მივყავდი. ჩემი მხედრობა მაინც, მგონია, გენების ბრალია: მამა კავალერისტი იყო. დედასაც ძალიან ჰყვარებია ცხენი - „არაბიაზე" ამხედრებული თურმე რამდენჯერმე ჩამოსულა ხორშიდან სენაკში.

**- პირველ გამარჯვებას როდის გაუგეთ გემო?**

- 14 წლისამ. სენაკში დასავლეთ საქართველოს პირველობა გაიმართა ცხენოსნობაში. მასპინძლებთან ერთად ფოთელი, ზუგდიდელი, გალელი, მარტვილელი, აბაშელი, სამტრედიელი და ჩოხატაურელი ცხენოსნებიც მონაწილეობდნენ. 1800 მეტრზე დოღში გამოვედი. ერთი წრის შემდეგ ჩემი „სიბარიტი" პირველი მიქროდა. გვერდით არჩილ მაისაია და ცნობილი მხედარი ლასი ლაშქარავა მომყვებოდნენ. ფინიშის ხაზი პირველმა გადავკვეთე. მოგვიანებით მივხვდი, რომ შეჯიბრების ერთადერთ მონაწილე გოგონას გული არ დამწყვიტეს და პირველი მიმიშვეს ფინიშთან. მართლაც, იმ მოგებამ ძალიან გამათამამა. მერე თბილისში ვიასპარეზე საქართველოს პირველობაზე. 1957 წელს მოსკოვში მივიღე მონაწილეობა ხალხურ თამაშებში. პირველად იქ ვნახე ცირკის მსახიობების - კანტიმიროვების ჯირითი, რომელმაც დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. დასის ხელმძღვანელი ალიხან კანტიმიროვი წარმოშობით ბათუმელი ყოფილა. თბილისის იპოდრომის დირექტორმა კაპიტონ ნაჭყებიამ მკითხა, მოგეწონაო. ამას მეც გავაკეთებ-მეთქი, ვუთხარი გულუბრყვილოდ. ბატონ კაპიტონს გაეღიმა.

**- ცირკში როგორ მოხვდით?**

- ბავშვობიდან ასეთი ხასიათი მაქვს - რასაც ამოვიჩემებ, აუცილებლად უნდა შევასრულო. 1959 წელს სკოლა დავამთავრე თუ არა, თბილისში ჩამოვედი და იპოდრომს მივაშურე. ჩემი „ზელიმხანი", რომლითაც რამდენიმე შეჯიბრებაზე ვიასპარეზე, როგორც უკვე სპორტისთვის უვარგისი, ცირკს მიჰყიდეს. შეჩვეული ვიყავი და გული მწყდებოდა, ამიტომ ხშირად ვაკითხავდი. ცირკის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირაკლი ყანჩელმა შემომთავაზა - მოჯირითეთა ჯგუფს ვირჩევთ და ბარემ ჩვენთან იყავიო. ექვსი ბიჭი ემზადებოდა. არც ერთმა ცხენზე ხეირიანად ჯდომა არ იცოდა და მე ვამეცადინებდი. ამ დროს ორჯონიკიძიდან მწვრთნელად იბრაგიმ კანტიმიროვი მოიწვიეს. საინტერესო ილეთებს გვასწავლიდა. დებიუტი 1960 წლის შემოდგომაზე მქონდა. მთელი იპოდრომი იყო საქომაგოდ მოსული კაპიტონ ნაჭყებიას მეთაურობით. მათთვის იმედები არ გამიცრუებია. მაშინ დაიბეჭდა პირველი ინფორმაციები ჩემზე „ლელოსა" და „ზარია ვოსტოკაში". მერე იყო გასტროლები. პირველად კიროვში წავედით. ჩვენმა ჯგუფმა მალე გაითქვა სახელი მთელ საბჭოეთში.

**- თქვენ ერთი საინტერესო ტრიუკი გქონდათ, რომელსაც არა თუ ქალები, თითო-ოროლა ვაჟი თუ ასრულებდა მაშინ.**

- ალბათ, მოჯირითე ცხენის მუცლის ქვემოთ გაძრომით უნაგირზე ამოსვლას გულისხმობთ.

- **დიახ.**

- 1961 წელს კანტიმიროვის ნაცვლად მწვრთნელად კირიმ ვარძიევი მოიწვიეს, რომელმაც ტაშკენტში წაგვიყვანა. ეს ტრიუკი პირველად მოსკოვში ვნახე კანტიმიროვების გამოსვლისას. ჰოდა, ერთ-ერთი წარმოდგენის შემდეგ ვარძიევს ვუთხარი, გაქანებულ ცხენქვეშ უნდა გავძვრე-მეთქი. ხომ არ გაგიჟდიო, მითხრა, ამას მსოფლიოში არც ერთი ქალი არ აკეთებსო. მე გავაკეთებ-მეთქი. ყურიც არ მათხოვა. იმავე საღამოს მოველაპარკე ღამის მორიგეს და ცხენების მომვლელს, რომლებმაც დახმარება აღმითქვეს. მართლაც, ყველამ დაიძინა თუ არა, არენაზე გავედით და... ზედიზედ სამჯერ შევასრულე ეს ტრიუკი. მეორე დღეს ვარჯიშისას იგივე რომ გავიმეორე, აღტაცებული დასის წევრები დიდხანს მიკრავდნენ ტაშს, ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელმა კი დეპეშა აფრინა მოსკოვში - ნანული მელქაძემ სარეკორდო ტრიუკი შეასრულაო.



**- მოჯირითე ქალთა ანსამბლი „ეგრისი" როდის ჩამოაყალიბეთ?**

- 1963 წელს მოსკოვის საერთაშორისო პროგრამაში მივიღე მონაწილეობა. ქალი მარტო მე ვიყავი. წარმოდგენის შემდეგ იტალიელთა ხელმძღვანელმა შემომთავაზა, ჯიგიტი ქალების ჯგუფი ჩამომეყალიბებინა. სცენარს მე დაგიწერო, მითხრა. ეს იდეა ჭკუაში დამიჯდა. პოლონეთში, საფრანგეთში, ესპანეთსა და პორტუგალიაში გასტროლების შემდეგ სამშობლოში რომ დავბრუნდი, 1969 წელს თანამოაზრეებისგან ჩამოვაყალიბე ქალთა საცხენოსნო ანსამბლი „ეგრისი", რომლის შემადგენლობაში ჩემთან ერთად შედიოდნენ დოდო მძელური, ლამარა ვაშაკიძე, მანანა ბახტაძე, თამრიკო კეთილაძე, ლარისა ფატიევა და ნატაშა გორდეევა. თითოეული მათგანი ცხენებზე ისეთი ილეთებით ხიბლავდა მაყურებელს, რომელთა მსგავსს დღეს ზოგჯერ კაცებიც ვერ ასრულებენ.

**- არენას როდის შეელიეთ?**

- გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩვენთან ქვეყანა რომ აირია, ცირკისთვის არავის ეცალა. მერე სიტუაცია რომ დალაგდა, ჩვენი პროგრამა ისევ აღვადგინე. კიდევ ორჯერ მომიხდა ყველაფრის თავიდან დაწყება. მესამედ ბადრი პატარკაციშვილისას. მისი გარდაცვალების შემდეგ, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს... ცირკში არ შემიშვეს. ტყუილად ჰგონიათ, რომ ასე იოლად ჩამომაშორებენ საყვარელ საქმეს, რომელსაც 55 წელიწადი შევალიე. მე ჩემსას მაინც გავიტან.

**ვაჟა დანელია**

● ყრილობა

## მაგიდის ჩოგბურთი გამოცოცხლდება

მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის ყრილობამ, რომელიც გასულ კვირას გაიმართა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში, ამ ფედერაციის პრეზიდენტად ერთხმად აირჩია ვეტერანი სპორტსმენი და ბიზნესმენი, ნაძალადევის რაიონში სპორტის ამ სახეობაში ბავშვთა პირველი სპორტული კლუბის დამფუძნებელი **კახაბერ გუგეშაშვილი.**

ვიცე-პრეზიდენტის პოსტი კვლავ **იური გონაძემ** შეინარჩუნა. მეორე ვიცე-პრეზიდენტს ფედერაციის ახალი ხელმძღვანელი მოგვიანებით დაასახელებს და აღმასკომს წარუდგენს დასამტკიცებლად. ყრილობამ აღმასკომის ახალი შემადგენლობაც აირჩია.

**„ლელოს" კორ.**

● წლის რჩეულები

# ქუთაისში რაულ ცირეკიძე დასახელდა

**ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, სპორტის სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმა 2012 წლის სპორტული შედეგების მიხედვით ქუთაისის საუკეთესო სპორტსმენები, მწვრთნელები და გუნდები გამოავლინეს.**

სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც ქუთაისის საკრებულოს თავჯდომარის მოადგილე **ლევან კირკიტაძე** ხელმძღვანელობდა, ქალაქის წლის საუკეთესო სპორტსმენად ლონდონის ოლიმპიური თამაშების მონაწილე, ძალოსანი **რაულ ცირეკიძე** დაასახელა. ცირეკიძემ წლეულს საქართველოს ჩემპიონობასთან ერთად, პირველი ადგილი დაიკავა ევროპის ჩემპიონატზე, ოლიმპიადაზე კი B ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა და საბოლოოდ ასპარეზობა მე-9 ადგილზე დაასრულა. სხვა ნომინანტებთან შედარებით მას უკეთესი შედეგები ჰქონდა და კომისიამ მის კანდიდატურას ერთხმად დაუჭირა მხარი. უფრო რთული გამოდგა წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეულის გამოვლენა. საათნახევრიანი პოლემიკისა და განხილვის შემდეგ კომისიამ ღია კენჭისყრას მიმართა, თითოეულმა წევრმა თავთავიანთი ვერსია წარმოადგინა, ხმათა შეჯამების შემდეგ კი ქუთაისის 2012 წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეულიც გამოვლინდა. სპორტსმენებთან ერთად დასახელდა ქუთაისის საუკეთესო მწვრთნელები და გუნდები.

საუკეთესო სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების დაჯილდოება თვის ბოლოს, ქუთაისის მერიაში იგეგმება. ინდივიდუალური სახეობების სპორტსმენები 800 ლარით, მწვრთნელები კი 400 ლარით დაჯილდოვდებიან.

**საუკეთესო სპორტსმენთა ათეული**

რაულ ცირეკიძე (ძალოსნობა), გენადი ჩირგაძე (სამბო), ნანა ძაგნიძე (ჭადრაკი), ომარ გურჯიძე (თავისუფალი ჭიდაობა), შოთა გოგისვანიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ბექა ბაზაძე, სანდრო ბაზაძე (ორივე-ფარიკაობა), ლერი ჭელიძე, როსტომ ხახალეიშვილი (ორივე-ძიუდო), მერაბ თურქაძე (კრივი).

**2012 წლის ქუთაისის საუკეთესო მწვრთნელები**

გია ცირეკიძე (ძალოსნობა), გივი სარდანაძე (სამბო), მალხაზ ლომთაძე (ძალოსნობა), კობა ახვლედიანი (თავსუფალი ჭიდაობა), ელგუჯა მარუაშვილი (ბერძნულ რომაული ჭიდაობა), მერაბ ბაზაძე (ფარიკაობა), დავით თევდორაძე (ძიუდო), ვეფხია ბალხამიშვილი (ძიუდო), სანატრელი ბებია (კიკ ბოქსინგი), კუკური შავგულიძე (კრივი).

**2012 წლის ქუთაისის საუკეთესო გუნდები** საკალათბურთო გუნდი „ქუთაისი" (ვაჟები), საფეხბურთო კლუბი „ტორპედო", ბალახის ჰოკეის გუნდი „უქიმერიონი (ვაჟები).

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან



რაულ ცირეკიძე

● სპორტის ზამთრის სახეობები



# ჯოვანი ლაზარინი ნაკრებს უთავკაცებს

გუშინ სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში" საქართველოს სათხილამურო ფედერაციამ პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენციას, რომელიც ფედერაციის პრეზიდენტმა - **გიორგი რამიშვილმა** გახსნა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი - **ლევან ყიფიანი** და ევროპიდან საგანგებოდ ჩამოსული სტუმრები - **მარკ ჟირარდელი და ჟოვანი ლაზარინი** დაესწრნენ.

მარკ ჟირარდელი სახელოვანი ვეტერანი მოთხილამურე და მსოფლიო თასის 5-გზის მფლობელია, რომლის სახელობის ბრენდის სათხილამურო ფორმებს ატარებს საქართველოს ეროვნული ნაკრები. ჯოვანი ლაზარინი საქართველოს ნაკრების ახალი მწრთვნელია, რომელიც წლების მანძილზე მუშაობდა იტალიის ნაკრებ გუნდში. მას გააჩნია მწვრთნელის მაღალი სტატუსი, რაც გულისხმობს საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) ეგიდით ჩატარებულ მსოფლიო და ევროპის თასის ტურნირებში მონაწილეობის დიდ გამოცდილებას. სწორედ ამ კრიტერიუმით მოხდა გამოცდილი და ძლიერი მწვრთნელის შერჩევა და მასთან ერთად საქართველოს ეროვნული ნაკრებების ევროპის წამყვან სამთო-სათხილამურო სპორტულ ბაზებზე მომზადება.

ჯოვანი ლაზარინის ლიდერობით საქართველოს სამთომოთხილამურეთა ეროვნულმა ნაკრებმა გუნდებმა (უფროსები/იუნიორები) წინა წლებთან შედარებით. 2012/13 წლის საშეჯიბრო სეზონი უკვე გაუმჯობესებული შედეგებით გახსნეს, რაც დიდ იმედს იძლევა, რომ მათი საერთაშორისო სარეიტინგო მაჩვენებლები ზამთრის სეზონის ბოლოს კიდევ უფრო გაიზრდება.

ტიტულოვან და გამოცდილ მწვრთნელთან ერთად მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია ქართველი მოთხილამურეების სამომავლო განვითარებისთვის და 2013 წლის მსოფლიო და ევროპის თასის შეჯიბრებებში წარმატების მოსაპოვებლად. 2013 წლის თებერვალში ავსტრიის კურორტ შლადმინგში მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენს გუნდს ჯოვანი ლაზარინი უხელმძღვანელებს.

პრესკონფერენციაზე ფედერაციის გენერალურმა მდივანმა - **გიორგი ცაგარელმა** წარმოადგინა 2013 წლის საქართველოს თასის გათამაშებისა და ჩემპიონატის საშეჯიბრო კალენდარი.

საქართველოს სათხილამურო ფედერაცია - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და გენერალური სპონსორის, „სილქნეტის" მხარდაჭერით, აქტიურად ემზადება 2012-2013 წლის ზამთრის საშეჯიბრო სეზონისთვის.

**სამინისტროს პრესსამსახური**

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

# ქართველები აზერბაიჯანულ ფინალში

ამ დღეებში ბაქოში, სპორტკომპლექს „სერხედჯში" მიმდინარეობს აზერბაიჯანის პირველობა საჭიდაო სახეობებში, თუმცა ბერძენ-რომაელებისა უკვე დამთავრდა. თქვენს ყურადღებასაც მასზე შევაჩერებთ, რადგან იქ ქართველებიც გამოვიდნენ და მედალოსნებიც გახდნენ - **მათე სოფაძე** (84) და **შალვა გადაბაძე** (96) მეორეზე გავიდნენ, **გოგა დავითაძემ** კი მძიმე წონაში ბრინჯაო მოიპოვა. ამათგან ევროპის სამგზის ბრინჯაოს მედალოსანი გადაბაძე დიდი ხანია, აზერბაიჯანის ღირსებას იცავს, დანარჩენები კი საქართველოს სახელით გამოვიდნენ. აქვე გეტყვით, რომ ესაა ღია პირველობა და მასში მონაწილეობა აზერბაიჯანულ კლუბებში მოჭიდავე უცხოელებსაც შეუძლიათ. ჩვენებმაც ამ წესით ისარგებლეს - ორივე „ატასპორტის" ღირსებას იცავს, თორემ მოქალაქეობა არ შეუცვლიათ. ქართველების გარდა, იქაურ პირველობაში რუსები და ირანელებიც გამოდიოდნენ. პრიზიორთა შორის ირანელები ვერ მოხვდნენ, რუსთაგან კი მძიმე წონაში ჩვენებურთა თანაგუნდელმა **მაქსიმ პროხოროვმა** გაიმარჯვა.

სოფაძე ფინალში **რაფიკ ჰუსეინოვთან** დამარცხდა, რომელიც ევროპის ჩემპიონია, ოღონდ აქამდე 74-ში ჭიდაობდა, ახლა კი ზევით აუნაცვლებია. აზერბაიჯანელებს დღემდე 84-ში ირანიდან გადმობირებული ქურთი მსოფლიოს პრიზიორი **ჰასან სამან ტახმასიბი** ჰყავდათ ლიდერად, ახლა კი ისიც 96-ში გადასულა, სადაც ფინალში გადაბაძეს მოუგო. ქურთმა ჩვენებურს თავის დროზე 84-შიც წაართვა ადგილი, როცა ირანიდან ბაქოში გადაბარგდა, ახლა კი ისე ეტყობა, 96-შიც დაათმობინებს პოზიციებს. შესაძლოა, ამით გადაბაძის აზერბაიჯანულ ეპოპეასაც დაუსვას წერტილი - ბოლო წლებში იქაურები მისით ისეც არ იყვნენ კმაყოფილები, რადგან შედეგს ვერ აჩვენებდა და ერთი პერიოდი ხელფასიც მოუხსნეს. აზერბაიჯანში 2007 წლიდან წასულ გადაბაძეს ადაპტაცია გაუგრძელდა და პირველი ევროპული ბრინჯაო 2009 წელს მოიპოვა. ამას ისევ წარუმატებლობები მოჰყვა, მაგრამ 2011-12 წლებში კონტინენტის პირველობებზე კვლავ მესამეზე გავიდა, თუმცა ტახმასიბის აჩრდილი თან სდევს.

სამწუხაროდ, ტურნირების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციების წერა ჩვევად არც აზერბაიჯანულ საიტებს აქვთ და ვერ გეტყვით, ვისთან დამარცხდა დავითაძე, თუმცა ის შარშანაც გამოდიოდა იქ და მაშინაც მესამეზე გავიდა, ოღონდ - 96-ში.

სოფაძე და დავითაძე შაბათ-კვირას ამ ტურნირის გამო ვერ გამოვიდნენ საქართველოს ჩემპიონატში.

„სერხედჯშივე" გაიმართა „თავისუფალთა" პირველობაც, თუმცა იქ ჩვენები არ გამოსულან.

დაბოლოს, ერთი ინფორმაციაც იქაურთა შესახებ - ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი და მსოფლიოს პრიზიორი **ვიტალი რაჰიმოვი** (66) კარიერას ასრულებს.

**ირაკლი თავაძე**

● რეგიონი. თავისუფალი ჭიდაობა

# ახალმა ტურნირმა ათვლა დაიწყო

**საგარეჯოს რაიონმა გამოჩენილ ფალავანთა სიმრავლით სახელი გაითქვა მთელ მსოფლიოში ამიტომაც ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს საქართველოს ამ ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ საჭიდაო ცენტრში ნებისმიერი შეჯიბრების ჩატარება.**

ამ დღეებში რაიონის ჭიდაობის ცენტრალურ დარბაზში თბილისის, აფხაზეთის, ამბროლაურის, ონის, კასპის, რუსთავის, ახმეტის, ყვარლის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს რაიონების, აგრეთვე სოფლების გამარჯვების, გლდანის, დილმის 200-მდე ჭაბუკმა თავისუფალ ჭიდაობაში იასპარეზა ორ ასაკობრივ ჯგუფში სპორტის ოსტატის და ქველმოქმედ **მიხეილ არჩუაძის** ხსოვნის თასის პირველ გათამაშებაში. ინიციატორები: საგარეჯოს სპორტული გაერთიანება და ცნობილი ვეტერანი ფალავანი **ბიჭიკო მარიდაშვილი**, მთავარი მსაჯი, ლეგენდარული **ლევან თედიაშვილი**. აღსანიშნავია, რომ ორ წონაში ტურნირში მონაწილე გოგონებიც ვიხილეთ.

ასპარეზობის დაწყების წინ გაიხსნა მიხეილ არჩუაძის მემორიალი.

**კვარცხლბეკი**

**1997-1998 წლებში დაბადებულები**

**42 კგ.** 1. ლექსო კილაძე (რუსთავი), 2. გიორგი კარატიელი (დედოფლისწყარო), 3. გიორგი მამულაშვილი (ყვარელი), მიხეილ ფირუზაშვილი (დედოფლისწყარო).

**46 კგ.** 1. რატი კილანავა (აფხაზეთი), 2. გიორგი ფვინიანიძე (დილომი), 3. დავითი მახარაშვილი (გლდანი), დიმიტრი ვარდიაშვილი (რუსთავი).



**50 კგ.** 1. ირაკლი ბურდული (დედოფლისწყარო), 2. დავით ფურცხვანიძე (ამბროლაური), ბექა გიგაშვილი, ზაზა შანიძე (ორივე - გლდანი).

**54 კგ.** 1. გიორგი ყაზარაშვილი (კასპი), 2. რობერტ დინგაშვილი, 3. ლევან მამუკიშვილი (ორივე - ყვარელი), ლევან ინასარიძე (გამარჯვება).

**57 კგ.** 1. ირაკლი კუპრეიშვილი, 2. გიორგი ჭიკაძე (ორივე - დილომი), 3. ალეკო სულაშვილი (დედოფლისწყარო), გიორგი ჩუნთიშვილი (საგარეჯო).

**63 კგ.** 1. ირაკლი მენთეშაშვილი (დედოფლისწყარო), 2. სტეფანე ტატალაშვილი (გლდანი), 3. ოთარ გაბელია (თბილისი ლ. ხაბელოვის კლუბი), ნიკა მათიაშვილი (აფხაზეთი).

**69 კგ.** 1. გიგა შიოშვილი (საგარეჯო), 2. ნიკა ბულულაშვილ (კასპეი), 3. გიორგი პავლიაშვილი (დედოფლისწყარო), დავით მძელური (აფხაზეთი).

**76 კგ.** 1. ზაურ ბერიძე (გლდანი), 2. ბექა ხუროშვილი (კასპი), 3. გივი ზაუტაშვილი (თბილისი), თორნიკე კიკნაძე (თბილისი, ლ. ხაბელოვის სახელობის კლუბი).

**85 კგ. + 85 კგ.** 1. ლევან ბოჭორიძე (საგარეჯო), 2-3 არაზი ლორჯომელიძე (დილომი), ზურაბ ბუჯიაშვილი (ყვარელი).

**1999-2001 წლებში დაბადებულები**

**23 კგ.** 1. იგორ აფციაური (გლდანი), 2. სოსო მელაშვილი (საგარეჯო), 3. ოთარ კოშარიძე (ამბროლაური), გიორგი აბულაშვილი (რუსთავი).

**26 კგ.** 1. შამილ გაჯიევი (ყვარელი), 2. გიორგი გოგრიჭიანი (ამბროლაური), 3. მაგამედ მაგამედოვი (ყვარელი), გიორგი ფიფია (რუსთავი).

**29 კგ.** 1. მირზა გაჯიევი (ყვარელი), 2. დავით ქაქალაშვილი, 3. თემურ თვალიშვილი (ორივე - ყვარელი), თორნიკე გელაშვილი (რუსთავი).

**32 კგ.** 1. ნიკო გოგრიჭიანი, 2. ბექა იაშვილი (ორივე - ამბროლაური), 3. გიორგი შათირიშვილი (საგარეჯო), მაგამედ მალამაგამედოვი (ყვარელი).

**35 კგ.** 1. გიორგი ელბაქიძე (ამბროლაური), 2. ზალუთხან საიდოვი, 3. თორნიკე ბერძენიშვილი (ორივე - ყვარელი), გიგი მელაშვილი (ამბროლაური).

**38 კგ.** 1. ვლადიმერ გამყრელიძე (ამბროლაური), 2. დანიელ მარქარაშვილი (კასპი), 3. თორნიკე ხებრელაშვილი (საგარეჯო), ნიკა შანავა (თბილისი).

**42 კგ.** 1. ვლადიმერ კაკოშვილი (გლდანი), 2. მევლუდ კაკიაშვილი (კასპი), 3. შალვა მელაშვილი (ამბროლაური), ბაჩუკი არველაძე (გლდანი).

**46 კგ.** 1. გოგა მამიაური (გლდანი), 2. ნიკა მესროფოვი (საგარეჯო), 3. აკაკი გოქსაძე (ამბროლაური), გიორგი სულხანიშვილი (ახმეტა).

**50 კგ.** 1. ნოდარ ბიწაძე (რუსთავი), 2. მირიან მაისურაძე (ონი,) 3. ლევან წიფიანი (აფხაზეთი), გიორგი ჭელიძე (ამბროლაური).

**54 კგ.** 1. გივი გოგობერიშვილი (ამბროლაური), 2. დავით ქოჩქიანი (დილომი), 3. ლაშა ქიტესაშვილი (ყვარელი), გიორგი ხვედელიძე (გამარჯვება).

**+54 კგ.** 1. ზაალ ფსუტური (გლდანი), 2. შალვა დოხნაძე (ამბროლაური), 3. ივანე გოგეშაშვილი (ონი), თამაზ კვესიაშვილი (კასპი).

- მუნიციპალიტეტი შესაძლებლობების ფარგლებში გაატარებს ღონისძიებებს, რათა რაიონის შესანიშნავი სპორტული ტრადიციები უფრო წარმატებული და თვალსაჩინო გავხადოთ. მომავალი წლიდან მატერიალურად წავახალისებთ მწვრთნელებს, მოვიზიდავთ დაფინანსებას ახალი სპორტული კომპლექსების მოსაწყობად, ინფრასტრუქტურა განახლდება. ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს სპორტის მასობრიობას, ჯანსაღი წესის დამკვიდრებას - გვითხრა რაიონის მუნიციპალიტეტის გამგებელმა - **გიორგი ლოლაძემ.**

**თენგიზ კობიაშვილი**
საგარეჯოდან

-ს

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74.
კვირის გარდა.

ქართული სპორტი

რეგიონი. ინტერვიუ კოტე ხაბალაშვილთან

# ჩემპიონობით დაიწყო და დაამთავრა

**თავისუფალი სტილის მოჭიდავე კოტე ხაბალაშვილისთვის (66 კგ) წლევანდელი სეზონი ქვეყნის ახალგაზრდულ ჩემპიონატში მოპოვებული გამარჯვებით დაიწყო და უფროსთა შორის ქვეყნის ჩემპიონობით დასრულდა. შუა სეზონში კი ეს გორელი ფალავანი ტაილანდში გამართული მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატიდან ვერცხლის მედლით მკერდდამშვენებული დაბრუნდა. დაგვეთანხმებით, რომ ასეთი შედეგები საკმაო საფუძველია 20 წლის წარმატებული სპორტსმენის მკითხველისთვის ახლოს გასაცნობად. ხაბალაშვილს გორის დარბაზში მწვრთნელ ნუგზარ სხირელთან ერთად ვესაუბრეთ.**



კოტე ხაბალაშვილი

- ვიდრე ახალგაზრდებში გადმოვიდოდი და ნაკრებშიც მოვხვდებოდი, ჭაბუკთა შორისაც მქონდა გარკვეული წარმატებები, როგორც ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, ისე მის გარეთ. გამოსარჩევი კი ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის ფინალისტობაა. წლეულს ნიშანდობლივი იყო სეზონის საქართველოს ჩემპიონობით დაწყება და დამთავრება, ოღონდ ჯერ ახალგაზრდებში და შემდეგ დიდებში. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი უფრო ძნელი მისაღწევი აღმოჩნდა, მაგრამ არა შეუძლებელი. განსაკუთრებით სასიხარულო იყო ჩვენი წონითი კატეგორიის ფავორიტის, გამოცდილი კობა კაკალაძის ძლევა ნახევარფინალში. გადამწყვეტი შეხვედრაში კი, ისევე როგორც ახალგაზრდულ ჩემპიონატში, კვლავაც მე და ზურაბ იაკობაშვილი შევხვდით. ორივე ფინალი ჩემი წარმატებით დასრულდა, თუმცა საკუთარი თავის მიმართ მუდამ კრიტიკულად ვარ განწყობილი და ამ შემთხვევაშიც არ მავიწყდება, რომ იაკობაშვილთან ფინალებში თანაბარი პაექრობებისას ბურთულის ამოღებისას იღბალი ჩემს მხარეს იყო. უნდა აღვნიშნო, რომ 66 კგ კონკურენციის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე რთული წონა აღმოჩნდა.

**- თქვენს წონაში უშუალოდ გორის დარბაზშიც არ არის იოლი იყო გამორჩეული.**

- გეთანხმებით. ამ წონაში ჩემ გარდა თენგიზ ჩოჩიშვილი, დავით ბერძნიშვილი, გიორგი ბალიაშვილი ჭიდაობენ, რომელთაც ყველა ანგარიშს უწევდა უშუალოდ საქართველოს ჩემპიონატზეც. წლების განმავლობაში ამ წონის ფავორიტ ოთარ თუშიშვილის წასვლით ყველას გაცილებით დიდი შანსი მოგვეცა პირველობისათვის და მიხარია, რომ მე უკეთ გამოვიყენე ეს შანსი.

**- წლეულს უცხოეთის ასპარეზზე შენს გამოსვლასაც შევეხოთ.**

- ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე გაცილებით უკეთ გამოვედი, ვიდრე ამ ოფიციალური შეჯიბრებების წინა მოსამზადებელ საერთაშორისო ტურნირებში. ივნისში, ზაგრებში ჩატარებულ კონტინენტის პირველობაზე, ახლოს ვიყავი კვარცხლბეკთან და დასანანი მარცხის გამო მე-5 ადგილით დაკმაყოფილებამ მომიწია. სექტემბერში, ტაილანდის მსოფლიოს პირველობისათვის შეკრებაზე კი მწვრთნელებთან ერთად კარგად გავაანალიზე ხარვეზები და უკეთაც გამოვედი, რადგან მხოლოდ ფინალი დავთმე, მაგრამ ისიც მინიმალური სხვაობით. ვფიქრობ, რომ ფსიქოლოგიურად სათანადოდ მომზადებული ვერ გავედი რუს ყურბანალიევთან. მიუხედავად ამისა მსოფლიოს ვიცეჩემპიონობა, ცხადია, ურიგო შედეგი არაა, თანაც ამ ასაკში ჯერ კიდევ მაქვს დრო უმაღლეს მწვერვალს მივაღწიო. მომავალი წლიდან საქართველოს მორიგ ახალგაზრდულ პირველობაზე ჭიდაობით დავიწყებ სეზონს. საკუთარი ტექნიკური და ტაქტიკური დონის ასამაღლებლად სამუშაო ბევრი მაქვს. საბედნიეროდ, ტრავმების მხრივ პრობლემებს დიდი ხანია არ ვუჩივი და არც მიზანდასახულობა მაკლია, ამიტომ მომავალში უფრო დიდი წარმატებების იმედი მაქვს.

ნუგზარ სხირელი: *„კოტე მსოფლიოს ჩემპიონი მხოლოდ იმის გამო ვერ გახდა, რომ გამოცდილება აკლდა. ამ ახალგაზრდა ფალავანს აშკარად ეტყობა, რომ სამომავლო პერსპექტივა აქვს, გარდა ამისა, იგი შრომისმოყვარეა. კოტეს ძალიან მოწესრიგებული სუნთქვა აქვს ხალიჩაზე და შეხვედრის განმავლობაში შეუძლია შეუსვენებლად იბრძოლოს, შესაბამისად, მოწინააღმდეგესაც არ მისცეს მოსვენების საშუალება და დაღალოს. მსუბუქი წონები, მოგეხსენებათ, გორის დარბაზისთვის ტრადიციულად წარმატებულია. მინდა აღვნიშნო, რომ 66 კგ-ში განსაკუთრებით კარგი თაობა გვყავს, რაშიც ოთარ თუშიშვილსაც მიუძღვის წვლილი. ამ ტიტულოვანი ფალავანის გვერდით ვარჯიში ნებისმიერ ახალგაზრდას წაადგებოდა. თანაც ოთარს ყოველთვის ახასიათებდა თანადარბაზელებისთვის გამოცდილების გაზიარება“* - გვითხრა ნუგზარ სხირელმა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

სნოუბორდი



# ორიენტირი ზამთრის ოლიმპიადა

საქართველოში 2012-2013 წლების სამთო-სათხილამურო სეზონი 21 დეკემბერს გაიხსნა და გუდაურში ქართველი სნოუბორდისტები პირველივე დღიდან შეუდგნენ ვარჯიშს. 2013 წელი მათთვის ძალიან დატვირთულია და თითოეული დღე მნიშვნელოვანი - ჩვენმა სპორტსმენებმა უნდა გააუმჯობესონ შედეგები სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში. პრიორიტეტად მაინც მსოფლიოს ჩემპიონატი რჩება, რომელსაც 14-28 იანვარს ქალაქი კვებეკი (კანადა) უმასპინძლებს. 17-22 თებერვალს კი, პირველად სპორტის ამ სახეობის ისტორიაში, საქართველოდან ორი ახალგაზრდა სპორტსმენი ქალაქ ბრასოვში (რუმინეთი) ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას.

სნოუბორდის კომიტეტის თავმჯდომარე **ლევან მშვილდაძე** ამბობს, რომ უმძიმესი და ურთულესი პირობების მიუხედავად, 2010-2012 წლებში, ზამთრის მიმდინარე ოლიმპიურ ციკლში ქართველ სპორტსმენს **რევაზ ნაზღაიძეს**, თავდადებული შრომის შედეგად, სალიცენზიო 57,60 ქულა აქვს მოპოვებული, სოკ-ის დებულებით კი სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მინიმუმ 100- ქულიანები მიიღებენ ასპარეზობის უფლებას. თუ ეს ამოცანა შესრულდა, ჩვენი სპორტის ისტორიაში პირველ ქართველ სნოუბორდისტს ვიხილავთ ოლიმპიურ სარბიელზე, რაც ჩვენში სპორტის ამ სახეობას მეტ პოპულარობას მოუტანს და დიდ სტიმულს მისცემს საქართველოში ზამთრის ტურიზმის განვითარებას.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**

კალათბურთი

ინტერვიუ ვიქტორ სანიკიძესთან

# ნეაპოლელები როგორც ქართველები

**ამავე ნომერში წაიკითხავთ, რომ ვიქტორ სანიკიძემ თავისი ყოფილი კლუბის, ბოლონიის „ვირტუსის“ წინააღმდეგ ითამაშა. იქაურმა ჟურნალისტმა მასთან ინტერვიუ ჩაწერა და დაინტერესდა, რას ფიქრობს ვიქტორი ბოლონიაზე.**

- ჩამოსვლის დღიდან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობდი როგორც კლუბის მესვეურების, ასევე ქომაგების მხრიდან. აქ დიდი გამოცდილება მივიღე, არაერთი თბილი მოგონება შემომრჩა, რომელთა გონებიდან წაშლა შეუძლებელია. ბოლონიაში უამრავი მეგობარი მყავს. მათი კიდევ ერთხელ ხილვა ძალიან სასიამოვნოა.

**- ყველაზე კარგი და ცუდი მოგონება...**

- ახლაც გული მწყდება, როცა იტალიის შარშანდელი ჩემპიონატის მეოთხედფინალს ვიხსენებ. „სასარისთან“ სერიაში 0:3 დავმარცხდით, რასაც ნამდვილად არ ვიმსახურებდით. ამ თამაშებს ოდნავ დასვენებულები და კონცენტრირებულები რომ შევხვედროდით, ნახევარფინალში გასვლა შეგვეძლო, სადაც ჯერ არ მითამაშია. როგორც ყველა, მეც მეტად განბილებული დავრჩი. რაც შეეხება სასიამოვნო მოგონებას, ერთი კონკრეტულის გახსენება მიჭირს, რადგან უამრავი რამ არის მოსაგონარი. აქ თამაშით დიდი გამოცდილება მივიღე, რაც მთავარია - ბოლონიელები ყურადღების ეპიცენტრში არ არიან და არც ზედმეტ წნეხს გრძნობენ, რაც თავისუფლად თამაშში ეხმარებათ. ასე იყო შარშანაც.

**- რა შეიცვალა სიენის „მონტეპასკიში“ გადასვლის შემდეგ?**

- ახალ გუნდთან ახალი ციკლი, კარიერის ახალი ეტაპი დავიწყე. ძლიერი შემადგენლობაა თავმოყრილი, ამბიციურები ვართ და თითოეულ მატჩზე გამარჯვებულის მენტალიტეტით გავდივართ. რაც შეეხება ჩემს გამოსვლას, ყოველთვის ვცდილობ მაქსიმუმი გავიღო, რაც გუნდის გამარჯვების საწინდარი უნდა გახდეს. სწორედ ასეთი ფილოსოფიის გამო მოვიპოვე ბოლონიელ ქომაგთა შორის პატივისცემა, რასაც ძალიან ვაფასებ. ასევე ბოლონიელებმა დაიწყეს ახალი ციკლი განახლებული შემადგენლობით და მათ წარმატებებს ვუსურვებ.

**- ყველაზე ახლოს „ვირტუსის“ კაპიტან ჯუზეპე პოეტასთან ხართ.**

- იგი ჩემი მეგობარია, შესანიშნავი კაპიტანია. ჯუზეპე თითოეულ თანაგუნდელს ეხმარება არა მხოლოდ მოედანზე, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაში. თამაშისას, როცა ყველაფერი კარგად არ გამოდის, სიმძიმეს საკუთარ თავზე იღებს და მეგობრებსაც იყოლიებს. ქართველები და ნეაპოლელები ერთმანეთს ხასიათით ძალიან გვანან და შესაძლოა, ამიტომაც გავუგეთ ერთმანეთს.

**- კლუბის მფლობელ კლაუდიო საბატინისთან როგორი ურთიერთობა დაგრჩათ?**

- ძალიან კარგი. „ვირტუსში“ კონტრაქტის ამოწურვამდე ვითამაშე და პირველი სწორედ კლაუდიო საბატინი იყო, ვინც გზა დამილოცა. მინდა ყველა ბოლონიელს მადლობა გადავუხადო იმ სითბოსთვის, რაც სამი წლის განმავლობაში ჩემდამი გამოხატეს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ჩოგბურთი

# ქართველები პუნესა და სტამბოლში

წლის მიწურულს მხოლოდ სამი ქართველი ჩოგბურთელი მოსინჯავს ძალებს კორტებზე. **ოქსანა კალაშნიკოვა** პუნეს 25.000-იან ქალთა საერთაშორისო ტურნირის ძირითად ბადეში ითამაშებს - სტარტზე იგი მასპინძელ ნატაშა პალიას შეხვდება.

სტამბოლში ქალთა 10.000-იან ტურნირში ჩაებმებიან **სოფიო ქვაცაბაია** და **ეკატერინე გორგოძე**. ქვაცაბაია მესამე ნომრადაა განთესილი და პირველ წრეში რუმინელ კრისტინა ადამესკუს გაუწევს მეტოქეობას, მეექვსე ნომერი გორგოძე კვალიფიკაციაში ერთ-ერთ გამარჯვებულს ელოდება. წყვილებში ქართველთა დუეტი ჰონიგოვას (ჩეხეთი) და ლეიკინას (რუსეთი) დაუპირისპირდება.



ნიკოლოზ ბასილაშვილი

ვაჟები ისვენებენ. **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** ანტალიაში ზედიზედ ორი საერთაშორისო ტურნირის მოგებით რეიტინგში 36 ქულა შეიმატა და ახლა 182 ქულით 264-ე ადგილზე იმყოფება. ATP-ს კლასიფიკაციაში **ალექსანდრე მეტრეველს** 10 ქულა აქვს და 955-ეა. 1361 (1362). **გიორგი ცივაძე** (3), 1485 (1483). **გიორგი ჯავახიშვილი** (2). WTA-ს კლასიფიკაციაში ქალთა სარეიტინგო მდგომარეობა ასეთია: 51. **ანა ტატიშვილი** (1140 ქულა), 308. **სოფიო შაფათავა** (153), 401. **მარგალიტა ჩახნაშვილი** (93), 414. **სოფიო ქვაცაბაია** (89), 430. **ოქსანა კალაშნიკოვა** (82), 530. **ეკატერინე გორგოძე** (54), 636. **ნათია გეგია** (37).

**ვაჟა დანელია**

კალათბურთის ფედერაციის პრესრელიზი

26 დეკემბერს, 14 საათზე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში წლის შემაჯამებელი ჟურნალის პრეზენტაცია გაიმართება. გამოცემაში თავმოყრილია ყველა ის ღონისძიება და შედეგები, რომლის ორგანიზება კალათბურთის ფედერაციამ გასწია.

კალათბურთის ფედერაციის ორგანიზებით 2011-2012 წლების სეზონში მთლიანობაში 15 შეჯიბრება ჩატარდა. ჟურნალში შესულია ამ ღონისძიებათა ყველა შედეგი. დეტალურადაა გადმოცემული საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების გამოსვლა საერთაშორისო ასპარეზზე.

„წლის წიგნში“ გამოყენებულია საქართველოს კალათბურთის მსაჯთა კავშირისა და კალათბურთის ფედერაციის 5 ვებ-გვერდის სტატისტიკური მასალები - gbf.ge, superleague.ge, u-16.ge, u-18.ge, u-20.ge.

წლის შემაჯამებელი წიგნი პირველად გამოდის და ტრადიციულ ხასიათს მიიღებს. მის გამოცემაში კალათბურთის ფედერაციასთან ერთად მონაწილეობა მიიღეს კომპანია „ნატახტარმა“, „ბორჯომმა“, აუდიტურმა კომპანია „ცოდნისამ“ და ტოტალიზატორმა „ევროპაბეთმა“.

ხმაურიანი ტრანსფერი

# ოლიმპისკენ ოლიმპიაკოსთან ერთად

## გიორგი შერმადინი: ევროლიგაზე „მაქაბისთან“ საინტერესო ბრძოლა გველის

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დავწერეთ: **გიორგი შერმადინის** წარმომადგენლები მოლაპარაკებას რუსული „კრასნიე კრილიას“ ხელმძღვანელობასთან აწარმოებენო. იქვე დავწერეთ, რომ ეს გუნდი ევროჩელენჯზე გამოდის. გვახსოვს „კანტუს“ მაისურით ევროლიგაზე ჩატარებული მატჩები და გიორგი საევროჩელენჯოდ ნამდვილად არ გვემეტებოდა. საბედნიეროდ, გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შერმადინი არა მხოლოდ ევროლიგის რიგით გუნდში, არამედ მოქმედი ჩემპიონის შემადგენლობაში ჩაირიცხა - 216 სმ სიმაღლის (1989 წელი) ქართველმა ცენტრმა ბერძნულ „ოლიმპიაკოსთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გააფორმა, ხელშეკრულების სამომავლოდ გაგრძელების „ოფციით“.

გიორგის ისრაელის „მაქაბიში“ არასაკმარისი სათამაშო დრო ჰქონდა, რითაც, ცხადია, კმაყოფილი ვერ იქნებოდა, თუმცა ყოფილ კლუბზე მაინც დადებითად ლაპარაკობს:

*- „მაქაბიში“ სულ სამი თვე ვითამაშე. ისრაელში გატარებული დრო ყოველთვის საინტერესოდ გამახსენდება. ცხოვრება გრძელდება და ისე მოხდა, რომ კარიერაც სხვა გუნდში უნდა გავაგრძელო.*

„ოლიმპიაკოსში“ ყველაზე მაღალი მაკედონიელი **პერო ანტიჩია** (210 სმ), რომელიც კარგად გვახსოვს, საქართველოს ნაკრებს პერიმეტრიდანაც უტევდა. წინასწარ გადაჭრით ძნელი სათქმელია, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ შერმადინს „ოლიმპიაკოსში“ სათამაშო დრო საკმარისად ექნება. თავადაც იმედიანადაა:

*- მოხარული ვარ, რომ იმავე დონეზე ვითამაშებ, როგორც სეზონი დავიწყე. ბერძნული „ოლიმპიაკოსიც“ ევროლიგის ტოპ-16-შია და სხვათა შორის, ჯგუფში „მაქაბისთან“ მოხვდა. თელავიველებთან მეტად საინტერესო პაექრობები გველის. „ოლიმპიაკოსისთვის“ ძალას არც ერთ შეხვედრაში დავიშურებ.*

იმასაც შეგახსენებთ, რომ შერმადინი თბილისის „მაქაბის“ შემდეგ „ოლიმპიაკოსის“ დაუძინებელი მტრის „პანათინაიკოსის“ ღირსებას იცავდა. ახლა კი, როცა გიორგის ისრაელიდან წასვლის საკითხი დადგა დღის წესრიგში, მის მომავალ კლუბად ბერძნული გამოცემები „პანათინაიკოსს“ ასახელებდნენ, მაგრამ როგორც ჩანს, ცდებოდნენ...

„ოლიმპიაკოსის“ უახლოესი მატჩი ევროლიგაზე იგეგმება - 27 დეკემბერს ესპანურ „კახა ლაბორალს“ ეწვევა. ჯერჯერობით უცნობია, ითამაშებს თუ არა ქართველი ცენტრი ბასკეთში.



2011 წელი. შერმადინი ოლიმპიაკოსთან მატჩისას

ლეგიონის კვირა

# ცქიტოს და მანუს 10 სამიანი





განვლილი კვირა ქართული ლეგიონისთვის „მოსავლიანი“ გამოდგა, პირველად ქართული კალათბურთის ისტორიაში ჩვენმა ლეგიონერმა სამმაგი დუბლი შეასრულა. ეს **თორნიკე შენგელიამ** გააკეთა. საინტერესოა, რომ ასევე „ტრიპლ-დაბლთან“ იყო ახლოს **ნიკოლოზ ცქიტიშვილი**, რომელსაც სულ 2 დაფარება დააკლდა. მოდით, გეზი სამხრეთისკენ ავიღოთ, ჯერ თბილი ქვეყნები მოვიაროთ და მოგზაურობა ოკეანის გაღმა დავასრულოთ.

### აზია

აზერბაიჯანის გავლით ირანს ვეწვიოთ, სადაც „კარიერის სეზონს“ატარებს 224 სმ სიმაღლის ცენტრი **სერგო ათუაშვილი**. მან ამჯერად ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ „პეტროჩიმისთან“ 12 ქულა და 16 მოხსნა მოაგროვა.

ირანიდან დასავლეთისკენ დავიძრათ და ლიბანში შევიაროთ, სადაც ადგილობრივები უკვე აალაპარაკა ნიკოლოზ ცქიტიშვილმა. როგორც თავად თქვა, „ჩამპვილში“ სათამაშოდ გადავიდა. თამაშობს კიდეც: ბოლო ორ მატჩში ნიკამ ჯამში 60 ქულა და 26 მოხსნა მოაგროვა. „ალ რიადთან“ შეხვედრაში მის ანგარიშზე 27 ქულა, 10 მოხსნა და 8 დაფარება იყო. ორი ბლოკ-შოტიც და სამმაგ დუბლსაც გამორჩებოდა. ის მატჩი ნიკას „ჩამპვილმა“ ფავორიტთან 78:73 მოიგო.

მომდევნო შეხვედრაში ცქიტო სამმაგს ვერ მიუახლოვდა, მაგრამ არანაკლებ ეფექტური იყო - 33 ქულა და 16 მოხსნა. ისეთი სიზუსტით ისროლა, რობინ ჰუდს შეშურდებოდა: 9-დან 8 ორქულიანი, 7-დან 5 სამიანი, 3-დან 2 საჯარიმო. ქართველი ფორვარდის მონაგარს **ფადი ხატიბმა** 36 ქულა მიამატა და „ჩამპვილმა“ „ანიბალი“ 101:89 დაამარცხა.

5 მოგებითა და 4 მარცხით ცქიტიშვილის გუნდი სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილზეა.

### იტალია

როცა სამქულიანებზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს საქართველოს ნაკრებისა და იტალიური „კანტუს“ ბომბარდირი **მანუჩარ მარკოიშვილი**. მან კვირას „მონტეგრანაროსთან“ სტუმრად გამართულ შეხვედრაში 6-დან 5 სამქულიანი ჩააგდო, 33 წუთში 19 ქულა მიითვალა და კანტუელებს სეზონის მერვე გამარჯვებისკენ გაუძღვა - 100:79. მონტეგრანარო იტალიის აღმოსავლეთით, ადრიატიკის ზღვასთან მდებარეობს. ლიბანიდან წამოსულები ამიტომაც მივადექით ამ ქალაქს.

ახლა, გეზი ჩრდილოეთისკენ ავიღოთ და ბოლონიის დარბაზში შევიდეთ, სადაც **ვიქტორ სანიკიძემ** ბოლო სამი წელი გაატარა. ამჯერად კი ბოლონიას სტუმრის სტატუსით ეწვია. მისმა „მონტეპასკიმ“ მასპინძლები ლამაზი ანგარიშით დაამარცხა - 77:66. ვიქტორს მწვრთნელმა მხოლოდ 13 წუთი გამოუყო. ქართველმა 5 ქულა და 3 მოხსნა მიითვალა.

ამ მოგებით „მონტეპასკი“ იტალიის ჩემპიონატში მეორე ადგილზე დამკვიდრდა. მას 10 მოგება და 2 მარცხი აქვს. მეოთხე პოზიციაზეა „კანტუ“ - 8 გამარჯვება, 4 წაგება. სიენელები მომდევნო შეხვედრას 27 დეკემბერს ისრაელის „მაქაბისთან“ შინ გამართავენ, ოღონდ, როგორც მიხვდით, არა იტალიის ჩემპიონატში, არამედ ევროლიგაზე. „კანტუ“ კი მხოლოდ შიდა სარბიელზე ასპარეზობს, ევროლიგის ტოპ-16-მდე ცოტა დააკლდა.

### უკრაინა

ანეკდოტი რომ არის, „ყური სადა გაქვსო...“ შესაძლოა ასე გამოგვივიდა, მაგრამ სამხრეთი ევროპიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის გზას დავადგეთ და უკრაინაში შევიხედოთ. რაც **გიორგი ცინცაძე** „ბუდიველნიკში“ ჩაირიცხა, ყველაზე მსუბუქი კვირა ახლა ჰქონდა. თუ აქამდე 7 დღეში სამ-სამი მატჩის გამართვა უწევდა, ახლა მხოლოდ ერთი ჩაატარა და რა გასაკვირია, რომ დასვენებულმა „ბუდიველნიკმა“ „კიევი“ იოლად დაამარცხა. ცინცაძემ მატჩი 10 ქულით დაასრულა.

„მშენებლები“ უკრაინის ჩემპიონატის სათავეში არიან - 17 მოგება (5 წაგება) აქვთ. ორიოდე დღის წინ გაირკვა ევროთასის ტოპ-16-ში „ბუდიველნიკის“ მატჩების განრიგი. მეორე ჯგუფურ ეტაპს უკრაინელები 8 იანვარს დაიწყებენ - თურქულ „ბანვიტს“ უმასპინძლებენ.

### ამერიკა

უკრაინიდან ამერიკაში ყველაზე მალე თვითმფრინავით მივალთ. ოკეანის გაღმა მოთამაშე ქართველების შესახებ გასულ კვირას ოპერატიულად ვწერდით. მოგახსენეთ, როგორ გაანათხოვრეს თორნიკე შენგელია „ბრუკლინიდან“ „სპრინგფილდში“, განვითარების ლიგაში როგორ მიითვალა სამმაგი დუბლი და ამ შეხვედრის შემდეგ, უმალ როგორ დააბრუნეს „ბრუკლინში“. მწვრთნელმა **ეივერი ჯონსონმა** იგი „ფილადელფიასთან“ შეხვედრაში მოედანზე პირველივე პერიოდში გამოიყვანა, მეორე თორმეტწუთეულის დასაწყისშიც ათამაშა, მაგრამ მალევე გაიხმო და მეორე ტაიმმა უშენგელიოდ ჩაიარა.

**ზაზა ფაჩულია** ტრადიციულად სტაბილური და სასარგებლო იყო. აქ ახალს ვერაფერს ვიტყვით, ამიტომ გთავაზობთ ფოტოებს, რომლებზეც აღბეჭდილია, როგორ მასპინძლობენ „ბრუკლინისა“ და „ატლანტას“ კალათბურთელები ბავშვებს. ასეთი ღონისძიებების რაოდენობა წინასაახალწლოდ მატულობს.



მარკოიშვილმა მონტეგრანაროელ მცველს თავგზა აუბნია



ცქიტიშვილს ლიბანში ვერ აჩერებენ

გვერდი მოამზადა
ვაჟა **სიმონიშვილმა**

| მოთამაშე | გუნდი | თარიღი | შეჯიბრება | VS | ანგარიში | წუთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა (NBA) | 18.12 | NBA | ვაშინგტონი VS | 95:100 დ.დ. | 15 | 0 | 5 | 2 | 2 | 0 |
| | | 19.12 | NBA | VS ოკლაჰომა | 92:100 | 18 | 6 | 10 | 0 | 0 | 0 |
| | | 21.12 | NBA | ფილადელფია VS | 99:80 | 28 | 9 | 8 | 2 | 2 | 0 |
| | | 22.12 | NBA | VS ჩიკაგო | 92:75 | 21 | 6 | 8 | 4 | 3 | 0 |
| თორნიკე შენგელია | ბრუკლინი (NBA) | 18.12 | NBA | VS იუტა | 90:92 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 19.12 | NBA | ნიუ იორკი VS | 100:86 | 2 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 |
| | სპრინგფილდი (NBDL) | 21.12 | NBDL | ბეიკოძსი VS | 127:119 | 42 | 22 | 10 | 12 | 3 | 3 |
| | | 23.12 | NBA | VS ფილადელფია | 95:92 | 3 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | კანტუ (იტ) | 23.12 | იტალიის ჩემპ. | მონტეგრანარო VS | 79:100 | 33 | 19 | 7 | 2 | 2 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | მონტეპასკი (იტ) | 23.12 | იტალიის ჩემპ. | ვირტუსი VS | 66:77 | 13 | 5 | 3 | 1 | 2 | 0 |
| გიორგი შერმადინი | მაქაბი (ისრ) | 23.12 | ისრაელის ჩემპ. | VS აშდოდი | 104:72 | არ უთამაშია | | | | | |
| გიორგი ცინცაძე | ბუდიველნიკი (უკრ) | 21.12 | უკრაინის ჩემპ. | კიევი VS | 69:88 | 21 | 10 | 2 | 2 | 2 | 0 |
| ბექა ბურჯანაძე | კახასოლი (ესპ) | 19.12 | ესპანეთის ჩემპ. | ხუვენტუდი VS | 84:82 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 23.12 | ესპანეთის ჩემპ. | ფუენლაბრადა VS | 82:78 | არ უთამაშია | | | | | |
| ნიკა ცქიტიშვილი | ჩამპვილი (ლიბანი) | 20.12 | ლიბანის ჩემპ. | VS ალ რიადი | 78:73 | 35 | 27 | 10 | 2 | 1 | 8 |
| | | 23.12 | ლიბანის ჩემპ. | ანიბალი VS | 89:101 | 40 | 33 | 16 | 1 | 1 | 2 |
| სერგო ათუაშვილი | ეშტელლალი (ირანი) | 20.12 | ირანის ჩემპ. | პეტროჩიმი VS | 89:71M | 32 | 12 | 16 | 2 | 2 | 1 |

ფორმულა 1

# ფანხიოდან ფეტელამდე

2012 წელს, **სებასტიან ფეტელმა** მოიგო მორიგი ტიტული და გახდა მეცხრე პილოტი ისტორიაში, ვინც მესამედ გაიმარჯვა „დიდ ცირკში“. დღეს სწორედ ამ პილოტებს გავიხსენებთ...




























## ხუან მანუელ ფანხიო (არგენტინა)

5 ტიტული: 1951, 1954-57
**დაიბადა:** 24.06.1911
**გარდაიცვალა:** 17.07.1995

**ფანხიო** დომინირებდა ფორმულა 1-ში ამ სერიის შექმნიდან პირველი ათწლეულის განმავლობაში. არგენტინელის ზოგიერთი დიადი რეკორდი სამუდამოდ დარჩება. მაგალითად, El Maestro-მ (ფანხიოს მეორე მეტსახელიც ჰქონდა: El Chueco - „მოლუნულფეხებიანი“) მოიგო მის მიერ ჩატარებული ეტაპების 46.2 პროცენტი (52-დან 24). გარდა ამისა, მოიპოვა ხუთი ტიტული ოთხი (!) სხვადასხვა გუნდის შემადგენლობაში. ფანხიოს განსაკუთრებული თვისება იყო: საჭირო დროს საჭირო ადგილას მოხვედრა. ხანდახან ის საჯინიბოს ჩემპიონატის მსვლელობისას იცვლიდა. არგენტინელმა თავისი ზოგიერთი გამარჯვება თანაგუნდელის მანქანით მოიპოვა - მაშინდელი წესებით ეს დაშვებული იყო ავარიის ან ტექნიკური პრობლემის შემთხვევაში.

## ჯეკ ბრებემი (ავსტრალია)

3 ტიტული: 1959-60, 1966
**დაიბადა:** 26.04.1926

ეს საავიაციო მექანიკოსი რბოლებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაინტერესდა. **ბრებემი** არა მხოლოდ რბოლებში მონაწილეობდა, არამედ აქტიურად იყო ჩართული სარბოლო მანქანების პროექტირებასა და შექმნაში. ის ერთადერთი პილოტია ფორმულა 1-ის ისტორიაში, ვინც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ბოლიდით, რომელიც მის სახელს ატარებდა (საკუთარი სახელობის მანქანით რბოლები **ბრიუს მაკლარენსაც** აქვს მოგებული, მაგრამ ჩემპიონი არასოდეს ყოფილა). ასევე ბრებემი დაგვამახსოვრდა ავარიის ზღვრამდე მისული მართვის მანერით, რაც პუბლიკას ძალიან მოსწონდა. ასევე ის უყვარდათ იუმორის გრძნობის გამო. ერთხელ, მას მობეზრდა ჟურნალისტების გაუთავებელი კითხვები ასაკთან დაკავშირებით და 40 წლის ჯეკი სტარტზე მიწებებული წვერითა და ყავარჯნით გავიდა.

## ჯეკი სტიუარტი (შოტლანდია)

3 ტიტული: 1969, 1971, 1973
**დაიბადა:** 11.06.1939

„მფრინავი შოტლანდიელი“ ყოველთვის კარგი ბიზნესმენი იყო. ერთხელ, სერ **ფრენკ უილიამსმა** ასეთი რამ თქვა სერ **სტიუარტზე**: *„თავისი ბოლო ტიტული მან მეოთხედი საუკუნის წინ მოიგო, მაგრამ ამის წყალობით დღემდე შოულობს ფულს“.* სწორედ სტიუარტს უნდა უმადლოდეს თანამედროვე ფორმულა 1 უსაფრთხოების მაღალ დონეს. 1966 წელს, ბელგიის „სპაზე“ ის ავარიაში მოყვა და ბოლიდიდან ვერ ამოდიოდა. დაზიანებული ავზიდან საწვავი ჟონავდა, რბოლის მომსახურე პერსონალი კი, აფეთქებისა და ხანძრის საშიშროების მიუხედავად, არ ჩქარობდა დასახმარებლად მისვლას. სტიუარტი მანქანიდან მისმა თანაგუნდელმა **გრემ ჰილმა** და **ბობ ბონდიურანმა** ამოიყვანეს. ამ შემთხვევის შემდეგ, სტიუარტმა აქტიური კამპანია დაიწყო რბოლების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. იმ ავარიის შემდეგ დაამონტაჟეს ბოლიდებზე მოსახსნელი საჭე, ასევე ეტაპების ორგანიზატორებმა შექმნეს საკუთარი სამედიცინო სამსახური...

## ნიკი ლაუდა (ავსტრია)

3 ტიტული: 1975, 1977, 1984
**დაიბადა:** 22.02.1949

ფორმულა 1-ის ისტორიაში შევიდა მეტსახელით - „არითმომეტრი“ - მინიმალური შესაძლებლობებით მაქსიმალური შედეგის მიღწევის უნარის გამო. ავსტრიელის რეკორდი - 1984 წლის ჩემპიონატში **ალენ პროსტზე** ნახევარი ქულით გამარჯვება - არასოდეს დაემხობა. **ლაუდა** არა მხოლოდ პრაგმატული, არამედ სწრაფი პილოტიც იყო, მაგრამ ნიურბურგრინზე საშინელმა ხანძარმა კინაღამ შეწყვიტა არა მხოლოდ მისი კარიერა, არამედ სიცოცხლე. საინტერესოა, რომ რბოლის წინ ლაუდა ცდილობდა გაფიცვაზე დაეთანხმებინა სხვა პილოტები უსაფრთხოების არასაკმარისი ნორმების გამო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. უკვე მეორე წრეზე, ლაუდას „ფერარი“ ტრასიდან გადავარდა, **ბრეტ ლუნგერის** მანქანას შეეჯახა და ცეცხლში გაეხვია. პილოტი რამდენიმე წუთი რჩებოდა ალმოდებულ მანქანაში - მისი ამოყვანა ლუნგერმა, **არტურო მერცარიომ** და კიდევ ორმა პილოტმა მოახერხეს. ძლიერი დამწვრობისა და გაზით მოწამვლის გამო, ლაუდა კომაში ჩავარდა. მან თავისა და სახის მარჯვენა ნახევარზე რამდენიმე პლასტიკური ოპერაცია გადაიტანა და მას შემდეგ ქუდს არ იშორებს. ლაუდა იმ საშინელი ავარიიდან ექვსი კვირის (!) თავზე დაბრუნდა - მხოლოდ ორი გრანპრი გამოტოვა! როცა მონცაზე რბოლა მეოთხე ადგილზე დაასრულა, მისი ჩაფხუტი სისხლით იყო გაჟღენთილი. იმ წელს, ლაუდას ჩემპიონობის მოგებაც შეეძლო - იაპონიის გრანპრის ძლიერი წვიმის გამო, ვადაზე ადრე რომ არ ჩამოცილებოდა. 1979 წელს ავსტრიელმა კარიერა დაასრულა, მაგრამ 1982 წელს დაბრუნდა იმის გამო, რომ მის ავიაკომპანიას Lauda Air-ს დაფინანსება არ ჰყოფნიდა. და 1984 წელს, ლაუდამ მოიგო მესამე ტიტული.

## ნელსონ პიკე (ბრაზილია)

3 ტიტული: 1981, 1983, 1987
**დაიბადა:** 17.08.1952

პილოტმა, რომელსაც ზოგიერთები 80-იანი წლების შუაში საუკეთესოთა შორის საუკეთესოს უწოდებდნენ, კარიერა მოკრძალებულად დაასრულა. 1991 წელს, როცა **პიკემ** ფორმულა 1 დატოვა, ის “ბენეტონში” სუპერდებიუტანტი თანაგუნდელის **მიხაელ შუმახერის** ჩრდილში იყო მოქცეული და მისი წასვლა ბევრს არ შეუმჩნევია. ცნობილი ბრაზილიელი პოლიტიკოსის შვილმა მამისგან ინტრიგების ხლართვა ისწავლა, მაგრამ დიპლომატია ბოლომდე ვერ აითვისა. პიკეს კარიერის ფინალი მის მიერ ინიცირებული უამრავი სკანდალით დაგვამახსოვრდა, კერძოდ, **ნაიჯელ მენსელთან** ან **აირტონ სენასთან** მიმართებაში. ბრაზილიელის კარიერაში აღმაფრენის მომენტები ჩავარდნებს ენაცვლებოდა. მის ბიოგრაფიაში არის რამდენიმე წაგებული ჩემპიონატი, მაგალითად, 1980 წელს **ალან ჯონსთან** ან 1986 წელს - **ალენ პროსტთან**. პიკესთვის ყველაზე გამორჩეული სეზონი კი, ალბათ, 1987 წელი იყო, როცა მან ჩემპიონის ტიტული მხოლოდ სამი მოგებული რბოლით მოიპოვა, არადა, მის პარტნიორს “უილიამსში” ნაიჯელ მენსელს შვიდი რბოლა ჰქონდა მოგებული. სხვათა შორის, ამ გუნდში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის რანგში მისული ნელსონი დარწმუნებული იყო, რომ მენსელი, რომელსაც ფორმულა 1-ში ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი რბოლა ჰქონდა მოგებული, მისი კონკურენტი ვერ გახდებოდა. ბრაზილიელი თანაგუნდელს აგდებულად უწოდებდა “ინგლისელ კონსტებლს თავში ნაფოტებითა და მახინჯი ცოლით”. მაგრამ პიკემ ამ „კონსტებლს“ ვერაფერი მოუხერხა. ინგლისელი უფრო სწრაფი და აგრესიული იყო. საბოლოოდ, “უილიამსში” მენსელთან დაძაბული კონკურენციის შემდეგ, მისმა კარიერამ დაღმასვლა დაიწყო. სააშკარაოზე გამოვიდა ბრაზილიელის აუტანელი ხასიათი და მან ბევრი არასასურველი შეცდომა დაუშვა. მიუხედავად ამისა, პიკეს სახელი დარჩება ისტორიაში, თანაც არა მხოლოდ, როგორც სამგზის ჩემპიონი, არამედ პირველი პილოტი, რომელმაც ტიტული მოიგო ტურბოძრავიანი მანქანით.

## ალენ პროსტი (საფრანგეთი)

4 ტიტული: 1985-86, 1989, 1993
**დაიბადა:** 24.02.1955

ფორმულა 1-ის ერთ-ერთი იშვიათი პილოტთაგანი, რომელსაც ყოველგვარი კამათის გარეშე უწოდებენ “დიადს”. მის მიმართ პატივისცემას ადასტურებს ფრანგისთვის შერჩეული მეტსახელი - “პროფესორი”. ალენს რაფინირებულ პრაგმატიკოსს უწოდებდნენ, მაგრამ ვისაც ცოცხლად უნახავს მისი რბოლები, ფრანგის მოქმედებას ტრასაზე ავტოსპორტის პოეზიას უწოდებდა. ბევრი ექსპერტი დარწმუნებულია: გარემოებათა სხვაგვარად განვითარების შემთხვევაში, პროსტი არა ოთხ, არამედ შვიდ ჩემპიონატსაც მოიგებდა. მან ყველაზე კარგად იცოდა მოგება ისეთი მანქანით, რომელიც ამისთვის არ იყო განკუთვნილი. მას მინიმუმამდე დაჰყავდა დანაკარგი და მაქსიმუმს აღწევდა რესურსების მინიმალური დანახარჯებით. პროსტისა და სენას 10-წლიანმა დაპირისპირებამ სარბოლო სამყაროს აჩუქა ფორმულა 1-ის ცალკე აღებული ისტორია. თავად სენას არაერთხელ უთქვამს, რომ მისი კარიერა და ოსტატობა არ იქნებოდა ისეთი ბრწყინვალე, მის გვერდით რომ არ ყოფილიყო მთავარი და ალბათ, ერთადერთი მეტოქე.

## აირტონ სენა (ბრაზილია)

3 ტიტული: 1988, 1990-91
**დაიბადა:** 21.03.1960
**დაიღუპა:** 01.05.1994

ეჭვგარეშეა, რომ იმოლას ტრასაზე დაღუპვამ უფრო მეტი რომანტიკა შესძინა დიადი ბრაზილიელის პიროვნებას. სენა უცნაურად აერთიანებდა საკუთარი თავში პილოტის ბრწყინვალე ნიჭს და დროდადრო საკმაოდ უცნაურ და ფსიქოლოგიურად დაულაგებელ სულიერ სტრუქტურას. ფორმულა 1-ში ასეთი უნაკლო პილოტი, ალბათ, აღარასოდეს იქნება. სენაში გაერთიანებული იყო ყველაფერი: ბრწყინვალე ბუნებრივი ნიჭი, სისწრაფე, რისკისადმი მზადყოფნა, უშიშარი ბუნება, სიჯიუტე... და რაც მთავარია, თანამედროვე პილოტთაგან ვერავინ მივა მასთან ახლოს ქარიზმის მიხედვით. არ არის საჭირო მისი რეკორდებისა და მიღწევების ჩამოთვლა. გაცილებით საინტერესოა მისი გამონათქვამების მოყვანა, რომელიც ასევე იყო ბრაზილიელის სხვებისგან განმასხვავებელი ნიშანი. მაგალითად, ასეთი: *“თუ შენ აკეთებ იმას, რაც შენს გარდა სხვას არავის შეუძლია, აუცილებლად დგება მომენტი, როცა საკუთარი თავი ყოვლისშემძლე და უნაკლო გგონია: ყველაზე სწრაფი, საუკეთესო, ხელშეუხებელი... და ეს სწორედ ის მომენტია, როცა სინამდვილეში სუსტი და არაფრისშემძლე ხარ. საბედნიეროდ, ეს მომენტი მხოლოდ წამის მეათასედი გრძელდება: თვალი დაახამხამე და ყველაფერმა გაიარა”.*

## მიხაელ შუმახერი (გერმანია)

7 ტიტული: 1994-95, 2000-04
**დაიბადა:** 03.01.1969

იმ ეპოქის ცოცხალი სიმბოლო, რომლის დროსაც ფორმულა 1 საბოლოოდ გადაიქცა დიდ ბიზნესად. პირველი მაღალი დონის პილოტი, რომლის გარშემო პროექტირდებოდა და იქმნებოდა ავტომობილი და რომლის ინტერესებს ემსახურებოდა მთელი ინდუსტრია. ეს არის ადამიანი, რომელმაც მთლიანად გადაწერა ფორმულა 1-ის რეკორდების წიგნი. შუმახერის ფენომენი – ესეც უნიკალური შეხამებაა, მაგრამ არა ისეთი, როგორიც სენას შემთხვევაში. გერმანელის ნიჭი და შრომისმოყვარეობა შეერწყა უახლეს ტექნიკურ ნოვაციებსა და უსაზღვრო ფინანსურ შესაძლებლობებს. კომპანია “ბრიჯსტოუნი”, რომელიც მაშინ საბურავების ერთადერთი მწარმოებელი იყო, თავის პროდუქციას შუმახერის ინტერესებიდან გამომდინარე ქმნიდა. შედეგად, შეიქმნა უდიდესი და ფანტასტიკურად წარმატებული ბიზნეს-პროექტი, რომელმაც უბრალოდ ნიჭიერი პილოტი კოსმოსური მასშტაბის ვარსკვლავად აქცია. იმისთვის, რომ მთელ ამ პირამიდას შეუფერხებლად ემუშავა, მის მწვერვალზე მყოფი ადამიანი განსაკუთრებული თვისებებით უნდა ყოფილიყო დაჯილდოებული. ხოლო ის, რომ შუმახერს, სენასგან და პროსტისგან განსხვავებით, არ ჰყავდა შესაბამისი რანგისა და შესაძლებლობების კონკურენტი, ესეც ნაწილობრივ მისი დამსახურებაც იყო.

## სებასტიან ფეტელი (გერმანია)

3 ტიტული: 2010-12
**დაიბადა:** 03.07.1987

ახალი ჩემპიონი, რომელთან ერთადაც ფორმულა 1-ში მოვიდა ახალი ეპოქა. ამჟამად, საუკეთესო ბოლიდების საჭესთან თავიდანვე გუშინდელი იუნიორები სხდებიან. მათ წამყვანი გუნდები თავად ზრდიან და ამისთვის ფინანსებს არ იშურებენ. ამის ნათელი მაგალითია – 2008 წლის ჩემპიონი **ლუის ჰემილტონი**, რომელიც “მაკლარენის” პროგრამაში 12 წლიდან იმყოფებოდა. ფეტელი კი “რედ ბულის” სკოლის აღზრდილია, თუმცა ის ფორმულა 1-ში უფრო ტრადიციული ხერხით მოხვდა. იმედისმომცემმა გერმანელმა 2007 წელს BMW-ში შეცვალა ავარიაში მოხვედრილი **რობერტ კუბიცა** - და პირველივე რბოლაში ქულები მოიპოვა. ამის შემდეგ, ფეტელი სეზონის ბოლომდე “ტორო როსოს” ბოლიდის საჭეს მიუჯდა, 2008 წელს კი იქვე სრულფასოვანი საპრიზო პილოტის კონტრაქტი მიიღო. სებამ მონცაში მოუტანა ამ პატარა გუნდს ის, რაზეც საჯინიბო ვერც კი იოცნებებდა: მოგება. ბუნებრივია, ასეთი შედეგების შემდეგ, ვუნდერკინდი “რედ ბულში” გადავიდა, სადაც თავის პირველივე სეზონში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა - თანაც ყველაზე ახალგაზრდა ისტორიაში (23 წლის). მას შემდეგ, ფეტელი დამაჯერებლად მიჰყვება შუმახერის ნაკვალებს. მანაც ზედიზედ სამჯერ მოიგო ტიტული და თუ ასე გააგრძელებს, სავსებით შესაძლებელია, თავის ლეგენდარულ თანამემამულეს რეკორდებიც ჩამოართვას. თუმცა თავისი გამარჯვებების დიდი ნაწილი ფეტელმა ჩემპიონატის უსწრაფესი მანქანით მოიპოვა. მაგრამ რამდენადაც სრულყოფილი არ უნდა იყოს ბოლიდი, პილოტი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ასრულებდეს თავის წილ სამუშაოს. ეს კარგად გამოსდიოდა შუმახერს, და ასევე კარგად გამოსდის მის მემკვიდრეს, რომელსაც შემთხვევით არ ეძახიან “ბეიბი შუმის”. რაც უფრო კარგია ფეტელის მანქანა, მით ბრწყინვალეა თავად პილოტი. ამით გერმანელი არა მხოლოდ შუმახერს, არამედ სხვა ბევრ ცნობილ პილოტს - მაგალითად, **ალბერტო ასკარის** ან **ჯიმი კლარკს** ჰგავს. ჩააჯინეთ ის კარგ ბოლიდში, დააყენეთ პოულზე და მიეცით საშუალება, პირველი გავიდეს პირველი მოსახვევიდან - ფეტელი ამ დროს დაუმარცხებელია.

**გია თვალაბეიშვილი**

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# დირკი ნაგებით დაბრუნდა


დირკ ნოვიცკი

ძალიანრთული კალენდარი ჰქონდა ბოლო დროს „მინესოტას". „მაიამისთან" და „ოკლაჰომასთან" მძიმე მატჩების შემდეგ, „მგლები" ვიზიტით ნიუ იორკში ჩავიდნენ და პირველი ტაიმი შესანიშნავად ჩაატარეს. მეორე წუთიდან მოყოლებული, სტუმრებს მეტოქე ერთხელაც არ გაუშვიათ წინ. და პირველი ნახევარი 55:46 მოიგეს. არადა, ისევ ვერ ითამაშა **კევინ ლავმა, რიკი რუბიო** კი შორს არის ოპტიმალური ფორმისგან. ესპანელმა 18 წუთში 5 შეცდომის დაგროვება მოახერხა.

კარგად მეურვეობდა „ნიქსის" ლიდერს **კარმელო ენტონის** რუსი **ანდრეი კირილენკო**. პირველ ტაიმში MVP-ის ერთ-ერთმა მთავარმა კანდიდატმა მხოლოდ 3 ბურთი ჩააგდო 11 ცდიდან, მაგრამ სწორედ მან გადაწყვიტა მატჩის ბედი. სირენამდე ორი წუთით ადრე „ნიქსი" 4 ქულას აგებდა, მელომ კი იმ მომენტში ზედიზედ ორი შეტევა ჩააგდო. ამან „მინესოტა" მოადუნა და ენტონის თავისუფალი მოქმედების საშუალება მისცა, რითაც მან კარგად ისარგებლა და 2 წუთში 12 ქულა დააგროვა. „ნიუ იორკი" 4 ქულით გავიდა წინ საფინალო სირენამდე ნახევარი წუთით ადრე. „მინესოტას" გადარჩენა **შვედმა** სცადა, რომელმაც ბურთი მოპარა **სმიტს** და სამქულიანი ჩააგდო. საბოლოოდ, „მინესოტას" ექვსი წამი რჩებოდა მატჩის გადასარჩენად და ბოლო ტყორცნა იმავე შვედს მიანდეს, მაგრამ რუსმა ამჯერად ააცილა.

■ ■ ■

*"ეგოიზმი და არანაირი ბრძოლის ჟინი - ასეთი იყო ჩემი გუნდის თამაში ამ საღამოს"*, - ასე დაახასიათა "დალასის" მთავარმა მწვრთნელმა **რიკ კარლაილმა** თავისი გუნდის გამოსვლა "სან ანტონიოს" წინააღმდეგ. მართლაც საშინელი გამოვიდა ამ სეზონში **დირკ ნოვიცკის** დებიუტი - "მავერიქსმა" 38 ქულა წააგო. თანაც, მატჩის მსვლელობისას „სპურსის" უპირატესობა 46 ქულასაც კი აღწევდა. *„ჩვენ დაახლოებით 80 ქულას ვაგებდით, სანამ მოედანზე არ შევედი. ასე რომ, ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო"*, - ნაძალადევად ხუმრობდა გერმანელი ვარსკვლავი, რომელმაც 20 წუთში რვა ქულა და ექვსი მოხსნა მიითვალა. მაგრამ ლიდერის დაბრუნებას „დალასზე" არ უმოქმედია და მან მეტოქეს რამდენიმე რეკორდი დაამყარებინა. ჯერ ერთი, 20 ზუსტი სამქულიანი აბსოლუტური რეკორდია „სან ანტონიოს" ისტორიაში. გარდა ამისა, ასეთი ეფექტურობა (30-დან 20 სამქულიანი) შორეული ტყორცნებისას ასოციაციის ისტორიაში არც ერთ გუნდს არ ჰქონია იმათგან, ვისაც ერთ მატჩში 20 ან მეტი სამქულიანი ჩაუგდია.

■ ■ ■

დღის მეორე განადგურება იყო "კლიპერსის" 36-ქულიანი უპირატესობა "ფინიქსზე". ამ მოგებით, კალიფორნიელებმა შეინარჩუნეს რამდენიმე მომხიბვლელი სერია. ჯერ ერთი, **ვინი დელ ნეგროს** შეგირდები ზედიზედ 13 მატჩია არ მარცხდებიან, მეორე - "კლიპერსმა" ზედიზედ მეექვსე გასვლითი მატჩი მოიგო (საკლუბო რეკორდი), მესამე - ლოსანჯელესელები ზედიზედ მერვე მატჩია არ აგდებინებენ მეტოქეს 43 პროცენტზე მაღალი სიზუსტით. თავად "კლიპერსი" კი ამ მხრივ შესანიშნავად გამოიყურებოდა - არიზონაში (სადაც კალიფორნიელებს სამი წელია არ მოეგოთ) თამაშიდან ტყორცნების ნახევარზე მეტი ჩააგდო. კერძოდ, 21 სამქულიანიდან 11-მა მიაღწია მიზანს.

■ ■ ■

**დემარკუს კაზინსის** დასჯის შემდეგ, "საკრამენტომ" მაშინვე გამარჯვება მოიპოვა, თანაც "პორტლენდის" წინააღმდეგ, რომელმაც ისევ მოუმატა თამაშს. სკანდალური ცენტრის არყოფნაში, "კინგზმა" ამ სეზონში პირადი რეკორდი დაამყარა - 31 შედეგიანი პასი გააკეთა. ამასთან, მეტოქეს არც სამნამიანში მისცა იოლად მოქმედების საშუალება, არადა, მოედანზე ნომინალური მეხუთე ნომერი არ ჰყოლია. მატჩის მთავარი გმირი კი **მარკუს ტორნტონი** გახდა, რომელმაც თავისი 22 ქულიდან 18 მეორე ტაიმში დააგროვა.

**ბრუკლინი-ფილადელფია 95:92**

24:17, 19:24, 26:23, 26:28

ბ: ჯონსონი (22+7 მოხსნა), უილიამსი (16+6 მოხსნა+5 პასი), ლოპესი (14+7 მოხსნა), უოლასი (14+9 მოხსნა+6 პასი), ბოგანსი (13), ბლეტჩი (10).

ფ: ჰოლიდეი (24+6 მოხსნა+9 პასი), იანგი (18+10 მოხსნა), ტერნერი (15+7 მოხსნა), ალენი (12+8 მოხსნა).

**ნიუ იორკი-მინესოტა 94:91**

22:29, 24:26, 25:18, 23:18

ნ-ი: ენტონი (33+7 მოხსნა), სმიტი (19+5 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), ჩენდლერი (16+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), ფელტონი (15).

მ: პეკოვიჩი (21+17 მოხსნა), შვედი (18+5 მოხსნა), რიდნური (14+5 პასი), კანინგემი (12+10 მოხსნა), ბარეა (12+5 მოხსნა).

**ორლანდო-იუტა 93:97**

30:18, 17:28, 26:25, 20:26

ო: აფლალო (20), ვუჩევიჩი (16+16 მოხსნა), ნელსონი (14+9 პასი), რედიკი (14+5 პასი), აიონი (9+12 მოხსნა).

მ: მილსეპი (18+7 მოხსნა), გ. ჰეივორდი (17), ჯეფერსონი (12+9 მოხსნა), ფეივორსი (12), ტინსლი (11), ფიოე (10).

**სან ანტონიო-დალასი 129:91**

33:26, 31:26, 36:14, 29:25

ს-ა: გრინი (25), პარკერი (18+6 პასი), ლეონარდი (17+5 ჩაჭრა), დანკანი (15), ჯექსონი (14).

დ: კოლისონი (15), კამანი (10).

**ფინიქსი-კლიპერსი 77:103**

24:28, 19:30, 17:33, 17:12

ფ: დადლი (19+7 მოხსნა), სკოლა (11), მორისი (10+7 მოხსნა+5 ჩაჭრა), გორტატი (8+12 მოხსნა).

კ: გრიფინი (23+11 მოხსნა+4 ჩაჭრა), კროუფორდი (22), პოლი (17+13 პასი+5 ჩაჭრა), ბარნსი (15+8 მოხსნა).

**საკრამენტო-პორტლენდი 108:96**

21:27, 28:15, 31:29, 28:25

ს: ტორნტონი (22), სალმონსი (15+7 მოხსნა+7 პასი), აუთლოუ (15), ტომასი (11+5 პასი), ტომპსონი (10+6 მოხსნა), ჯონსონი (10).

ა: ოლდრიჯი (22+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბატუმი (17+8 პასი), ლილარდი (15+7 პასი), ჰიქსონი (14+11 მოხსნა).

ველოსპორტი

# ლენსს პროცენტები მოსთხოვეს


ლენს არმსტრონგი

ბრიტანულმა გაზეთმა "სანდი თაიმსმა" სასამართლოში უჩივლა სკანდალურად ცნობილ ამერიკელ ველომრბოლს **ლენს არმსტრონგს** და მისგან 1.6 მილიონი დოლარი მოითხოვა. ამის შესახებ გაზეთმა გუშინ დაწერა.

2004 წელს, გამოცემამ გამოაქვეყნა სტატია იმის შესახებ, რომ არმსტრონგი დოპინგის მომხმარებელი იყო. ველომრბოლმა გაზეთს სასამართლოში უჩივლა და ის სიცრუეში დაადანაშაულა. 2006 წელს ლენსმა საქმე მოიგო და „სანდი თაიმსს" სპორტსმენისთვის დაახლოებით 485 ათასი დოლარის გადახდამ მოუწია.

მაგრამ 2012 წელს გამოქვეყნდა დოკუმენტები, რომელიც არმსტრონგის მხრიდან დოპინგის მოხმარებას ამტკიცებს. ახლა გაზეთი მის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას ითხოვს, თანაც პროცენტებით. თუ არმსტრონგი საქმეს წააგებს, მას "სანდი თაიმსისთვის" 1.6 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ ლენს არმსტრონგის სახელს უკავშირდება 2012 სპორტული წლის მთავარი სკანდალი. 10 ოქტომბერს, აშშ-ის ანტისადოპინგო სააგენტომ გამოაქვეყნა დაწვრილებითი ანგარიში, რომლის მიხედვითაც მტკიცდებოდა ამერიკელის მიერ დოპინგის მიღება.

22 ოქტომბერს გამოცხადდა არმსტრონგისთვის 1999-2005 წლებში მოპოვებული ტიტულების ჩამორთმევისა და სპორტსმენის სამუდამო დისკვალიფიკაციის შესახებ. ლენსს ჩამოერთვა ტურ დე ფრანსზე მოპოვებული შვიდივე ტიტული, ხოლო ამ ველომარათონის ხელმძღვანელმა **კრისტიან პრიუდომმა** განაცხადა, რომ ამერიკელმა უკლებლივ სრულად უნდა დააბრუნოს საპრიზო თანხა, რომელიც მან ამ წლებში გამოიმუშავა. ეს თანხა დაახლოებით 4 მილიონ დოლარს უტოლდება.

მოგვიანებით, სადაზღვევო კომპანიამ არმსტრონგს მოსთხოვა 7.5 მილიონი დოლარის დაბრუნება, რომელიც მან ბონუსების სახით მიიღო. გარდა ამისა, ლენსთან კონტრაქტი გაწყვიტა კომპანია Nike-მა. დაბოლოს, არმსტრონგის მიერ დაარსებულმა კიბოსთან ბრძოლის ფონდმა საკუთარი სახელწოდებიდან მოაშორა ველომრბოლის გვარი. ახლა მას The Lance Armstrong Foundation-ის ნაცვლად, Livestrong Foundation ჰქვია.

ამბები

ველოსპორტი

## ტრაგიკული ვარჯიში

ველოსაჯინიბო BMC-ის იტალიელი წევრი **ალესანდრო ბალანი** სამთო ვარჯიშის დროს დაეცა და უმძიმესი ტრავმები მიიღო.

ბალანი ტრასის ერთ-ერთ მონაკვეთზე პარტნიორს შეეჯახა და მთიდან გადავარდა. როგორც „გაძეტა დელო სპორტი" იტყობინება, ბალანმა მარცხენა მხარი და რამდენიმე ნეკნი გაიტეხა. ერთ-ერთმა ნეკნმა ველომრბოლს ფილტვი გაუხვრიტა. ასევე იტალიელს თირკმელი უნდა ამოაჭრან.

ამჟამად ბალანი საავადმყოფში უგონო მდგომარეობაში იმყოფება.

ჩოგბურთი

## დელ პოტრო გერმანიასთან არ იქნება

არგენტინის ჩოგბურთის ასოციაციამ გამოაცხადა, რომ **ხუან მარტინ დელ პოტრო** მონაწილეობას არ მიიღებს დევისის თასის მერვედფინალში გერმანიის წინააღმდეგ, რომელიც 1-3 თებერვალს ბუენოს აირესში გაიმართება.

24 წლის ჩოგბურთელმა, რომელიც მეშვიდე ადგილს იკავებს მსოფლიო რეიტინგში, გადაწყვიტა, არ შეცვალოს ამ მატჩის გამო წინასწარ შედგენილი გრაფიკი.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (ძ-შ)-მაკაბი (ჰ) | 0:0 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| დინამო (რ)-იუგრა | 1:3 |
| ლევ პოპრადი-ავ ბარსი | 0:2 |

TV პროგრამა

**25 დეკემბერი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVIII ტურის მიმოხილვა.
11:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
12:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ჰანოვერი-ლევანტე.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVIII ტური. სუონსი-მანჩესტერ იუნ.
16:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. იუვენტუსი-შახტარი.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ალკმაარი-ტვენტე.
21:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVIII ტურის მიმოხილვა.
22:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVIII ტური. უიგანი-არსენალი.
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVIII ტური. ლივერპული-ფულემი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. სპარტაკი-სელტიკი.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-მინესოტა.
14:00 NBA ACTION.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ასტონ ვილა.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. კასტრი-გლაზგო.
19:00 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
20:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
21:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. უტრეხტი-აიაქსი.
23:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
23:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-დალასი.
01:30 NBA ACTION.
02:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ოკლაჰომა (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. ჩეხეთი-ესპანეთი.
13:00 რაგბი. ოთხი ერის თასი. ახალი ზელანდია-არგენტინა.
15:00 ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. ჩეხეთი-ესპანეთი.
19:50 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-ინდიანა.
21:50 ჩოგბურთი. ATPის ტური. მონპელიე. საფრანგეთი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | -2 | 3 | (თოვლი) |
| ქუთაისი | 2 | 5 | (წვიმა) |
| ბათუმი | 4 | 8 | (წვიმა) |
| ფოთი | 3 | 7 | (მზე) |
| ზუგდიდი | -1 | 4 | (მზე) |
| გორი | -4 | 3 | (მზე) |
| თელავი | -3 | 1 | (თოვლი) |
| სიღნაღი | -4 | 0 | (თოვლი) |
| ბაკურიანი | -10 | -5 | (თოვლი) |
| ბორჯომი | -6 | 1 | (მზე) |
| მესტია | -14 | -6 | (თოვლი) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1909 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6578 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6843 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3817 |

კრივი

# დოპინგი ანტინარკოტიკულ ტურნირზე


ანტონ ნოვიკოვი

უცნაური ამბავი მოხდა რუსეთში. ამ ქვეყნის ანტისადოპინგო სააგენტომ ტურნირებს ჩამოაშორა მოკრივე **ანტონ ნოვიკოვი**. დოპინგსინჯმა, რომელიც ამ სპორტსმენს 2012 წლის ნოემბერში აუღეს, დადებითი შედეგი აჩვენა. საინტერესო კი ის არის, რომ დოპინგის მიღება გამოვლინდა ტურნირზე, რომელსაც ერქვა - "ნოკაუტი ნარკოტიკებს".

ნოვიკოვი 66.7-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოდის. რუსმა პროფესიულ რინგზე 26 ბრძოლა ჩაატარა და ყველა მოიგო, მათ შორის ათი ნოკაუტით.

ბოლო დროს ისევ გახშირდა რუსი სპორტსმენების მხრიდან აკრძალული პრეპარატის გამოყენება. ნოვიკოვის გარდა, ეროვნულმა ანტისადოპინგო სააგენტომ ოფიციალურ ტურნირებზე გამოსვლა ოთხ სპორტსმენს აუკრძალა.

კალათბურთი

# რუსეთმა მწვრთნელი დაინიშნა

საბოლოოდ გადაწყდა, რომ რუსეთის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი იქნება ბერძენი სპეციალისტი **ფოცის კაციკარისი**. გუშინ, რუსეთის კალათბურთის ფედერაციაში გაიმართა ალმასკომის სხდომა, რომელზეც ერთხმად მოიწონეს კაციკარისის კანდიდატურა. ბერძენ მწვრთნელთან ოთხი წლით გაფორმდა ხელშეკრულება, თუმცა ის პერიოდულად შეწყდება იმ დროს, როცა კაციკარისი პარალელურად ესპანეთის "ბილბაოში" იმუშავებს. ამ გზით მხარეები გვერდს აუვლიან ესპანეთის ჩემპიონატში მოქმედ წესს, რომელიც კრძალავს პოსტების შეთავსებას.


ფოცის კაციკარისი

კაციკარისი რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე **დევიდ ბლატს** შეცვლის, რომელმაც 2012 წლის ოქტომბერში თავისი ნებით დატოვა პოსტი. ბლატი გუნდში 2006 წლიდან მუშაობდა და ამ დროის განმავლობაში მოიგო ევროპის ჩემპიონატის ოქროსა და ბრინჯაოს მედლები, აგრეთვე ლონდონის ოლიმპიადის ბრინჯაო.

კაციკარისი ერთხელ უკვე მუშაობდა რუსეთში – 2005-06 წლებში სათავეში ედგა სანკტ-პეტერბურგის "დინამოს". ის აგრეთვე ავარჯიშებდა ბერძნულ აეკსა და "არისს", ესპანეთის "ვალენსიას", 2010 წლიდან კი "ბილბაოში" მუშაობს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

# უღირსი მამა

## ბალოტელის საკუთარი გოგონა ერთხელაც არ უნახავს

მოდელმა **რაფაელა ფიკომ** მკაცრად გააკრიტიკა თავისი ახლადდაბადებული ქალიშვილის - **პიას** მამა, "მანჩესტერ სიტისა" და იტალიის ნაკრების ფორვარდი **მარიო ბალოტელი**: მისი თქვით, ფეხბურთელს საერთოდ არ აინტერესებს თავისი შვილი და ერთხელაც კი არ უნახავს ის!

იტალიელმა სუპერმოდელმა და **კრისტიანო რონალდოს** ყოფილმა შეყვარებულმა დაახლოებით ერთი თვის წინ იმშობიარა. მან და მარიო ბალოტელიმ გოგონას პია დაარქვეს. ამასთან, ფეხბურთელს თავი არ შეუწუხებია სამშობიაროში თავისი შვილის დედის მონახულებით და პირადად დღემდე არ უნახავს პია. მთელი ამ დროის განმავლობაში ის მხოლოდ ჩვილის სურათებს იღებდა ელექტრონული ფოსტით.

მშობიარობის შემდეგ პირველი ინტერვიუ რაფაელამ იტალიურ გამოცემა Chi-ს მისცა. ფიკო მკაცრად აკრიტიკებს თავისი ქალიშვილის უპასუხისმგებლო მამას: *"ყოველთვის ვიცოდი, რომ მარიოს ნდობა არ შეიძლებოდა. ის უპასუხისმგებლო ადამიანია. მაგრამ ახლა, ჩემმა მოთმინებამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია".*

შეგახსენებთ, რომ მარიო და რაფაელა თითქმის ერთი წელია ხვდებოდნენ ერთმანეთს და დაქორწინებასაც კი აპირებდნენ, მაგრამ მოულოდნელად წყვილი დაიშალა. შემდეგ, ბალოტელი ინგლისში "მანჩესტერ სიტიში" სათამაშოდ გადავიდა. სწორედ იქ გაიგო შავკანიანმა იტალიელმა თავისი ყოფილი შეყვარებულის ფეხმძიმობის შესახებ. თავიდან ფეხბურთელის რეაქცია დადებითი არ ყოფილა და ბალოტელიმ ბავშვის დნმ-ის ანალიზი მოითხოვა. თუმცა მას შემდეგ, რაც ფეხბურთელმა გაიგო, რომ მისი შვილი მალე მოევლინებოდა ამ ქვეყანას, პირობა დადო, რომ მომავალი ბავშვისთვის კარგი მამა იქნებოდა. თავის მხრივ, რაფაელა ასევე აცხადებდა იტალიური პრესის ფურცლებზე, რომ მარიოსგან მზრუნველი მამა დადგებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ცდებოდა.



პია და რაფაელა

უნდა აღინიშნოს, რომ რაფაელა ფიკო პრესაში ფიგურირებდა სწორედ იმ გოგონად, რომელიც ადრე თავის ქალიშვილობას ერთ მილიონ ევროდ ჰყიდდა.

ფორმულა 1

# დე მონტეძემოლო: ფეტელი და ალონსო ერთად? გამორიცხულია!



ისინი ერთად ვერ იქნებიან

"ფერარის" პრეზიდენტმა **ლუკა დე მონტეძემოლომ** არ გამორიცხა შესაძლებლობა, რომ ერთხელ **სებასტიან ფეტელი** იტალიური საჯინიბოს ღირსებას დაიცავს. თუმცა მან ისიც დაამატა, რომ ეს იქამდე არ მოხდება, სანამ წითელი მანქანით ტრასაზე **ფერნანდო ალონსო** იასპარეზებს.

*"მოხარული ვარ, რომ ჩვენს რიგებში გამოდის ფერნანდო ალონსო. ის უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ პილოტი. დაუჯერებელია, როგორ შეუძლია მას საერთო ენა გამონახოს გუნდთან - ის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. ფერნანდოს აქვს რაღაც ნიკი ლაუდასგან და მიხაელ შუმახერისგან. ნიკს ვამსგავსებ რბოლის ხედვითა და ინჟინრებთან მუშაობით - ფერნანდომ ზუსტად იცის, როდის შეანელოს სვლა და როდის მოუმატოს. მიხაელს კი იმით ჰგავს, რომ ყველაზე რთულ სიტუაციებში მანქანისგან მაქსიმუმის მიღება შეუძლია. თუ ამას საჭიროება ითხოვს, ის მთელ რბოლას შესაძლებლობების ზღვარზე ატარებს.*

*საბესტიან ფეტელი ჯერ ახალგაზრდაა, მაგრამ მყარად დგას ფეხზე და უკვე ძალიან ბევრს მიაღწია. მას გამარჯვებისადმი განსაკუთრებული სწრაფვა აქვს. ოთხი წლის წინ, შუმახერმა მითხრა, რომ ფეტელს უდიდესი მომავალი ელოდა. მიხაელი მას ჯერ კიდევ იმ დროიდან იცნობს, როცა სებასტიანი კარტინგებში გამოდიოდა. უნდა ვაღიარო, რომ მიხაელი მართალი იყო.*

*ფეტელს აქვს იმის პოტენციალი, რომ ერთხელ „ფერარის" პილოტი გახდეს. ასეთივე პოტენციალი ჰქონდა სენას. დაღუპვამდე ერთი წლით ადრე, აირტონი ჩემთან მოვიდა და მითხრა, რომ აუცილებლად გადავიდოდა „ფერარიში". სებასტიანი სავარაუდო კანდიდატებს შორის ჰემილტონზე მაღლა დგას. რატომ? ის უფრო ახალგაზრდაა, ლუისისთვის კი „ფერარი" უკვე მესამე გუნდი გახდება „მაკლარენისა" და „მერსედესის" შემდეგ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან უკვე გადააბიჯა თავისი კარიერის ეკვატორს.*

*თუ რაიმე მიზეზით ალონსო ხვალ კარიერის დასრულებას გადაწყვეტს, ვისურვებდი, რომ მისი ადგილი ფეტელმა დაიკავოს. მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ შესაძლებელია ისეთი ვარიანტი, რომლითაც ისინი „ფერარიში" ერთად გამოვლენ. თუ თქვენს გუნდში საუკეთესო პილოტი გამოდის, მისთვის ოპტიმალური პირობები უნდა შექმნათ.*

*გასულ სეზონში ფელიპე მასა თითქოს სადღაც გაქრა, მაგრამ ის მონცაზე დაბრუნდა, სადაც ჩვენ ისევ დავინახეთ პილოტი, რომელიც უმაღლეს დონეზე იცავს იტალიური გუნდის ღირსებას. სეზონის ბოლოს მისი შედეგები მეტყველებენ იმაზე, რომ ის იმსახურებს გუნდში ადგილს. ვფიქრობ, ახალ სეზონს ფელიპე გაცილებით დამაჯერებლად დაიწყებს. გარდა ამისა, ჩვენ ვერ ვიპოვნეთ პილოტი, რომელიც სამუშაოს უკეთ გაუმკლავდება, ვიდრე ფელიპე.*

*შემდეგ სეზონში ჩვენ ბევრ ცვლილებას ვნახავთ შემადგენლობებში. სერხიო პერესი „მაკლარენში" გადავიდა, ლუის ჰემილტონი - „მერსედესში", ფელიპე კი ჩვენთან რჩება. მე დიდი ინტერესით ვაკვირდები ნიკო ჰიულკენბერგს, რომელსაც მოუწევს ჩვენი ძრავებით აღჭურვილი „ზაუბერის" პილოტირება. გარდა ამისა, საინტერესოა იმ პილოტზე დაკვირვება, რომელიც წელს ხანდახან ძალიან სწრაფი იყო სტარტის დროს"*, - განაცხადა დე მონტეძემოლომ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# საქართველოს 2012 წლის რჩეული სპორტსმენი

წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად ვაგრძელებთ მკითხველთა ვერსიით ყოველწლიურ ტრადიციულ გამოკითხვას

/კანდიდატების სია შედგენილია ანბანის მიხედვით/

- **ალექსანდრე ამისულაშვილი** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- **ბექა ბაზაძე** - ფარიკაობა: ევროპა-III
- **გიორგი ბაინდუროვი** - სამბო: მსოფლიო-I
- **ნუკრი ბერაია** - სამბო: მსოფლიო-III
- **ბესო ბერულავა** - სამბო: ევროპა-II; მსოფლიო-III
- **შალვა გაჩეჩილაძე** - ცხენოსნობა: საქართველოს 2012 წლის საუკეთესო მხედარი
- **ელენე გედევანიშვილი** - ფიგურული ციგურაობა: ევროპა-III
- **გიორგი გოგშელიძე** - თავ\ჭიდაობა: ოლიმპიური თამაშები-III
- **მამუკა გორგოძე** - რაგბი: ერთა თასის მფლობელი
- **ბესარიონ გუჩაშვილი** - თავ\ჭიდაობა: ევროპა-II
- **მალხაზ ზარქუა** - თავ\ჭიდაობა: ევროპა-III
- **ირაკლი თურმანიძე** - ძალოსნობა: ევროპა-III
- **ჯაბა კანკავა** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- **გურამ კაშია** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- **გენადი კვიკვინია** - მკლავჭიდი: ევროპა-II: მსოფლიო-I
- **მერაბ კვირიკაშვილი** - რაგბი: ერთა თასის მფლობელი
- **უშანგი კუზანაშვილი** - სამბო: ევროპა-I
- **ნიკოლოზ კუცია** - სამბო: მსოფლიო-III
- **რევაზ ლაშხი** - ბ\რ ჭიდაობა: ოლიმპიადა-II
- **ირინე ლეონიძე** - სამბო: ევროპა II; მსოფლიო-III
- **ვარლამ ლიპარტელიანი** - ძიუდო: ევროპა-I
- **გიორგი ლორია** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- **დავით მაკარიძე** - პროფ. კრივი: WBU-ს ვერსიით მს. ჩემპიონი
- **მანუჩარ მარკოიშვილი** - კალათბ.: მოიპოვა ევრობასკეტის საგზური
- **დავით მარსაგიშვილი** - თ\ჭიდაობა: ევროპა-I; ოლიმპიადა-III
- **ნოდარ მეტრეველი** - სამბო: ევროპა-I
- **დავით მოძმანაშვილი** - თავ\ჭიდაობა: ოლიმპიადა-II; ევროპა-III
- **ლევან ნახუცრიშვილი** - სამბო: ევროპა-II
- **ადამ ოქრუაშვილი** - ქართული ჭიდაობა: საქართველოს ფალავანი
- **მირიან პავლიაშვილი** - სამბო: ევროპა-III
- **ამირან პაპინაშვილი** - ძიუდო: ევროპა-III
- **ლომერ ჟორჟოლიანი** - სამბო: მსოფლიო-II
- **ნინო სალუქვაძე** - ტყვ. სროლა: ოლიმპიადის შვიდგზის მონაწილე
- **ვიქტორ სანიკიძე** - კალათბურთი: მოიპოვა ევრობასკეტის საგზური
- **ანა ტატიშვილი** - ჩოგბურთი: საქართველოს 2012 წლის საუკეთესო ჩოგბურთელი
- **ზაზა ფაჩულია** - კალათბურთი: მოიპოვა ევრობასკეტის საგზური
- **ავთანდილ ცერცვაძე** - სუმო: ევროპა-II (2)
- **რაულ ცირეკიძე** - ძალოსნობა: ევროპა-I
- **მანუჩარ ცხადაია** - ბ\რ ჭიდაობა: ევროპა-II; ოლიმპიადა-III
- **ლაშა შავდათუაშვილი** - ძიუდო: ევროპა-III; ოლიმპიადა-I
- **შორენა შარაძე** - სამბო: ევროპა-III
- **მერაბ შარიქაძე** - რაგბი: ერთა თასის მფლობელი
- **გენადი ჩირგაძე** - სამბო: ევროპა-II
- **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** - თ\ჭიდაობა: ოლიმპიადა-II
- **დავით ხუციშვილი** - თ\ჭიდაობა: ევროპა-II
- **თეიმურაზ ჯულელი (გაგამარუ)** სუმო: იმპერატორის თასი-II

*გამოკითხვაში მონაწილემ უნდა მიუთითოს მხოლოდ ერთი სპორტსმენი. ორი ან მეტი ნომინანტის გამორჩევის შემთხვევაში, ანკეტა ბათილად გამოცხადდება*

მკითხველის სახელი, გვარი ..............................

**შენიშვნა:** *სიაში მოხვდნენ სპორტსმენები, ვინც დიდებში, ანდა პარალელურად ახალგაზრდებში 2012 წელს თავი გამოიჩინეს საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე, აგრეთვე სპორტის სათამაშო სახეობებიდან პოპულარობის ინდექსით.*

*თქვენი რჩეული სპორტსმენი შეიტანეთ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ანკეტაში და გამოგზავნეთ რედაქციაში, ან დააფიქსირეთ სპორტულ საიტზე www.sportall.ge ან გვაცნობეთ ტელეფონით ნომრებზე: 219 60 13; 219 60 53 (10-დან 21 საათამდე, კვირის გარდა).*

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გია თვალაბეიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:15

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608